საქართველოს
წიგნის პალატა
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—59
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. მიქოიანი დაინიშნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრად.
- აბდ-ელ-ქერიმი გაგზავნეს კუნძულ რეიუნიონზე.
- სირიაში დრუზები განაგრძობენ ბრძოლას ფრანგების წინააღმდეგ.
- ოსმალეთის პრესა აღშფოთებულია კლემანსოს წერილის იმ ადგილით, რომელიც ოსმალეთს შეეხება.
- მექსიკის მთავრობამ გასცა ბრძანება გლეხების განიარაღების შესახებ.
- გერმანელი მენშევიკი ბურხარდტი გამორიცხეს პარტიიდან საბჭოთა კავშირში გამგზავრებისათვის.
- ქაირის ციხეში პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს.

შაბათი, 21 აგვისტო 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 189 (1734)

მიწათმოწყობის საკითხები

მიწათმოწყობა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ რესპუბლიკას წარმოადგენს. ამასთანავე ტოპოგრაფიულ და ჰავის თავისებურ პირობების გამო, მიწით სარგებლობის ფორმები ჩვენში განსაკუთრებით რთული და მრავალფეროვანია. აშკარაა, ეს გარემოება კიდევ უფრო ამწვავებს მიწათმოწყობის დაყოვნებით შექმნილ მდგომარეობას.

ამავე დროს ჩვენი კომლეური მიწათმოწყობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცებისათვის, თითქმის ორჯერ უკან რჩება ასეთივე მიწათმოწყობას რუსეთში. ამ მუშაობას საქართველოში მხოლოდ ერთ ნახევარი წლის უკან შეუდგენ და უკანასკნელ ხანებამდე, არსებული ცნობების მიხედვით, შესრულებული არაა მთელი მუშაობის ერთი მეათედიც კი.

ამასთანავე განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე გარემოება. როგორც ვიცით, 1925 წელში ეკონომიურ საბჭოს მიერ მიღებული იყო მიწათმოწყობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა. ირკვევა, რომ ამ გეგმის უკლებლივი შესრულება, მუშაობის რაოდენობის მიხედვით, შეუძლებელი ხდება. მართალია მიწათმოწყობაში დაცულია საპერსპექტივო გეგმით მოცემული მუშაობის წესები, მაგრამ საგულისხმოა, რომ თვით მიწათმოწყობა არ მიიწევს წინ ამავე გეგმით გათვალისწინებული ტემპით.

მიზეზები აქ იგივეა, რაც ხშირად გვხვდება წინ ჩვენი აღმშენებლობის სხვა დარგშიც. ესაა პირველყოვლისა ფინანსიური ხელმოკლეობა. შემდეგ კი სათანადო კვალიფიციურ პერსონალის სიმცირე. ჩვენში განსაკუთრებით საგრძნობია მიწის მზომლების ნაკლებობა.

მდგომარეობა კი ისეთია, რომ საჭიროა რათაც არ უნდა დაგვიჯდეს დავაჩქაროთ მიწათმოწყობის საპერსპექტივო გეგმის უკლებლივი შესრულება. მრავალნაკვეთიანობა, ყანების სიშორე, დაქუცმაცება და მიწით სარგებლობის სხვა მახინჯი მხარეები, რომელნიც აფერხებენ სასოფლო-მეურნეობის განვითარებას და აბეჩავებენ სოფლის ღარიბ მოსახლეობის მეურნეობას, განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენში.

ამასთან ერთად მიწათმოწყობის ჩატარებაზე ბევრათაა დამოკიდებული საძოვრების მოწესრიგების საკითხი, რომელიც ასე მწვავედ სდგას ჩვენს სინამდვილეში. მესაქონლეობის ბედი მჭიდროთაა გადაჯაჭვული ამ საკითხთან.

ამასთან ერთად, მიწათმოწყობის საქმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა საახალშენო მუშაობის გაფართოებისათვის. უკანასკნელ ხანებში უმიწა-წყლო გლეხების თავისუფალ მიწებზე გადასახლება თითქმის სრულიად შეჩერებულია. ამის მთავარი მიზეზია საახალშენო ფონდის გამოუყოფლობა და სათანადო ორგანოების ნივთიერი უსახსრობა, რაიც საშუალებას უსპობს მათ, ხელი შეუწყონ მოახალშენე მოსახლეობას მათი მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში.

საახალშენო საკითხი კი განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ჩვენს პირობებში. გამორკვეულია, რომ მიწათმოწყობის ჩატარებით მოსალოდნელია ჩვენში 15 ათასზე მეტი დესეტინა მიწის განთავისუფლება. მართალია 15 ათასი დესეტინა საახალშენო ფონდი 5 ათასამდე კომლსაც ვერ დაიტევს, მაგრამ, რაც არ უნდა იყვეს ამ ფონდის დაჩქარებით გამოყოფას ექნება დიდი მნიშვნელობა. მით უფრო, რომ ეს ფონდი შეიძლება გამოყენებული იქნას ყველაზე მეტად ღარიბ და უმიწა-წყლო გლეხებისათვის.

საახალშენო ფონდის მთავარი ნაწილი შეიძლება შექმნილ იქნას მელიორაციის საშუალებით, მაგრამ ამ იმედით ჩვენ ვერ შევაჩერებთ მიწათმოწყობის მსვლელობის საჭირო ტემპს. ამას გვიკარნახებს ჩვენ საახალშენო საქმის გამოცოცხლება-განვითარების აუცილებლობა, რომელზედაც სასოფ.-მეურნეობის აყვავებასა, ღარიბ გლეხობის მიწით დაკმაყოფილების და სოფლის პროდუქციის საერთო ზრდასთან ერთად დამოკიდებულია უმუშევრობის საკითხის მოწესრიგება, რომელიც ჩვენი სინამდვილის საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს დღეს.

რა ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული მიწათმოწყობის დაჩქარებისათვის? აქ თავდაპირველად საჭიროა ფინანსიური და შემდეგ ტეხნიკურ საშუალებათა გაძლიერება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მიწათმოწყობის კვალიფიციურ მუშაკთა განსაკუთრებული სიმცირე საქართველოში. ეს გამოიწვია შრომის შედარებით დაბალმა ხელფასმა, რის გამოც საუკეთესო მუშაკები დაკარგა ჩვენმა მიწათმოწყობის ორგანოებმა.

მიწათმოწყობის ხარჯები ერთ და იმავე დროს დაკისრებულია, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტებზედაც. რამდენადაც პირველ შემთხვევაში ფინანსიური მხარე საღ ნიადაგზე სდგას, იმდენად მოიკოჭლებს ის იქ, სადაც საქმე ადგილობრივ საშუალებებს შეეხება. სოფელი ყოველთვის ვერ ამართლებს მასზე დაკისრებულ ხარჯებს. ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რამდენადაც მიწათმოწყობის დაჩქარებაში პირველყოვლისა თვით ადგილობრივი მოსახლეობაა დაინტერესებული.

ამავე დროს უნდა გადაიდგას სათანადო ნაბიჯები სამიწათმომწყობო საქმისათვის კვალიფიციურ ტეხნიკურ პერსონალის გასაძლიერებლად. ეს უკანასკნელი ღონისძიება კი უნდა მიმდინარეობდეს, ამ მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და ამასთან ერთად ახალ ძალების მომზადების გზით.

მიწათმოწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებისათვის და ყველა იმ მიღწევებისათვის საბჭოთა აღმშენებლობაში, რომელნიც გამომდინარეობენ სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისაგან. აქედან აშკარაა, რა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრან ჩვენი პარტიული და ხელისუფლების ორგანოები მიწათმოწყობის წარმატებით ჩატარებას.

* * *

მფლანგველობის მიზეზები და მასთან ბრძოლა

დღეს ჩვენი საზოგადოებრიობის ერთ რთულ საკითხს გამფლანგველობა წარმოადგენს. როდესაც გაზეთს გაშლით წინასწარვე იცით, რომ შიგ იქნება გაფლანგვის ახალი ფაქტები.

ერთი მხრივ არის საკმაოთ მკაცრი სოციალური თავდაცვის ღონისძიება (სასჯელი), მეორე მხრივ გამფლანგველობის ახალი ფაქტები.

რა უწყობს ხელს ამ საზოგადოებრივ ბოროტებას? როგორი ზომებით უნდა ვებრძოლოთ მას?

სოციალური გარდაქმნის დროს, კლასობრივ ძალთა გადანაცვლების პროცესში იზრდება დანაშაულობათა რიცხვი. ყოფილი გაბატონებული კლასის დაცემა, რომლის შემადგენლობა პოლიტიკურად უპირისპირდება გამარჯვებულ კლასს, ადიდებს პოლიტიკურ დანაშაულობათა ჯამს. იგივე კლასი, რომელიც ჰკარგავს ქონებრივ საფუძვლებს იძლევა საერთო სისხლის სამართლის დანაშაულებათა დიდ პროცენტსაც.

ახლად გაბატონებულ კლასსაც არა აქვს დიდი გამოცდილება სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აღმშენებლობაში. იგი—ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ,—თავის შეცდომებზე სწავლობს და ვითარდება. ეს ისტორიულად აუცილებელია, მაგრამ გარკვეულ პერიოდში ეს შეცდომები იწვევს უფლების გადაჭარბებას, უპასუხისმგებლობას, გამფლანგველობას და სხვ.

ამ საზოგადო პირობებთან ერთად გამფლანგველობის სენს ასაზრდოებს შემდეგი გარემოებანი: სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში ჯერ კიდევ საკმაოთ არის მუშათა კლასისათვის სოციალურად უცხო ელემენტები. მათ დაკარგული აქვთ საზოგადოებრივი ინტერესი, რადგან არ სწამთ იმ კლასის საქმე, რომელსაც ძალაუნებურად ემსახურებიან. ისინი, ძველად შეჩვეული ფუფუნებით ცხოვრებას და მოკლებული საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობას, ადვილად ებმებიან ბოროტმოქმედების ქსელში. ცხადია, ასეთი ელემენტები გამფლანგველთა დაულეველ კონტინგენტს წარმოადგენს.

არის აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდებს, უმეტესად ძველი წოდებისა და კლასების შვილებს, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ საზოგადოებრივი ზნეობისა და ვალდებულების შეგნება, ან ახალგაზრდობის, ან თავისი კლასობრივი წარმოშობის გამო არ ეთანხმება ახალ საზოგადოებრივ წყობას, ევალებათ მეტად საპასუხისმგებლო საქმეები, ებარებათ დიდი თანხები. ახალგაზრდურ გატაცებას და თავდაუჭერლობას ისინი პირდაპირი გზით მიჰყავს გაფლანგვამდი.

ზოგჯერ, და არც ისე იშვიათად, არ არის დაცული სიფრთხილე სამეურნეო და სამნეო მუშაკების მიღების დროს. როდესაც ფული გაიფლანგება, მხოლოდ შემდეგ ირკვევა სასამართლოში, რომ სანდო პირი არ ყოფილა გამფლანგველი, არ ჰქონია კარგი წარსული და სხვ.

ამასთან ერთად, საჭიროა სისტემატიური კონტროლი, რეგულიარული და მოულოდნელი საკონტროლო ორგანოებისაგან და სიფხიზლე ადგილობრივი პროფესიონალური და პარტიული უჯრედების, რომ არაფერი იქნეს დახარჯული უწესოთ, უანგარიშოთ.

თუ აღნიშნულ დებულებების მიხედვით გაცხრილული და შემოწმებული იქნება სამეურნეო და სამნეო ნაწილის მუშაკები, უეჭველად საკმაო შედეგს მივაღწევთ. უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია მარტო სასამართლოს გზით, დამსჯელი საქმიანობით გამოსწორდეს მდგომარეობა. საჭიროა პირდაპირ დაისვას საკითხი სათანადო დარგების მომუშავეთა გადაფასების შესახებ, გამორკვეულ იქნას მათი სოციალური, ასაკობრივი, პიროვნული ხასიათი და თვისებები.

სასტიკი ზომების მიღება არ არის დანაშაულობის აღმოფხვრის საშუალება. ასე, რომ არ იყოს, საკმაო იქნებოდა უმცირესი დანაშაულებისათვის უმაღლესი სასჯელი, რომ საზოგადოებაში აღმოფხვრილიყო ბოროტმოქმედებანი. მაშინ მართალი იქნებოდა დაშინებისა და ანაზღაურების თეორიები დასჯის შესახებ, რომელიც უკვე უარყოფილია სამართლის მეცნიერების მიერ. გამფლანგველობასთან ბრძოლაში საჭიროა უპირველესათ გამაფრთხილებელი ზომები. თუ გავფლანგე 1000 მანეთი და ველი და ხვრეტას, ხოლო სალაროში კიდევ მაქვს 20.000 მანეთი, ცხადია აქ სასჯელის მოლოდინი ამ დანარჩენი თანხის გაფლანგვისაკენ მიმაქანებს, რომლითაც შესაძლებელია, ან გავექცე მართმსაჯულებას, ან უკანასკნელი დღეები თავდავიწყებით გავატარო. სწორედ ამიტომ, გამფლანგველობა მოითხოვს, რომ არა მარტო სასამართლო აღდგეს მის წინააღმდეგ, არამედ მთელი საზოგადოებრივი აზრი და სახელმწიფოებრივი ორგანოები, რომ წინასწარ იქნეს გამფლანგველობის გზა გადაღობილი.

ს. ამაღლობელი.

მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ

სამთა-მადნო მუშების ფედერაცია ითხოვს დახმარებას ბრძოლის გასაგრძელებლად

30 აგვისტოს მოწვეული იქნება თემთა პალატის სხდომა მთავრობისათვის განსაკუთრებული რწმუნებების ვადის გასაგრძელებლად

საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ჰოლანდიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია

მემაღაროები განაგრძობენ ბრძოლას

მემაღაროეთა ფედერაციის ცნობა

ლონდონი, 19 აგვისტო. მემაღაროეთა ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა მაღაროს მეპატრონეთა მიერ მემაღაროეთა წარმომადგენლების შეხვედრის შესახებ:

მემაღაროეთა ფედერაციის სახელით სმიტმა მიუთითა მაღაროს მეპატრონეებს, რომ 111 დღის ლოკაუტის შემდეგ საჭიროა მდგომარეობის განხილვა და იმისი გამორკვევა, თუ როგორი შესაძლებლობანი არსებობენ შეთანხმებისათვის. შემდეგ სმიტმა აღნიშნა, რომ მრეწველობის წარმატებითი განვითარებისათვის არ არის საჭირო სამუშაო დღის გაგრძელება და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შეთანხმების არსებითი პირობა არის ხელფასის შესახებ ხელშეკრულების დადება საერთო ინგლისის მასშტაბით. მემაღაროეთა ფედერაცია, განაცხადა სმიტმა, მზად არის—შესაძლებელ ღონისძიებათა განხილვის შემდეგ სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის მიზნით, განიხილოს საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ. ამ საკითხების განხილვა გამოიწვევს მთავრობისადმი მიმართვას, იმის შესახებ, რომ დახმარება აღმოუჩინოს მრეწველობას რეორგანიზაციის გეგმის განხორციელების დროს.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა მაღაროს მეპატრონეთა სახელით მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციის თავმჯდომარე ვილიამსი, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ უნაყოფოა მოლაპარაკების გაგრძელება, რადგან არსებობს შეურიგებელი უთანხმოება ძირითადი საკითხების შესახებ. მაღაროს მეპატრონეებს—განაცხადა ვილიამსმა—განზრახვა აქვთ არა მარტო განახორციელონ 8 საათის სამუშაო დღე—არამედ გამოიყენონ ყველა ის უპირატესობანი, რომლებიც 8 საათის სამუშაო დღიდან გამომდინარეობენ. რაც შეეხება სამუშაო ხელფასს, მაღაროს მეპატრონეებს ამჟამად არ შეუძლიათ განიხილონ საკითხი იმის შესახებ, თუ რა განაკვეთები უნდა დააწესონ, ვინაიდან რაიონებმა უარი განაცხადეს რაიმე გარკვეული პირობების მიღებისა და დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც შეიძლება მუშაობის განახლება.

მემაღაროეთა ფედერაციის ცნობა შემდეგს ლაპარაკობს: ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ მაღაროს მეპატრონენი სთვლიან თავის თავს გამარჯვებულად ამ ბრძოლაში და ვერაფერი ვერ შეითვისეს გაფიცვის განმავლობაში. ჩვენ არა გვაქვს სხვა პერსპექტივა გარდა იმისა, რომ უნდა მივმართოთ ფედერაციის ყველა წევრებს და მოუწოდოთ გააძლიერონ წინააღმდეგობა მაღაროს მეპატრონეთა მიმართ, რადგან მათი პირობების მიღება იქნებოდა მონობა, სიღატაკე და ნივთიერი მდგომარეობის წარმოუდგენელი ჩამოქვეითება.

ჩვენ ხელახლად მოუწოდებთ ინგლისის საზოგადოებრიობას დახმარება გაუწიონ მემაღაროებს, მათ შვილებსა და ცოლებს, რადგან აშკარა გახდა, რომ მაღაროს პატრონებს არ უნდათ ხელშეკრულების დადება, არამედ მხოლოდ მუშაობის განახლება მათ მიერ ნაკარნახევი პირობების მიხედვით.

სხდომის გათავების შემდეგ ვილიამსმა განაცხადა, რომ მაღაროს მეპატრონენი არ დათანხმდებიან მთელი ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მაღაროს მეპატრონეები დათანხმდებიან მოლაპარაკება აწარმოონ მხოლოდ რაიონებში.

თემთა პალატის მოწვევა

ლონდონი, 20 აგვისტო. **გუშინდელი მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების გამო, აუცილებელი ხდება თემთა-პალატის მოწვევა ამ თვის ბოლო რიცხვებში. თუ თვის ბოლომდე მაღაროს პატრონთა და მემაღაროებს შორის მიღწეული არ იქნა შეთანხმება, მაშინ პარლამენტი შეიკრიბება 30 აგვისტოს, რათა გააგრძელოს მთავრობის საგანგებო ძალაუფლება ფიქრობენ, რომ ამისათვის საკმაო იქნება ორი დღე.**

გაფიცვის საკითხი მთავრობაში

ლონდონი, 19 აგვისტო. 18 აგვისტოს ბალდუინის თავმჯდომარეობით შესდგა მთავრობის წევრთა კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა სანახშირო მრეწველობის მდგომარეობა.

მთავრობა და კონფლიქტი

პარიზი, 20 აგვისტო. ლონდონში ფიქრობენ, რომ მემაღაროები მიმართავენ მთავრობას კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად.

სამთამადნო მუშები დახმარებას ითხოვენ

პარიზი, 20 აგვისტო. **ტრედიუნიონების კონგრესისა და მემაღაროეთა აღმასკომის წარმომადგენელთა კონფერენციამ მოწოდებით მიმართა მუშებსა და საზოგადოებას, განაგრძონ დახმარების აღმოჩენა გაფიცულ მემაღაროებისადმი.** კონფერენციამ დაადგინა, სთხოვოს ტრედიუნიონების საერთაშორისო კავშირს, რომ კონტინენტზე მოაწყოს ფინანსიურ დახმარების კამპანია. მემაღაროეთა წარმომადგენლები წავლენ კონტინენტზე, რომ ხელი შეუწყონ ამ შუამდგომლობას.

მთავრობას განზრახვა აქვს, ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მოითხოვენ ამის შესახებ. მთავრობის წარმომადგენლად პარლამენტის ვაკაციების დროს იქნება სტილ მეკლენდი.

ცნობებათ მთავრობას

ლონდონი, 20 აგვისტო. მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა დღევანდელ კრებაზე დაადგინა ოფიციალურად აცნობოს მთავრობას გუშინდელი კონფერენციის შედეგები; მთავრობას გაეგზავნება ვრცელი მოხსენება სხდომის შესახებ.

„ტაიმსი" უკმაყოფილოა

ბერლინი, 20 აგვისტო. მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა გუშინდელი კონფერენციის შედეგების გამო „ტაიმსი" აკრიტიკებს მაღაროს მეპატრონეთა პოზიციას, რომელიც გაფიცვის შეწყვეტის ყოველგვარ იმედებს სპობს. გაზეთი ფიქრობს, რომ არსებულ პირობებში გაფიცვა გაგრძელდება გამოურკვეველ დრომდე.

მემაღაროები მტკიცედ განაგრძობენ ბრძოლას

ლონდონი, 19 აგვისტო. მემაღაროეთა აღმასკომის წევრმა განუცხადა საბჭ. კავშ. ტელეგ. სააგენტოს კორესპონდენტს: **„ჩვენ მედგრად ვიბრძოდით დღემდე და შემდეგ კიდევ უფრო ვიბრძოლებთ".**

დახმარება მემაღაროებს

ლონდონი, 19 აგვისტო. გენერალური საბჭოს მიერ გამოყოფილმა ქვეკომისიამ პერსელის მონაწილეობით მემაღაროეთა დახმარების მოსაწყობად დაადგინა: მიმართოს თხოვნით ამსტერდამის ინტერნაციონალს, რომ მან მოაწყოს საერთო ევროპის მასშტაბით ფულის შეგროვების კამპანია მემაღაროეთა დამხმარე ფონდისათვის. ქვეკომისიას განზრახვა აქვს ამსტერდამს, გაუგზავნოს ინგლისის მუშათა დელეგაცია კამპანიის ჩასატარებლად.

საგანგებო მდგომარეობა გრძელდება

ლონდონი, 19 აგვისტო. მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა მოლაპარაკების უნაყოფობის გამო პარლამენტის სესიის მოწვევას თვის ბოლოში თითქმის აუცილებლად სთვლიან. **პარლამენტი მოწვეულ იქნება იმ მიზნით, რომ დააკანონოს საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება.**

მაღაროს მეპატრონეთა თავხედობა

ლონდონი, 19 აგვისტო. მაღაროს მეპატრონეთა პოზიციის შეურიგებლობა მემაღაროებთან შეხვედრის დროს გამომჟღავნდა 14 აგვისტოს თათბირის გახსნისთანავე. მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ვილიამსმა მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის მიღების დროს განაცხადა: მე ვფიქრობ, რომ თქვენ შეიკრიბეთ იმიტომ, რომ დაგვნებდეთ, თუმცა ცდილობთ რომ დაიცვათ თქვენი ღირსება. **ფედერაციის წარმომადგენლებმა აღელვებით უპასუხეს, რომ მემაღაროები ცდილობენ შეთანხმების მიღწევას საერთო ინგლისის მასშტაბით და საპატიო პირობებში.**

მემაღაროების მოხსნა სამუშაოდან

ლონდონი, 20 აგვისტო. ლანკაშირის ზოგიერთ მაღაროებში მეპატრონეები ბოროტად იყენებენ შეთანხმებას მაღაროებში წესრიგის დაცვის შესახებ. ამიტომ მემაღაროეთა ადგილობრივმა კავშირმა სამუშაოდან მოხსნა წესრიგის დამცველი მემაღაროები. ზოგიერთმა მოხსნილმა მემაღაროემ სცადა მაღაროებში შესვლა, რამაც გაფიცულ მუშებში მღელვარება გამოიწვია. თოფებით შეიარაღებულმა პოლიციელთა დიდმა რაზმმა შეუტია მემაღაროებს, რომელთაც თავის მხრით ქვებით ჩაქოლეს პოლიციელნი. ორივე მხრით არიან დაჭრილნი.

ინგლისის კომპარტიის მიერ მემაღაროების გაფრთხილება

ლონდონი, 20 აგვისტო. **ინგლისის კომპარტიის ცეკამ მიიღო დადგენილება, სადაც იგი აფრთხილებს ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციას შორის დაიჭირონ თავი კომპრომისებიდან, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიოს მუშათა სრული დამარცხება.** რეზოლიუცია მოითხოვს—განხილულ იქნეს ინგლისში ნახშირის შემოტანის წინააღმდეგ წარმოებული ცდები.

ინგლისის კონსერვატორული პრესა მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ

ლონდონი, 19 აგვისტო. კონსერვატორული პრესა, რომელიც კომენტარიებს უკეთებს მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა შორის წარმოებულ მოლაპარაკების შეწყვეტას, აცხადებს, რომ სადელეგატო კონფერენციის გადაწყვეტილება იყო ერთგვარი ნიღაბი, რომლის მიზანს შეადგენდა დაეფარა ის, რაც მემაღაროეთა მოთხოვნილებით უცვლელი რჩებოდა. ყველა კონსერვატიული ორგანოები საჭიროდ სცნობენ, რომ მთავრობა კატეგორიულად წინაღუდგეს ნახშირის მრეწველობისათვის სუბსიდიის განახლებას. მემაღაროეთა ფედერაციის შემდეგი ნაბიჯების შესახებ არის სხვადასხვა მოსაზრებები.

ემყარებიან რა იმ გარემოებას, რომ ცენტრალურ ინგლისის ზოგიერთ სანახშირო რაიონებში მემაღაროეთა წინააღმდეგობა სუსტდება, ფიქრობენ, რომ ფედერაცია შესცვლის თავის ტაქტიკას და მიიღებს იმ წინადადებას, რომელიც ერთი კვირის წინად შეიტანა ვარლიმ,—სახელდობრ წინადადებას მუშაობის განახლების შესახებ იმ რაიონებში, სადაც შესაძლებელია ლოკაუტამდე არსებულ პირობების აღდგენა.

* * *

ჰინდენბურგი

პარიზი, 20 აგვისტო. გერმანიის პრეზიდენტი ჰინდენბურგი დაბრუნდა მეკლენბურგში და შაბათს გაემგზავრება ბავარიაში დასასვენებლად.

აბდ-ელ-ქერიმი

კუნძულ რეიუნიონზე.

პარიზი, 20 აგვისტო. 28 აგვისტოს აბდ-ელ-ქერიმი მიემგზავრება კუნძულ რეიუნიონზე

ჩ ი ნ ე თ შ ი

ხანძარი იაპონიის გემზე

პეკინი, 19 აგვისტო. იაპონიის გემზე, რომელიც ხანკოუდან შანხაიში მიდიოდა, გაჩნდა ცეცხლი. კაპიტანს უნდოდა ნაპირს მისდგომოდა, მაგრამ ბანდიტებმა არ მისცეს მგზავრებს ხმელეთზე გადასვლის საშუალება. შეშინებული მგზავრები წყალში ცვივდებოდენ და სანამ იაპონიის ნაღმოსანი მოვიდოდა საშველად, 50 კაცი დაიხრჩო.

ატამან სემიონოვს ფულები შემოაკლდა

ტოკიო, 19 აგვისტო. გაზეთი „ტოკიო მაიუ" დაწვრილებით ასწერს, თუ როგორ შეიმუშავა ყოფილმა თეთრგვარდიელმა ატამანმა სემიონოვმა „ციმბირის დაპყრობის" გეგმა, რისთვისაც მას უნდოდა ჩინეთის სამოქალაქო ომის გამოყენება. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს გეგმა იყო უმთავრესი სათათბირო საგანი სემიონოვისა და უ-პეი-ფუს 10 აგვისტოს შეხვედრის დროს.

გაზეთი აღნიშნავს რა, რომ ჩან-ძო-ლინი და იაპონიის გენერალური შტაბი მანჯურიაში ეხმარებიან სემიონოვს, აცხადებს, რომ სემიონოვის გეგმებს ხელს უწყობენ აგრეთვე იაპონიაშიაც, სადაც მას ეხმარებიან ისეთი პირები, როგორიც არიან რეაქციონური პარტიის „სეიუხონტოს" ბელადი, იაპონიის სამხედრო მინისტრი და სხვანი.

იაპონიაში მცხოვრები ამერიკელებიც პირდებიან სემიონოვს დახმარებას. თუმცა იაპონიის სააგენტოს „ნიპონ დემპოს" კორესპონდენტი იუწყება, რომ ტიანძინში უ-პეი-ფუმ და ჩან-ძო-ლინმა უარი უთხრეს სემიონოვს სუბსიდიის მიცემაზე.

პროფესორთა ჯამაგირის საკითხი

პეკინი, 19 აგვისტო. პეკინის 9 სახელმწიფო უნივერსიტეტის შესანახი სახსრის უქონლობის გამო პეკინის მთავრობამ კვლავ მიმართა კარახანს თხოვნით, რათა ნება დართოს, რომ რუსეთის კუთვნილი საბოქსერო კონტრიბუციის წილის თანხიდან მიეცეს ჯამაგირი პროფესორებს.

კარახანი შეპირდა დელეგატის დანიშვნას, რომელიც ამ საკითხის შესახებ აწარმოებს მოლაპარაკებას ჩინეთის ხელისუფლებასთან, ვინაიდან რუსეთის კუთვნილი საბოქსერო კონტრიბუციის მთელი თანხის განაწილება მინდობილი აქვს ჩინეთ-საბჭოთა განსაკუთრებულ კომისიას, რომლის წევრები ამჟამად პეკინიდან წასული არიან.

ჩან-ძო-ლინის შვილი—ფელდმარშალი

ბერლინი, 20 აგვისტო. ჩან-ძო-ლინის შვილი ფელდმარშალის ხარისხით დააჯილდოვეს; შესაძლებელია ის დანიშნონ უილის პროვინციის გუბერნატორად.

როგორც ლონდონიდან იუწყებიან გომინდანის ჯარი განაგრძობს უკან დახევას.

* * *

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

პუანკარე კმაყოფილია

პარიზი, 20 აგვისტო. „ეკო დე პარის" ცნობით, პუანკარე ფრიად კმაყოფილია ხაზინის მდგომარეობით, რომელიც დღითი-დღე უმჯობესდება. „პტი პარიზიენი" უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ბანკმა გაადიდა პროცენტები.

სოციალისტების შესვლა მთავრობაში

პარიზი, 20 აგვისტო. სოციალისტების ფედერაციის დიდმა უმრავლესობამ მოიწონა მთავრობაში სოციალისტების შესვლა.

* * *

კელლოგის განცხადება

განიარაღების შესახებ

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა კელლოგმა უარყო ხმები, რომ ვითომც შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადეს განიარაღების კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე.

კელლოგი დაჟინებით მოითხოვს, რომ აუცილებელია ცალკე სარაიონო შეთანხმება დაიდოს სახელმწიფოს შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, ვინაიდან „შეუძლებელია ისეთი გეგმის გამომუშავება, რომელიც ყველა სახელმწიფოსათვის იქნება მისაღები".

კელლოგი წინააღმდეგია იმისა, რომ „შეიარაღების" ცნების განმარტების დროს მიღებულ იქნას მხედველობაში ყოველი ქვეყნის ეკონომიური რესურსები.

„შეერთებულ შტატებისათვის, განაცხადა კელლოგმა, მიუღებელია საერთაშორისო მეთვალყურეობის პროექტი".

* * *

გამთიშველები გერმანიის კომპარტიაში

მასლოვისა და რუთ ფიშერის პარტიიდან გამორიცხვა

ბერლინი, 19 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა ხმების უმრავლესობით ორის წინააღმდეგ დაადგინა გამორიცხოს პარტიიდან **მასლოვი, რუთფიშერი** და ლანდტაგის დეპუტატი ლოსსაუ ლოკინგენი. ცეკას დადგენილება მასლოვის და რუთ-ფიშერის გამორიცხვის შესახებ შემდეგ დასაბუთებას შეიცავს: მასლოვის და რუთ ფიშერის თაოსნობით შეიქმნა ბლოკი, მასლოვ-ფიშერის ჯგუფის და კორშის ჯგუფის შემადგენლობით, რაც პარტიის წინააღმდეგ შეთქმულობას წარმოადგენს. ბლოკის იდეოლოგიური ხელმძღვანელობა, რომელიც კორშის ჯგუფის ხელშია, ეყრდნობა აშკარად გამორკვეულ კონტრრევოლიუციონურ პლატფორმას, რომელსაც შინაური პოლიტიკის საკითხებში საბოლოო დასკვნები ჯერ კიდევ არ გამოჰყავს, მაგრამ საგარეო პოლიტიკის საკითხებში ააშკარავებს, რომ ბლოკი სდგას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ყველაზე უმემარჯვენესი ფრთის თვალსაზრისზე.

მასლოვმა და რუთ ფიშერმა პარტიის გამცემელ კორშთან შეკრეს არა მარტო იდეოლოგიური, არამედ ორგანიზაციული კავშირი, რომელიც, კორშის გამოთქმით, არ მოერიდება თვით პარტიის განხეთქილებასაც კი. ამ გამცემლური მიზნების თვალსაზრისით საჭიროა განხილულ იქნეს ფიშერის და მასლოვის წინანდელი საქციელი: **დისციპლინის განმეორებითი დარღვევა, კომინტერნის პარტიების მოტყუება, მასლოვის უღირსი ქცევა სასამართლოს წინაშე. პარტიაში განხეთქილების მოსამზადებლად ფიშერმა და მასლოვმა სხვა ჯგუფებთან შეთანხმებით მოაწყვეს მთელი რიგი ფრაქციები, რომელთა მოქმედება ვრცელდებოდა მთელ რიგ საოლქო ორგანიზაციებზე.**

გარდა ამისა, ისინი შეუკავშირდენ კორშის ჯგუფს და ხელი მიჰყვეს ფრაქციულ მუშაობის მეთოდების გამოყენებას; ამგვარად მათ **დაამტკიცეს, რომ მათი პოლიტიკის უშუალო მიზანს წარმოადგენს პარტიაში განხეთქილების მოხდენა.**

მასლოვის და ფიშერის პარტიის საერთო პლატფორმაზე დასაბრუნებლად ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღეს.

პარტიამ არ უნდა დაუშვას, რომ განხეთქილების მოსურნე პატარა ჯგუფმა ხელი შეუშალოს იმ მნიშვნელოვან ამოცანათა შესრულებას, რომელიც პარტიის წინაშე სდგას. ამიტომ რუთ ფიშერის და მასლოვის გამორიცხვა პარტიიდან აუცილებელი შეიქნა.

ლოსსაუ ლოკინგენის გამორიცხვა დასაბუთებულია მით, რომ იგი შეუწყვეტელ მუშაობას აწარმოებდა პარტიაში განხეთქილების მოსახდენათ, ჰქონდა მუდმივი კავშირი კორშთან და უარს აცხადებდა მსგავსი მოქმედების შეწყვეტაზე.

რუთ ფიშერს და ლოსსაუ ლოკინგენს წინადადება მიეცათ მოიხსნან თავი დეპუტატობიდან.

* * *

ოსმალეთის გაზეთები

კლემანსოს წერილის შესახებ

ანგორა, 19 აგვისტო. ოსმალეთის პრესის საერთო აღშფოთება გამოიწვია კლემანსოს მიერ კულიჯისადმი მიწერილი წერილის იმ ადგილმა, სადაც ლაპარაკია საფრანგეთის სამხედრო ვალის საკითხის შესახებ. კლემანსო აქ სწერს: „საფრანგეთი ოსმალეთი ხომ არაა, რომ მოეთხოვოს მას მიღებულ ვალდებულებათა შესრულების გარანტია".

გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ყოფილ პრემიერს და მის თანამოაზრეებს უნდა ელაპარაკათ არა მონარქიულ ოსმალეთის, არამედ ახალი ოსმალეთის შესახებ, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ იბრძოდა უსაშინელეს პირობებში.

ოფიციოზი „ხაკიმიეტი მილიე" მოწინავეში ხაზს უსვამს, რომ აღარ არსებობს ოსმალეთის ძველი მთავრობა, რომელიც სესხის მიღებისათვის სთმობდა ტერიტორიის ნაწილს და შემოსავალს.

გაზეთი აცხადებს, რომ **ახალი ოსმალეთის ვალიუტის კურსი საერთაშორისო და საფინანსო ბირჟაზე უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ბევრ იმ სახელმწიფოთა ვალიუტის კურსი, რომლებმაც იმპერიალისტურ ომში გაიმარჯვეს.**

„ოსმალეთი,—სწერს გაზეთი, — სხვებზე ნაკლებ არ იცავს თავის პრესტიჟსა და ღირსებას.

* * *

დ რ უ ზ ე ბ ი ი ბ რ ძ ვ ი ა ნ

ანგორა, 19 აგვისტო. საფრანგეთის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ-ლივანის დრუზებმა ხასბეის რაიონში (სირია) მიიღეს დახმარება საიდუმლო რევოლიუციონურ კომიტეტისაგან ბეირუტში, რომლებმაც წინადადება მისცეს დრუზებს, რომ განაგრძონ ბრძოლა სანამ აჯანყება დაიწყება თვით ბეირუტში. აჯანყებას ამზადებს საიდუმლო კომიტეტი. **დრუზები განაგრძობენ ბრძოლას. საფრანგეთის მზვერავები ეძებენ რევოლიუციონურ კომიტეტს ბეირუტში.**

უკანასკნელი ცნობები

მადლობა რუსეთის მუშებს

ლენინგრადი, 20 აგვისტო. ლენინგრადში მყოფმა ინგლისის მუშებმა მელითონე ხეტისონმა და მემაღაროე არნოტმა ინახულეს საგუბერნიო საგუბერნიო პროფსაბჭო, მადლობა გამოუცხადეს მისი სახით რუსეთის მუშებს ინგლისის მემაღაროეთა დახმარების აღმოჩენისათვის.

პილსუდსკის უნტერ ოფიცრები უკმაყოფილო არიან

ვარშავა, 19 აგვისტო. ოფიცრების ჯამაგირის მომატებამ საშინელი აღელვება გამოიწვია უნტერ-ოფიცრების მხრით, რომელთა რიცხვი 35.000 უდრის სამხედრო სამინისტრომ დაიწყო შესაფერი პროექტის დამუშავება, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ კატეგორიული პროტესტი განაცხადა ახალი ხარჯების წინააღმდეგ.

საბერძნეთ - რუმინიის მოლაპარაკება

ათინა, 19 აგვისტო. საბერძნეთისა და რუმინიის მთავრობას შორის დაიწყო მოლაპარაკება ისეთი ხელშეკრულების დადების შესახებ, როგორიც შეიკრა საბერძნეთსა და სამხრეთ სლავიის შორის.

დაუვიწყარი დღე

კანტონი, 20 აგვისტო. დღეს კანტონის ქალაქისათვის [illegible] თავმჯდომარეობით მოხდა საზეიმო გახსნა **შაკის** ქუჩისა, რომელსაც შამონის მასიური დახვრეტის მოსაგონებლად ეწოდა 23 ივნისის ქუჩა. ხიდთან, რომელიც კანტონს შამონთან აერთებს, აღმართულია ძეგლი შემდეგი წარწერით; „ჩვენ არ დავივიწყებთ ამ დღეს".

ინგლის-რუსეთის კომიტეტში

მოსკოვი, 20 აგვისტო. ინგლისს-რუსეთის კომიტეტის სხდომაზე დასასწრებლად, რომელიც 23 აგვისტოს იხსნება, ბერლინში გაემგზავრა საკ. ცენტ. პროფსაბჭოს დელეგაცია რომელშიაც შედიან: **უზაროვი, ანდრეევი** და **ლეპსე.** ბერლინში საბჭოთა დელეგაციას მიემატება საკ. პ. კ. ც. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **მელნიჩანსკი** და მთამადნის მუშათა კავშირის ცეკას თავმჯდომარე **შვარცი.**

საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცება

ბერლინი, 20 აგვისტო. რეიხსტაგმა ერთხმად დაამტკიცა გერმანიის მთავრობის დეკრეტი გერმანიასა და საფრანგეთს შორის დროებით სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. განზეის კავშირის სახელით სენატორი სტრანდესი ითხოვდა, რომ მომავალ საბოლოო სავაჭრო ხელშეკრულების დადების დროს შეტანილი იქნეს პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის წარმოებათა უფლებრივ მდგომარეობას საფრანგეთის კოლონიებში და აგრეთვე გერმანიის ქვეშევრდომთა უფლებები გავრცელებული იქნეს მაროკოს და ინდო-ჩინეთზე.

პოლონეთის იურიდიული საბჭო

ვარშავა, 20 აგვისტო. პრეზიდენტის დეკრეტით შემდგარია იურიდიული საბჭო, რომელიც მოამზადებს ყველა იმ დეკრეტებს, რაც უნდა გამოსცეს მთავრობამ საგანგებო უფლებების საფუძველზე.

მოლაპარაკება პოლონეთსა და სამხრეთ სლავიას შორის

ბერლინი. 20 აგვისტო. მოლაპარაკება პოლონეთსა და სამხრეთ სლავიის შორის სასურველად დამთავრდა, ამ მოკლე ხანში დაიდება სამეგობრო ხელშეკრულება.

სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესი

პრაღა, 20 აგვისტო. გუშინ გაიხსნა სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც წარმოდგენილია 33 სახელმწიფო ბელორუსიის და უკრაინის საბჭოელმა სტუდენტებმა კონგრესის პრეზიდიუმს პროტესტით მიმართეს ემიგრანტული სტუდენტური ორგანიზაციების კონგრესზე მონაწილეობის გამო.

აჯანყება ნიკარაგუაში

ბერლინი. 20 აგვისტო. ნიკარაგუაში იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებმა ააფეთქეს სამხედრო მატარებელი. აფეთქების დროს მრავალი ჯარისკაცი დაიხოცა. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით სხვადასხვა რაიონებში ბრძოლა სწარმოებს. „დეილი-მეილი" იუწყება, რომ აჯანყების მიზეზი არის შეერთებულ შტატების მიერ ჩამოროს ცნობაზე უარის თქმა.

საბჭოთა კავშირში გამგზავრებისთვის

ბერლინი, 19 აგვისტო. ლეიპციგის მუშა-ახალგაზრდათა მენშევიკური კავშირის თავმჯდომარე ბურგხარდი გამორიცხულ იქმნა კავშირის ცენტრალურ კომიტეტიდან იმის გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციაში, რომელმაც საბჭოთა კავშირში იმოგზაურა.

* * *

ჰოლანდიის მუშა ახალგ. დელეგაცია

ბერლინი, 19 აგვისტო. ამსტერდამში შესდგა ჰოლანდიის ყველა პოლიტიკურ მიმართულების მუშა-ახალგაზრდათა პირველი კონფერენცია.

კონფერენციამ აირჩია ჰოლანდიის მუშა-ახალგაზრდათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში გამოსამგზავრებლად. დელეგაცია შესდგება 6 წევრისაგან და საბჭოთა კავშირში გამოემგზავრება 23 აგვისტოს.

ტ ა ნ ჟ ე რ შ ი

გაფიცვა ჩაიშალა

პარიზი, 20 აგვისტო. გუშინდელი დღე ტანჟერში მშვიდობიანათ ჩატარდა: არავითარი მანიფესტაცია არ მომხდარა: საერთო გაფიცვა ჩაიშალა.

ესპანია ტანჟერის შესახებ

პარიზი, 19 აგვისტო. ესპანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ტანჟერის მოქცევა ესპანეთის გავლენის ზონაში საერთაშორისო ინტერესებსაც დააკმაყოფილებდა და გიბრალტარის უშიშროებასაც უზრუნველჰყოფდა.

* * *

ჰოჰენცოლერნები

სარჩოს მოითხოვენ

პარიზი, 20 აგვისტო. ჰოჰენცოლერნების წარმომადგენლებმა პრუსიის მთავრობას ახალი წინადადებანი წარუდგინეს ანაზღაურების საკითხში.
ჰინდენბურგი

* * *

ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი

ხელშეკრულებები ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის

ათინა, 19 აგვისტო. ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 16 აგვისტოს მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულობა დაიდო სამხრეთ-სლავიასა და საბერძნეთს შორის.

ოსმალეთსა და ალბანიას შორის მოლაპარაკება ხელშეკრულების შესახებ მალე დამთავრდება.

დაიწყო მოლაპარაკება საბერძნეთ-ბოლგარეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულობის დადების შესახებ. გაზეთები ფიქრობენ, რომ შორს არაა ის დრო, როცა ბალკანეთის სახელმწიფოთა საერთო ხელშეკრულობა დაიდება.

* * *

შიმშილობა ქაირის ციხეში

ლონდონი. 20 აგვისტო. ქაირის ციხეში სამი კომუნისტის მიერ შიმშილობის გამოცხადების გამო, მთელი ეგვიპტის პრესა ასწერს ციხის მძიმე მდგომარეობას და მოითხოვს მის გაუმჯობესებას პოლიტიკური ტუსაღებისათვის მაინც. გაზეთები აღნიშნავენ: არსებული წესების მიხედვით, **ტუსაღებს ეკრძალებათ ფეხსაცმელების ტარება, როგორც ციხის შიგნით, ისე მის გარეთ მუშაობის დროს. ტუსაღებს ძინავთ ცარიელ ფიცრებზე. ტუსაღების საჭმელი არის შავი პურის ნატეხი და წყლიანი წვენი.**

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

ამერიკის დელეგაცია

მოსკოვი, 20 აგვისტო. ამერიკის საზოგადო და სამრეწველო მოღვაწეთა დელეგაცია გაემგზავრა ლენინგრადში, იქაურ ეკონომიურ და კულტურულ დაწესებულებათა გასაცნობად. ლენინგრადიდან დელეგაციის წევრთა უმრავლესობა გაემგზავრება ამერიკაში, დელეგაციის ნაწილი კი დაბრუნდება მოსკოვში, მათთვის საინტერესო საკითხების უფრო დაწვრილებით გასაცნობად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წყაროების აღრიცხვა

მოსკოვი, 20 აგვისტო. 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის წყაროების აღრიცხვა ყველგან დასრულდა 15 ივლისს. ცალკე რაიონებში კერძო გადამხდელებს უკვე ჩაბარებული აქვთ საგადასახადო ფურცლები. გადასახადის გადახდა დაიწყო.

ნავთსაზიდი გემები

მოსკოვი, 20 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო ცნობა „აზნავთის" და „გროზნავთის" ნავთსაზიდი გემების აშენების შესახებ.

ნავთსაზიდი გემები შენდება ლენინგრადში. მათი აშენება მალე დამთავრდება. ახალი გემები ზღვაში ჩაშვებული იქნება ოქტომბერში. ახალი გემები დანიშნულია ნავთის პროდუქტების გადასატანად შავი ზღვის და ლენინგრადის ნავსადგურებიდან, დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკის და მცირე აზიის ნავთსადგურებში.

ამხ. მიქოიანის დანიშვნა

მოსკოვი, 20 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. მიქოიანი დანიშნა შრომის და თავდაცვის საბჭოს წევრად. ამხ. კამენევი განთავისუფლებულია ამ მოვალეობის ასრულებიდან.

საფეიქრო ტრესტების გაერთიანება

მოსკოვი, 20 აგვისტო. მოსკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებით, მოსკოვის საფეიქრო ტრესტები: „ჭრელი ქსოვილი", „ოზერტრესტი" და ეგორიევის საფეიქრო ტრესტი გაერთიანდენ ერთ ორგანიზაციაში.

ახლად შექმნილი ტრესტი ყოველდღიურად გამოუშვებს 500.000-ზე მეტრ მანუფაქტურას. ახალი ტრესტის წლიური პროდუქცია 71 მილიონ მანეთს უდრის.

ტრესტების გაერთიანება შესაძლებლად ხდის ცენტრალურ აპარატის მოსამსახურეთა შემცირებას და სავაჭრო-სატრანსპორტო ხარჯების დაკლებას, რაც დიდ ეკონომიას იძლევა.

საბჭოთა გადაფრენების შედეგები

მოსკოვი, 20 აგვისტო. 16 აგვისტოს მოსკოვში შესდგა ბანკეტი, რომელიც მოაწყო ავიაქიმმა 1926 წ. ახლო-აღმოსავლეთის საბჭოთა გადაფრენების აღსანიშნავად. ბანკეტს დაესწრენ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის, ავიაქიმის სამხედრო საჰაერო ძალების სამმართველოს წარმომადგენლები და ოსმალეთის, სპარსეთის და ავღანისტანის საელჩოს წარმომადგენლები.

ამხ. უნშლიხტის მისალმება

სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **უნშლიხტი** მიესალმა ბანკეტზე დამსწრეთ—სპარსეთის, ავღანისტანის და ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებს. „საბჭოთა ავიაცია,—აღნიშნა უნშლიხტმა,—არა მარტო ქვეყნის თავდაცვის ამოცანას ისახავს, არამედ ისწრაფვის მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისაკენ საბჭოთა კავშირის ხალხებსა და მეზობელ რესპუბლიკებს შორის". უნშლიხტმა გამოსთქვა რწმენა, რომ „აღმოსავლეთ ქვეყნების მფრინავები ახლო მომავალში მოახდენენ ასეთივე გადაფრენებს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ მათ მივიღებთ ისეთივე სიხარულით, როგორც მათ მიიღეს საბჭოთა მფრინავები".

ამხ. არალოვის სიტყვა

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის სახელით გამოვიდა ამხ. არალოვი, რომელმაც ხაზი გაუსვა კულტურის ზრდას აღმოსავლეთში და ავიაციის მნიშვნელობას კულტურის ამ ზრდაში.

სპარსეთის მინისტრის სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სპარსეთის სახალხო მინისტრმა თეიმურ-ტაშმა, რომელმაც სთქვა: „საბჭოთა კავშირის საჰაერო სტუმრების ჩამოსვლამ ჩვენს ქვეყანაში განამტკიცა ორთავე ქვეყნის ხალხთა მეგობრული კავშირი. ჩვენ, აღმოსავლეთის ერები იმედით შევყურებთ საბჭოთა კავშირს და ველით მის დახმარებას ჩვენი ქვეყნის აყვავების საქმეში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებით მოვიპოვებთ ჩვენი ქვეყნისათვის ღირსეულ მდგომარეობას".

ოსმალეთის ელჩის სიტყვა

ოსმალეთის ელჩმა ზეკია-ბეიმ სთქვა: „ავიაქიმის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირსა და მის მეზობლებს შორის კულტურული კავშირის დამყარების მხრივ. საბჭოთა მფრინავებმა, რომლებიც ეწვიენ ანგორას დიდი აღტაცება გამოიწვიეს ოსმალეთის მთელ საზოგადოებაში. საბჭოთა ავიაციის წარმატებას ოსმალეთის ხალხი უყურებს როგორც საკუთარ წარმატებას, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ოსმალეთის ჭეშმარიტი მეგობარია. საბჭოთა კავშირის მეზობლები აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის მაგალითს მისდევენ და ისწრაფვიან თავის მხრივ საკუთარი ავიაციის განვითარებისაკენ". ელჩი სულითა და გულით უძღვნის სალამს საბჭოთა კავშირის ერებს.

ავღანისტანის რწმუნებულის სიტყვა

ავღანისტანის რწმუნებული რახიტ-ულა ხანი ამბობს, რომ ავღანისტანი აღფრთოვანებულია საბჭოთა ავიაციის მიღწევებით. ავღანისტანის მფრინავები საბჭოთა კავშირში შეისწავლიან ფრენოსნობის საქმეს და ხელს შეუწყობენ ორთავე ხალხის კავშირის განმტკიცებას..

ამხ. იურენევის სიტყვა

სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში ამხ. **იურენევმა** სთქვა,—რომ სპარსეთი სწრაფად მიდის პროგრესის გზაზე. იგი აღნიშნავს, რომ სპარსეთის საზოგადოება საბჭოთა მფრინავებს სთვლის ხალხთა მეგობრობის მატარებლად.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს მფრინავმა მოისეევმა და ჟურნალისტმა კოლცოვმა.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

შორეულ აღმოსავლეთში

კანტონის მთავრობის გავლენის ზრდა

ის, რაც უკანასკნელ ხანებში ხდება სამხრეთ-ჩინეთში, უსათუოდ უდიდეს ყურადღების ღირსია. კანტონი სწრაფად იქცევა რევოლუციონური ქალაქიდან სამხრეთ-ჩინეთის რევოლუციონურ ცენტრად. ლორძინდება სამხრეთის პროვინციების ფედერაცია, რომელიც 1919 წ. აერთიანებდა 6 პროვინციას 100 მილიონიანი მოსახლეობით.

კანტონის გავლენის ზრდა არაჩვეულებრივი სისწრაფით მიმდინარეობს. მხოლოდ წარსული წლის დამლევს საბოლოოდ იქნა დამარცხებული კონტრ-რევოლუციონური გენერალი ჩენ-ცზიუ-მინი და გუანდუნის პროვინცია, რომელშიც შედის კანტონი, როგორც იქნა, გაიწმინდა კონტრ-რევოლუციონური ბანდების ნაშთებისაგან. კანტონის მთავრობას პირველად მიეცა მთელი გუანდუნის პროვინციის გაერთიანების და ძლიერი, ცენტრის მორჩილი ადმინისტრატიული აპარატის შექმნის საშუალება.

ამავე დროს საბოლოოთ იქნა დამარცხებული კანტონისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფები გუანდუნის მეზობელ—გუანსის პროვინციაში. მიმდინარე წლის დასაწყისში კანტონის მთავრობის ძალაუფლებას ემორჩილებოდა უკვე ორი პროვინცია—გუანდუნის და გუანსის.

მაგრამ განვითარება არ შეჩერდა მარტო ამაზე. სახალხო რევოლუციონური არმიების დამარცხებამ შუა ჩინეთში და უ-პეი-ფუს დაბრუნებამ აქტიური პოლიტიკისადმი შიში გამოიწვია სამხ.-პროვინციებში. უკანასკნელები შიშობდნენ, რომ უ-პეი-ფუ შეეცდება გაავრცელოს თავისი გავლენა სამხრეთზეც და წაართვას მას დამოუკიდებლობა. რომ ეს შიში უსაფუძვლო არ არის, ამას ამტკიცებს „ჩუილის ჯგუფის" (უ-პეი-ფუ) პოლიტიკა 1922—24 წ.წ., როცა იგი სახელმწიფოს სათავეში იმყოფებოდა. და ვინაიდან ძველი უთანხმოება ჩრდილოეთსა და სამხრეთ-ჩინეთს შორის გამოწვეულია მთელ რიგ სოციალურ და ეკონომიური მიზეზებით, ამიტომ სამხრეთ-ჩინეთში იზრდება და ფართოვდება მოძრაობა ჩრდილოეთის, უ-პეი-ფუს წინააღმდეგ.

ხუნანის პროვინციაში, რომელიც გუანდუნიდან ჩრდილოეთით მდებარეობს, რამდენიმე თვის წინათ აჯანყებამ იფეთქა. ადგილობრივი სამხედრო გუბერნატორი—ჩჟაო-ხენ-ტი, უ-პეი-ფუს მომხრე, დაამხვეს. აჯანყებულმა მოსახლეობამ გენ. ტან-შენ-ჩის მეთაურობით განაცხადა, რომ ხუნანის პროვინცია უერთდება კანტონს. უ-პეი-ფუ შეეცადა დაემორჩილებია აჯანყებულები, მაგრამ ამათთ, კანტონის მთავრობამ ხუნანელების დასახმარებლათ გაგზავნა განსაკუთრებული საექსპედიციო კორპუსი კანტონის ჯარების მთავარსარდლის ჩენ-კაიშის მეთაურობით. ჯარების გაგზავნამ ხუნანში საერთო აღფრთოვანება გამოიწვია კანტონში. საზოგადოების ყველა ფენებმა მიიღეს მონაწილეობა ფრონტზე გაგზავნილი რაზმების მომარაგებაში, კანტონს ახსოვს, რომ „ჩრდილოეთის ექსპედიცია" მილიტარისტების წინააღმდეგ სუნ-იატ-სენის ერთ-ერთი ანდერძი იყო.

ასეთივე ცნობები მოვიდა ხუნანის მახლობლად მდებარე გუიჩჟოუს პროვინციიდან. ამ პროვინციის სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორებმა განაცხადეს, რომ ისინი უერთდებიან კანტონს. გომინდანმა უკვე მოაწყო თავისი განყოფილებები ამ პროვინციაში.

ყველაზე მიშვნელოვანია ის, რომ სამხრეთის პროვინციების გაერთიანებას კანტონის გარშემო გაცილებით მკვიდრი ნიადაგი აქვს, ვიდრე დღემდი ჰქონდა. საუკეთესო საბუთია ამისა—ერთი, მთლიანი არმიის შექმნა კანტონის მომხრე ყველა პროვინციებისათვის. ეს უჩვეულო მოვლენაა ჩინეთისათვის, სადაც თვითეულ პროვინციას თავისი საკუთარი არმია ჰყავს, ზოგჯერ—რამდენიმე არმია ერთდროულად. კანტონის მთავრობა სამართლიანად აქცევს უდიდეს ყურადღებას მთლიანი არმიის შექმნას და ენერგიის მაქსიმუმს იჩენს ამ მიმართულებით.

კანტონის გაძლიერება ყველაზე ნათლად მჟღავნდება მტრების დამოკიდებულებაში მისდამი. იმპერიალისტები, რომლებიც სრულიად საფუძვლიანად ხედავენ კანტონის სახით თავის მთავარ მტერს, იძულებული არიან შეურიგდნენ მის არსებობას. წარსულ წელში გონკონგი კონტრრევოლუციონურ გამოსვლებს აწყობდა კანტონში და აშკარად უჭერდა მხარს ჩენ-ცზიუმინს და სხვა შავრაზმელ გენერლებს. ახლა გონკონგის დელეგატები კანტონში სხდებიან და უკანასკნელის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ კონფლიქტის მოგვარების შესახებ. წინათ გონკონგი ფულებს აწვდიდა კონტრრევოლუციონერებს, ახლა იგი თანახმაა მისცეს სესხი კანტონის მთავრობას.

გაძლიერებული კანტონი უფრო აქტიურათ გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე. კანტონის მთავრობის ენერგიულმა გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი ჩენმა იმპერიალისტური სახელმწიფოების ელჩებს სასტიკი პროტესტი განუცხადა საბაჟო კონფერენციის გაგრძელების წინააღმდეგ, რომელშიც კანტონი ხედავს ჩრდილოეთ-ჩინეთის იმპერიალისტების დახმარების ცდას. შეერთებულ შტატების ელჩის მაკ-მურეის მიერ კანტონის მთავრობისათვის მიცემული პასუხი საგულისხმოა ყოველმხრივ. ამ პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ შეერთებული შტატების მთავრობა უკვე აღარ თვლის პეკინის მთავრობას სრულიად ჩინეთის ცენტრალურ მთავრობათ.

თვით ინგლისი, რომელმაც მხოლოდ მცირე ხნის წინათ მოახერხა იმპერიალისტების მორჩილი მთავრობის შედგენა პეკინში, იძულებულა აღიაროს, რომ სიმძიმის ცენტრი უკვე აღარ იმყოფება პეკინში. ინგლისის მინისტრი მწუხარებით აცხადებს პარლამენტში, რომ პეკინის მთავრობა მხოლოდ ლანდია მთავრობის, რომ არავითარი რეალური ძალა მის განკარგულებაში არ მოიპოვება.

რეალური სამხედრო ძალა, ძალაუფლება, და რაც მეტად მნიშვნელოვანია, უდიდესი მორალური ავტორიტეტი,—ყველაფერი ეს მოეპოვება კანტონის მთავრობას. უკანასკნელი ხდება ახალი რევოლუციონური ჩინეთის ცენტრად. მართალია, გზა აქეთკენ სავსეა ათასგვარი დაბრკოლებებით. მილიტარიზმის და იმპერიალისტების არა ერთი თავდასხმის მოგერიება მოუხდება კანტონს, მაგრამ კანტონის მთავრობა, რომელსაც მშრომელი მასები უჭერენ მხარს, ყველა ამ დაბრკოლებებს გადალახავს.

◆

სხვადასხვა

გლეხების განიარაღება მექსიკაში

მექსიკის მთავრობამ გამოსცა ბრძანება გლეხების სრული განიარაღების შესახებ კალისკოს, მიჩოაგის, პუებლოსა და ვერაკრუცის შტატებში.

გადაფრენა ოსტენდე-ლონდონი

16 აგვისტოს პირველად მოხდა აეროპლანით ღამის გადაფრენა ოსტენდედან—ლონდონში.

მატარებლების დამტვრევა

— ბერლინიდან მიღებული ცნობით, ბერლინიდან განოვერში მიმავალი სასწრაფო მატარებლის ლიანდაგიდან გადაცდენის დროს მოკლულია 21 კაცი. დახოცილთა შორის არის საიმპერიო კომისარი მანლიხი.

— ბერლინიდან კელნში მიმავალი სასწრაფო მატარებელი გადასცდა ლიანდაგს ბოროტგამზრახველების მიერ რკინის გზის ხაზის აყრის გამო. მოკლულია 20 კაცი, ბევრი დაჭრილია.

უმუშევრობა საფრანგეთში

საფრანგეთის შრომის მინისტრმა განაცხადა, რომ ამჟამათ საფრანგეთში უმუშევრობა არ არის. 12 აგვისტოს იყო მხოლოდ 350 უმუშევარი, რომლებიც ღებულობენ დახმარებას.

საავიაციო კონგრესი

ბერლინი, 20 აგვისტო. 27 აგვისტოს გაიხსნება საჰაერო მიმოსვლათა საერთაშორისო კონგრესი. „ბერლინერ ტაგებლატის" სიტყვით, კონგრესი განიხილავს საერთაშორისო საჰაერო დაზღვევის და ტარიფის უნიფიკაციის საკითხს.

საფრანგეთის ჰაეროპლანის დაღუპვა

ლამანშზე გადაფრენის დროს დაიღუპა ჰაეროპლანი, რომელიც „საფრანგეთის საჰაერო კავშირს" ეკუთვნოდა. აეროპლანი დაზიანდა იმ დროს, როდესაც ის მიფრინდა ლამანშზე. რადგან ნაპირები სქელ ღრუბლებში იყო გახვეული და მთრინავმა ვერ მოახერხა გზის გაკვლევა. აეროპლანი მთლიანად დაიმსხვრა. 2 მგზავრი მოკვდა და დაიჭრა 11.

კათოლიკეთა კონგრესი

შაბათს, 21 აგვისტოს, ბრესლავში გაიხსნება გერმანიის კათოლიკეთა მე-65 კონგრესი. კონგრესს დაესწრებიან **მარქსი** და პაპის ნუნცი პაკელი, რომლებიც ჰაეროპლანით გაფრინდნენ.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მომჭირნეობის რეჟიმი

ბაქო, 20 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ალმასკომის და სახკომსაბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით აზერბეიჯანის ალმასკომმა მიანდო რესპუბლიკის, ც. საკ. კომ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პროკურორს პერიოდულად წარმოადგინოს ცნობები მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების საკონტროლო შემმოწმებელ მუშაობის შესახებ.

მასების ჩაბმა დაირ-ალმასკომების მუშაობაში

ბაქო, 20 აგვისტო. დაირ-ალმასკომების პრაქტიკულ მუშაობაში ფართო მასების ჩაბმის მიზნით აზერბეიჯანის ალმასკომმა დაადგინა მოაწყოს დაირ-ალმასკომებთან მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვის, კეთილმოწყობის, კულტურულ-განმანათლებელ, სასოფლო-სამეურნეო და კოოპერატიული სექციები და კომისიები.

კომისიის წევრებათ, დაირ-ალმასკომების წევრებს გარდა, დაშვებულ იქნებიან სასოფლო საბჭოების წევრები, კულტურული მუშაკნი, გლეხკომების და სხვა.

მოსავალი

გეოკჩაი, 20 აგვისტო. მაზრის ნათესების სივრცე წარსულ წელთან შედარებით გადიდდა 20 პროცენტით. პურეულის მოსავალი კარგია. მაზრის მთაგორიან ადგილში განუწყვეტელ წვიმებისა და მავნებლების გამო, მოსავალი წახდა 30—40 პროცენტით.

სომხეთი

ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოებებში

ლენინაკანი, 20 აგვისტო. ლენინაკანის კომუნალურ მეურნეობის სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებამ მის განკარგულებაში მყოფ წარმოებებში გააფართოვა მუშაობა. ამუშავებულია დღემდი უმოქმედოდ მყოფი საპნის ქარხანა, რომელიც ახლა უკვე ასრულებს დასახულ ს.წარმოო პროგრამას—იქ მზადდება 5.000 ფუთი საპონი. ლუდის ქარხანამ. სადაც წარსულ წელს დამზადებული იქნა 5.600 ვედრო ლუდი, წრეულს უკვე გაასაღა 11.000 ვედრო ლუდი. საბიუჯეტო წლისთვის განზრახულია საპნის ქარხანაში წარმოების გადიდება 24.000 ფუთამდე და ლუდის ქარხანაში—30.000 ვედრომდე.

მუშაობის პირობების გამოკვლევა კერძო წარმოებებში

ლენინაკანი, 20 აგვისტო. სახალხო კვების კავშირის ადგილობრივ განყოფილების გამგეობამ გამოიკვლია მუშაობის პირობები ქალაქის კერძო წარმოებებში. გამოირკვა, რომ ზოგიერთ წარმოებებში მუშები მუშაობდნენ 10—15 საათის განმავლობაში, ამავე დროს არ სარგებლობდნენ დასვენების დღეებით და სამუშაო ხელფასს იღებდნენ უფრო ნაკლებს, ვიდრე ხელშეკრულებით იყო დაწესებული. გამგეობამ მიიღო ზომები მუშების დასაკმაყოფილებლად და ასეთი არანორმალობათა თავიდან ასაცილებლად მომავალში.

კომკავშირი ლენინაკანის მაზრაში

ლენინაკანი, 20 აგვისტო. 25 აგვისტოს ლენინაკანში გაიხსნება თვიური კურსები კომკავშირის პოლიტსკოლათა გამგეების მოსამზადებლად. კურსებზე იქნება 50 კაცი. კომკავშირის ლენინაკანის კომიტეტმა ინგლისის სამთამადნო მუშებს გაუგზავნა 500 მან.

ყვავილის აცრა

ლენინაკანი, 20 აგვისტო. ლენინაკანის ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებამ გააფართოვა მუშაობა ყვავილის ასაცრელათ. 4 რაიონში აუცრეს ყველას განურჩევლად წლოვანებისა.

სიცხის გამო მუშაობა დროებით შესწყდა.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

მხარს უჭერთ ცეკას ლენინურ ხაზს

(კომკავშირის ერევნის ორგანიზაციის აქტივის რეზოლიუცია)

ერევანი, 20 აგვისტო. მოისმინა რა სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივნის ამხ. **იოანისიანის** მოხსენება საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას და ცენტ. საკონ. კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ, კომკავშირის ერევნის ორგანიზაციის აქტივის საერთო-საქალაქო კრება სომხეთის კომკავშირის ცეკას და ერევნის კომიტეტის წევრებთან და კანდიდატებთან ერთად მხურვალეთ მიესალმება პლენუმის ყველა დადგენილებებს. აქტივის კრება აღნიშნავს, რომ საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას მტკიცე და გამობრძმედილი ლენინური პოლიტიკის წყალობით—მიუხედავად დროებითი სამეურნეო დაბრკოლებებისა—ჩვენი ქვეყანა მიდის სოციალიზმის მშენებლობის და პროლეტარიატის დიქტატურის თანდათანობით განმტკიცების გზით. კომკავშირის ერევნის ორგანიზაციის აქტივი ჰკიცხავს შინაპარტიულ ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მოქმედებას, რომელიც ოპოზიციამ არა თუ არ შეაჩერა, პირიქით გააძლიერა.

კრება ესალმება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ყველა დადგენილებებს და ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის წინააღმდეგ.

სასტიკი ბრძოლა ფრაქციულობის წინააღმდეგ

(კარაკლისში ბანაკათ მყოფ ჯარის ნაწილის რეზოლიუცია)

ერევანი, 20 აგვისტო. სომხეთის დივიზიის კარაკლისში ბანაკათ მყოფ ნაწილების საერთო პარტიულმა კრებამ, მოისმინა რა ამხ. საფრანბეკიანის მოხსენება სრ. საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას და ცენტ. საკონტ. კომის. პლენუმის შედეგების შესახებ, ესალმება ჩვენი პარტიის შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ჩვენი რიგების მთლიანობის დამმარღვეველი ცდების წინააღმდეგ. პარტორგანიზაციები ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ ფრაქციული ბრძოლა პარტიისა და ქვეყნისათვის ქმნის დიდ დაბრკოლებებს. ამავე დროს პარტორგანიზ.-ებს ეჭვი არ შეხდით იმაში, რომ ულენინოდ მომუშავე ლენინურ პარტიას შესწევს იმდენი ძალ-ღონე იმისათვის, რომ არავითარ დაბრკოლებებს წინაშე არ შეჩერდეს და ძირშივე ჩაკლას ფრაქციული ბრძოლის ყოველგვარი ცდები, ვის მხრიდანაც არ უნდა იყოს იგი.

საკ. კომპ. ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტში

პარტიული სასჯელის შესახებ

უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკანურ საკონტროლო კომისიის ოქმები აჭრელებულია სხვადასხვაგვარი სასჯელით დადებით პარტიის იმ წევრთა მიმართ, რომლებიც პარტსხდომებს არ ესწრებიან და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ხანდახან ორ ან ოთხი წლის განმავლობაშიაც არ შეაქვთ საწევრო გადასახადი.

ეს არანორმალური მოვლენა მიგვითითებს იმაზე, რომ ერთის მხრით პარტიის წევრებს შორის სუსტად არის დაყენებული პარტიული დისციპლინის საქმე და მეორეს მხრით იმაზე, რომ სათანადო დონეზე ვერა სდგას პარტიულ ორგანოების მიერ აღრიცხვა საწევრო გადასახადის შეტანისა, რის გამოც პარტიის წევრები არსებობენ მხოლოთ ქაღალდზე, არ ასრულებენ არავითარ პარტიულ მოვალეობებს, რაიც ძირითადად ეწინააღმდეგება კომპარტიის წესდებას.

სცნობენ რა ასეთ მდგომარეობას დაუშვებლად, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს, რომ სასწრაფო ზომები მიიღონ მის აღმოსაფხვრელად როგორც პარტიულ - განმანათლებელი მუშაობის გაცხოველებით პარტიულ წევრებს შორის, ისე პარტიულ წევრების მიერ პარტმოვალეობის შესრულების აღრიცხვის სათანადო სიმაღლეზე დაყენებით.

რაც შეეხება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დამოკიდებულებას იმ ამხანაგებისადმი, რომლებიც საკონტროლო კომისიის წინაშე წარსდგენ ასეთი დანაშაულის გამო, ვანაჩენი მათ უნდა გამოეტანოთ იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ამ დანაშაულის წარმოშობის მიზეზი და როგორია ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა. თუ პარტიის წევრი რამოდენიმე ხნის განმავლობაში იყო მოწყვეტილი პარტიული მუშაობიდან, მაშინ მისი პარტიაში კვლავ მიღება შეუძლებელია. მაგრამ თუ ეს მოწყვეტა გრძელდებოდა მხოლოდ რამოდენიმე თვით და გამოწვეული იყო საპატიო მიზეზებით, ასეთ შემთხვევებში საკონტროლო კომისია ფრთხილად უნდა მოეპყრას პარტიული სასჯელის გამოყენების საკითხს, მით უფრო გლეხობისა და მუშების მიმართ.

რაში მოისუსტებს კომუჯრედი

(ს. ხრეითი, შორ. მ.)

შორაპნის მაზრკომმა მოისმინა მოხსენება ხრეითის კომუჯრედის პარტმუშაობის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ უჯრედის ბიუროს სხდომები არ ეწყობა სისტემატიურად, ოქმები არ იწერება, მუშაობის გეგმა არ აქვთ შედგენილი. საბჭოზე ხელმძღვანელობა მოისუსტებს: საბჭოში სექციური მუშაობა არ სწარმოებს, კომფრაქცია არ არის ჩამოყალიბებული და ქალთა შორის მუშაობა მოდუნებულია.

ხრეითში კოოპერატივი არ არის; ეს ჰქმნის გლეხებისათვის აუტანელ მდგომარეობას, ვაჭრები, ჩარჩები და კულაკები თავისუფლად დანავარდობენ. კოოპერატივისთვის კი ნიადაგი მზად არის, გლეხობა აღტაცებით შეხვდება კოოპერაციის სოფელში დაარსებას. შენობაც მოიძებნება შესაფერისი, მხოლოდ საჭიროა ინიციატორები. აი აქ საჭიროა უჯრედის ენერგია და მუშაობა გლეხების შესაჯგუფებლად კოოპერაცის ირგვლივ.

ზგრეთვე თემში ნაკლები ყურადღება ექცევა ტყეების გაჩეხვას, ჩამორთმეულ მიწებზე მეურნეობის გაუმჯობესებას და ჩამორთმეული წისქვილების მოწესრიგებას. არის შემთხვევები, როდესაც მემამულეები ძალით ეპატრონებიან ჩამორთმეულ მიწებს.

პარტიული განმანათლებელი მუშაობა უჯრედში, და საერთოდ სოფელში, სუსტად სწარმოებს. გაზეთები არ აქვთ გამოწერილი, უპარტიო გლეხობაში გაზეთების ხმამაღლა კითხვა და გლეხების გაზეთით დაინტერესება არ სწარმოებს.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ს. ხრეითში ულარიბეს გლეხთა შორის მუშაობის ფორმებს უჯრედი არ არის გაცნობილი, ულარიბესი ჯგუფები ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. გლეხკომებზე ხელმძღვანელობა ძალზე სუსტია, უჯრედში ნაკლებად ისმება ულარიბეს გლეხთა, მოჯამაგირეთა მდგომარეობის საკითხები.

შორაპნის მაზრკომმა მიუთითა რა უჯრედს ყველა ამ აღნიშნულ დეფექტებზე, წინადადება მისცა ეხლავე შეუდგენ შეცდომების გამოსწორებას, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელონ მაზრკომის მიერ გამომუშავებულ პრაქტიკული ღონისძიებებით და მითითებებით.

ია.

როგორ ვმუშაობთ

(მუშკოოპის მეორე საცხობი)

აღნიშნულ უჯრედის მიერ, ჩატარებული იქნა წერკუმის საზოგადოების დასაარსებელი კამპანია. მოსმენილია ანგარიში კომკავშირელების პ.-მდივნების მიერ მათი მუშაობის შესახებ, რაც ბიუროს მიერ ცნობილია დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე წინადადება მიეცა კომკავშირს გააძლიეროს კულტმუშაობა. მიღებულია ზომები იმ წევრების წინააღმდეგ, რომლებსაც არ ჰქონდათ პოლიტ-ცოდნა და არ შეჰქონდათ საწევრო გადასახადი თავის დროზე. ასეთი უვარგისი ელემენტების მიმართ გაგზავნილია ოქმები რაიკომში ზომების მისაღებად.

გარდა ამისა მუშკოოპის მე-2-რე პურის საცხობის ერთ-ერთ თანამშრომლის მიერ შეტანილია წერილი კედლის გაზეთში გამოსაშვებად. ეს წერილი რედკოლეგიის ერთ წევრს დაუმალავს. ამის გამოსარკვევად ორი თვეა შესდგა კომისია, მაგრამ ავტორმა მაინც არაფერი იცის თავისი წერილის.

უჯრედის წინადადებით მოწვეული იქნა წარმოგანყოფილების გამგეობის წევრი მოქ. ძაგანია პურის საცხობების წარმოების განვითარების მოხსენების გასაკეთებლად, რის შემდეგიც დადგენილი იქნა, რათა გაძლიერებული იქნას თანდათანობით საიმედო ამხანაგების ჩაბმა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ვინაიდან საწ. განყ. ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.

კომუჯრედში არჩეული იქნა პურის შეხმობის (усушка) გამომკვლევი კომისია. კომისიის მიერ გაკეთებული იქნა მოხსენება. უჯრედი მოხსენებას დამაკმაყოფილებლად სთვლის, მხოლოდ აღნიშნავს და ბოროტმოქმედებად სთვლის მუშკოოპის მე-12-ტე პურის საცხობი გამგის მოქმედებას, რომელმაც სასწორი გადამალა.

თაკ. ველეველი.

კომკავშირის მდივნების კურს-ყრილობაზე

(სენაკის მაზრა)

ა.-წ. 6 აგვისტოს გაიხსნა სენაკის მაზ. კომკავშირის თემკომის მდივნების კვირეული კურს-ყრილობა, რომლის მიზანი იყო გაცნობა თემის ხელმძღვანელ ამხანაგებისათვის, როგორც კავშირის ორგანიზაციული საკითხების, ისე იმ საკითხების, რომელიც დღეს წამოჭრილია პარტიის და ხელისუფლების წინაშე.

კურს-ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხები: სოციალიზმის ერთ ქვეყანაში შენების შესახებ; პარტიის ამოცანები მეურნეობის დარგში, პარტ-ხელმძღვანელობა კომკავშირზე, კავშირის ზრდის საკითხები, მუშაობა ქალიშვილთა შორის. უჯრედების კულტ და საზოგადოებრივი პოლიტიკური მუშაობა და სხვა. მასთან ჩატარებულ იქნა საუბარი პრაქტიკულ საკითხებზე: უჯრედების ბიუროების, თემკომების და მისი კომისიების მუშაობა, ბიუროების და თემკომების საკანცელარიო მუშაობა და სხვა.

თემის ხელმძღვანელ ამხანაგებისათვის მაზრის ზოგიერთ ორგანიზაციებში არსებული არასასურველი მოვლენების გაცნობისა და მათთვის პრაქტიკის მიცემის მიზნით აღნიშნულ კურს-ყრილობაზე მოწვეულ იქნა სამკომთან არსებული საკონფლიქტო კომისიის ღია სხდომა, სადაც გაირჩა წევრთა მიღება-გამორიცხვის და სხვა პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რომლის გარჩევაში კურს-ყრილობის მსმენელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სათათბირო ხმით.

კურს-ყრილობის მსმენელები აგრეთვე დაესწრნენ 7 აგვისტოს სენაკის სამპარტკომის გაფართოებულ პლენუმს, სადაც მოსმენილ იქნა ამხ. მ. ხახიანის მოხსენება ს. კ. პ. ცეკას და ც. ს. კ. ივლისის პლენუმის შედეგებზე. კურს-ყრილობაზე ჩატარებული საუბრების შესახებ მსმენელებს მიეცათ თეზისები. კურს-ყრილობის მეცადინეობა დასრულდა და ამხ. დაუბრუნდნენ თავიანთ თემებს.

მ. ხ—ა.

უჯრედი სუსტად მუშაობს

(სახელმწიფო სტამბა, სოხუმი)

სტამბის უჯრედი აერთიანებს 12 პარტწევრს და 10 კანდიდატს. წინად უჯრედის ზრდა მიმდინარეობდა სტამბის მუშების ხარჯზე, ეხლა კი უჯრედის ზრდა შეჩერებულია უჯრედების სხდომები ეწყობა და არა რეგულიარულად, დროგამოშვებით, მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში მუშაობა გაუმჯობესდა, უჯრედი გამოცოცხლდა, და კრებებიც ეწყობა სისტემატიურად, როგორც დახურული, აგრეთვე ღია.

მაგრამ მიუხედავად ამისა, უჯრედის მუშაობას თან სდევს ნაკლი, მაგალითად, უჯრედის ბიურო იჩენს უმოქმედობას, სხდომები არ ეწყობა, უჯრედზე გასარჩევი კითხვები წინასწარ ბიუროში არ ირჩევა, ხშირია შემთხვევები, როცა ბიუროს საკითხებს თვით მდივანი სწყვეტს. უჯრედის წევრთა შორის მუშაობა არ არის განაწილებული, ასე რომ უჯრედის წევრები არ არიან უჯრედის პარტმუშაობაში ჩაბმულნი, რის გამო უჯრედის წევრებში სრული პასივობაა. ამასთანავე უჯრედს არა აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა. ასე რომ, უჯრედის სხდომებზე ირჩევა არა პრაქტიკული და ისიც შემთხვევითი ხასიათის საკითხები. პარტდისციპლინა არ არის დაცული. ხშირად წევრები არ ესწრებიან უჯრედის სხდომებს, საწევრო გადასახადი ზოგიერთს არ აქვთ შემოტანილი. წევრთა პოლიტცოდნის დონე ძალიან დაბალია. გაზაფხულზე მუშაობდა პოლიტცოდნის სკოლა, მაგრამ მსმენელები ნაკლებად ესწრებოდენ და შედეგიც არადამაკმაყოფილებელი იყო.

უჯრედთან არსებობს რემედასის, ავიაქიმის უჯრედები და შეფ. კომისია, მაგრამ მათი მუშაობა სუსტად ტარდება. სტამბაში არის ათამდე მუშა ქალი. მათ შორის მუშაობა არ სწარმოებს. ქალებთან ერთად მუშაობაში შეიძლება ჩაბმა მუშების ცოლების და სხვა. სტამბაში არის აგრეთვე ჩამოყალიბებული კომკავშირის უჯრედი, მისი ზრდა ძალიან სუსტად მიმდინარეობს. კომკავშირის უჯრედში პარტკადრი თითქმის არ მოიძებნება. კომკავშირის და კომპარტიის უჯრედებს შორის კავშირი ძალიან სუსტია, იდეური ხელმძღვანელობა და ურთიერთ შორის წარმომადგენლობა არ არის შემოღებული. სტამბასთან აგრეთვე არ არის ჩამოყალიბებული პიონერთა ორგანიზაცია მუშების ბავშვებისათვის. საწარმოვო თათბირი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სტამბის წარმოების და ნაყოფიერების აწევაზე.

რაც შეეხება მომჭირნეობის ჩატარებას, დღემდის ჯერ ამაზე არავის უფიქრია.

საჭიროა სტამბის კომუჯრედის ყველა აღნიშნული ნაკლი თავის დროზე იქნას აღმოფხვრილი, რისთვისაც უმაღლეს პარტორგანოების ყურადღება უნდა იქნას აქეთკენ მიქცეული, და ინსტრუქტორის და მიმაგრებული ამხანაგების საშუალებით ამ უჯრედის მუშაობა წასწიონ წინ.

შპონი.

გერმანიის მუშათა დელეგაცია 23 აგვისტოს ჩამოვა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის შესახვედრად გამოყო ამხ. **არჩილ მიქაძე, ჭელიძე და ნ. ღლონტი.** დელეგაცია 23 აგვისტოს ჩამოვა ბაქოდან.

დელეგაციის შეხვედრა და მუშაობის გეგმა

გერმანიის მუშათა დელეგაციას, რომელიც ორშაბათს, 23 აგვისტოს, შუადღის 2 საათზე ჩამოვა თბილისში, შეხვდებიან სადგურზე, სადაც გაიმართება მიტინგი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკების კავშირი, რკინისგზელები, მეღითონეები და პასუხისმგებელი პროფმუშაკები.

საღამოს დელეგაცია გაემგზავრება კოჯორში ბავშვთა ახალშენების დასათვალიერებლად. თბილისში დაბრუნებისას დელეგაცია დაათვალიერებს მუშათა კლუბებს.

24 აგვისტოს, დელეგაცია გაიყოფა ორ ჯგუფად.

პირველი ჯგუფი დაათვალიერებს მთავარ სახელოსნოებს, სადაც დილით გაიმართება მიტინგი, შემდეგ დაათვალიერებენ სპილენძის ქარხანას და სტამბას.

მეორე ჯგუფი დაათვალიერებს თამბაქოს ქარხნებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და მუშათა აღმშენებლობას დიდუბეში.

25 აგვისტოს, დილით ყველა დელეგატები წავლენ ზაჰესში, შემდეგ დაათვალიერებენ კოლონიის ახალშენებს და ციხეს. იმავე დღეს დელეგაცია ეწვევა მთავრობას.

სახკინმრეწვის მიერ დელეგაციის მთელი მუშაობა გადაღებული იქნება ეკრანზე.

დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრება 25 აგვისტოს საღამოზე.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დაიზოგება 5.000 მანეთი

ქუთაისი, 20 აგვისტო. ხარჯების შემცირების მიზნით ლეჩხუმის რაიონის სატყეო სამუშაოთა განყოფილება ქუთაისიდან გადატანილია საჭილაოს, ამხ. პოზდეევის სახელობის ხეტყის სახერხ ქარხანაში. მოსამსახურეთა შტატი 8 კაციდან შეამცირეს 4-მდე. გამგეობის გადაყვანით და შტატის შემცირებით წლიურად გამოდის 5.000 ათასი მანეთის მომჭირნეობა და მუშაობის ტეხნიკური მხარე საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

რა უნდა გამოსწორდეს

(თბილისის სადგ.)

სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა 4 აგვისტოს მოიწვია საწარმოო თათბირი.

თათბირმა გამოყო კომისია შრომის ნაყოფიერების ასაწევათ. კომისიამ გამოიმუშავა შემდეგი პრაქტიკული წინადადებები:

სად. თბილისის მოძრაობის საწარმოო თათბირი, აღნიშნავს რა სამანევრო ორთქლმავალთა სიმცირეს, რაიც ნაწილობრივ იწვევს მანევრების შეფერხებას. საჭიროდ აღიარებს, რომ სადგურის სამანევრო ორთქლმავლები არ იგზავნებოდეს „ზაჰესში" სამუშაოდ, არამედ საჭიროებისდაგვარად იგზავნებოდეს ორთქლმავლები მხოლოდ საყუდიდან.

რადგანაც ხშირია შემთხვევები, როცა სად. თბილისში მომავალი მატარებლები არა სწორად არის შედგენილი, რაც იწვევს მათ ხელმეორედ შედგენას და ამით იკარგება ბევრი სამუშაო საათები სრულიად უნაყოფოდ, დაევალოს მე-2 განყოფილების უფროსს, მოქ. მაღრაძეს, გასცეს სათანადო განკარგულება, რომ გამგზავნი სადგურებიდან იგზავნებოდეს სწორად შედგენილი მატარებლები; რადგანაც ტეხნიკურ კანტორის მიერ განწესების არა თავის დროზე მიცემა უარყოფით გავლენას ახდენს მანევრებზე და აფერხებს მუშაობას, ამისათვის დაევალოს თბილისის სადგურის უფროსს, ღვამიჩავას, გასცეს განკარგულება, რომ განწესები იგზავნებოდს ტეხნიკურ კანტორის მიერ თავის დროზე, რათა ერთხელ და სამუდამოდ აცილებულ იქნეს გამზადებული შემადგენლობის ხელ ახალი დაშლა-შედგენა. ვინაიდან გამზადებული მატარებლების ხელახალი დაშლის მიზეზია სათანადო აგენტის მიერ დროზე სწორი ცნობების გადმოუცემლობა სადგურისადმი მიმავალი მატარებლის რიცხვის და მიმართულების შესახებ. ამისათვის დაევალოს იმავე მაღრაძეს, რომ მან მისცეს განკარგულება მორიგ აგენტებს, რათა მათ დროზე სწორედ აძლიონ ცნობები სადგურს.

ამას გარდა, ვინაიდან მემანქანეთა გუნდები სამანევრო ორთქლმავლებისა ეწევიან მუშაობას, საწვავ მასალის შენახვით ჭერტი ჯილდოს მიღებისათვის, რასაც მოაქვს საგრძნობი შეფერხება მანევრებში, ეცნობოს საყუდის მე-4-ზე უბნის უფროსს მიიღოს შესაფერი ზომები ასეთი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

ვინაიდან ხშირია აქ ასეთი მოვლენები, როდესაც სადგურის მორიგი აცნობებს მეისრეთა საგუშაგოებს მეზობელ სადგურიდან მატარებლის გამოსვლას და გამოსული მატარებელი კი იგვიანებს ზედმეტს, რის გამო შეჩერებულია ამ დროს ყოველგვარი მანევრები. ამისათვის დაევალოს სადგურის მორიგეებს, რათა მეისრეთა საგუშაგოებს აძლიონ ცნობა გამოსულ მატარებლების ნამდვილი დროის შესახებ. ამით აგვცილდება კიდევ ერთი დეფექტი და სამუშაო დროის უნაყოფოთ ფლანგვა, რასაც დღემდე ჰქონდა ადგილი. რადგანაც რონოდების ნორმალურ განწესრიგებისათვის აუცილებლად საჭიროა შუშის პატარა ჩიხის განთავისუფლება, კომისია მოითხოვს განთავისუფლებულ იქნეს ეს და პირველი გამწევი ლიანდაგი სად. ავჭალიდან მატარებლის მისაღებად და სპეციალურად გამოყოფილი იქნეს მატარებლების შესადგენად მე-11 და მე-12 ლიანდაგები. სახანძარო მატარებელი, რომელსაც უკავია ჩიხი, იქნეს გადაყენებული იქვე გვერდზე, მეორე ჩიხი და სახანძარო მატარებლის მიერ დაკავებული ლიანდაგები კი იქნეს გამოყენებული ორთქლმავალთა გამოსაყვანად საყუდიდან.

ამას გარდა, რადგან შრომის ნაყოფიერებისათვის პასუხისმგებლობა დღემდე ქონდა დაკისრებული მხოლოდ მანევრების უფროს შემადგენლობას, პასუხისმგებლობა დაევალა აგრეთვე ლიანდაგების მორიგებესაც.

აი, ყველა ის პრაქტიკული წინადადებები, რაც გამოიმუშავა საწარმოო თათბირმა, უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

მუშკორი **ის. გოგიბერიძე.**

პრესა მომჭირნეობის შესახებ

სად ფუჭდება და იკარგება საქონელი

ფაბრიკა-ქარხნის თუ სოფლის პროდუქციის ღირსება მარტო ამ პროდუქციის მწარმოებელზე არაა დამოკიდებული. საქმე ისაა, რომ საქონელი, სანამ ის მყიდველამდე აღწევს, მრავალი კაცის ხელში გადის. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ტრანსპორტი, პროდუქციის გადაგზავნ-გადმოგზავნა.

ხშირად ხდება, რომ მოგზაურობის დროს საქონელი სრულიად უვარგისდება. ასე ემართება, უმთავრესად, როგორც ვიცით, საფრთხილო ნაწარმოებს—შუშეულობას, რძის პროდუქტებს, ხილს და მრავალ სხვას.

ამიტომ მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის გადაზიდვის მოწესრიგებას. საქმის ისე დაყენებას, რომ წაღებ-წამოღებაში საქონელი არც ნაწილობრივ და არც მით უფრო სრულად არ უვარგისდებოდეს. ამ საყურადღებო საკითხს ეხება ამხ. მ. ბაკშაევი „ნაშა გაზეტა"-ში. ის სწერს:

„როგორც საწყობის მუშაკმა, მე უნდა აღვნიშნო ის ნაკლულოვანებანი, რომელსაც ხშირად ვამჩნევ საქონლის მიღების დროს. შაქრის ფხვნილში ურევია მარილი პირველ ხარისხოვან პურის ფქვილში—ჭვავის ფქვილი, ხორბლეულ საქონელში მტვერი და ასე. ამავე დროს ტომრები სრულიად მთელებია. რკინის ლევდების გადაჭერა, საქმეს არც კი შველის.

სხვა საქონელსაც მოსდის ასეთი ცოდვები. არის შემთხვევები, როცა ყუთებში აკლია პაპიროსები, ყავა მოკკოს მაგიერ—ქვებია, საპონის ნაცვლად—შეშის ნაჭრები და სხვა. საქონელი კი კოხტადაა ჩალაგებული და ყუთებზე დადაღული ტყვიებიც კი ჰკიდია.

მართალია, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ადგენენ ხოლმე აქტს, მაგრამ საქმეს ეს არ შველის. გამგზავნელთა პასუხი სრულიად მარტივია: „საქონელი ჩვენ მიერ თქვენთვის გამოგზავნილია სრულად, რაც გზაში დაიკარგა, რა ჩვენი ბრალია".

სად უნდა ვეძებოთ დამნაშავე, როცა საქონელის ხარისხი გადაგზავნის დროს ზიანდება, ან გაგზავნილი საქონელი სრულიად იკარგება. ყუთები მთელია. გარედან დადაღული ტყვია ჰკიდია. მაშასადამე, ასკვნის ამხ. ბაკშაევი:

„უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება იქ, სადაც საქონელის ჩალაგება სწარმოებს. აქ საჭიროა რაღაც გადამწყვეტი და სასტიკი ღონისძიებანი.

ოპოზიციონური ლიკვიდატორების პლატფორმა*)

ლენინის ხაზიდან სხვადასხვაგვარ ოპოზიციონურ გადახრათა წარმოშობასთან ერთად თითქმის ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ისეთი პირი, რომელიც აგრძელებს და ამრავლებს ოპოზიციის შეცდომებს და ლოღიკურად განვითარებულ სახეს აძლევს მათ.

ეს ლოღიკურად განვითარებული პლატფორმა იძლევა საშუალებას მსჯელობა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ საითკენ „იზრდება" ოპოზიცია და როგორ სახეს მიიღებს იგი მეორე ან მესამე დღეს, თუ იგი „დაჟინებით ხელს არ აიღებს თავის შეცდომებზე".

უკანასკნელ წლების განმავლობაში პარტიას მოუხდა სერიოზული ბრძოლის წარმოება სხვადასხვაგვარ შინაპარტიულ ოპოზიციონურ მიმდინარეობებთან. 1923—24 წლებში იგი იძულებული იყო ებრძოლა ტროცკიზმთან; 1925—26 წლებში—ეგრედ წოდებულ „ახალ ოპოზიციასთან"; უკანასკნელ თვეში იგი დადგა აუცილებლობის წინაშე—დაეძლია გაერთიანებული ოპოზიცია, რომელმაც თავის შემადგენლობაში შეიყვანა თავის იდეურ ჰეგემონების—ტროცკისტების გარდა, „ახალი ოპოზიციის" წარმომადგენლები და თავისკენ მიიზიდა „მუშური" ოპოზიციის ნაშთებიც კი.

გაერთიანებულმა ოპოზიციამაც მონახა თავისი იდეური განმგრძობი და თავის შეცდომათა განმრავლებელი. ჩვენ მხედველობაში გვყავს ოსოვსკი, რომელიც გამოვიდა ჯერ არალეგალურად, შემდეგ კი ლეგალურად თავისი პლატფორმით: „პარტია მე-14 ყრილობისთვის", რომლის განხილვასაც შეუდგებით ამ წერილში.

ოსოვსკის პლატფორმის ცენტრალური პუნქტია მტკიცება იმისა, რომ **შეუძლებელია კომპარტიის მთლიანობა,** ვინაიდან სახელმწიფო, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, არაპროლეტარულ ხასიათს ატარებს (მისი ცენტრალური იდეის აზრი სწორედ ასეთია).

> „ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა (პარტიის მთლიანობის **ა. ს.**) არ იქნებოდა საძნელო, ამბობს ოსოვსკი, რომ საჭირო იყოს დამტკიცება არა ერთად-ერთი ლეგალური პარტიის მთლიანობის შესაძლებლობისა. ამ შემთხვევაში პარტიას, რომელიც თავის ირგვლივ აჯგუფებს ჩვენს ქვეყნის ეკონომიურ ინტერესების განსაზღვრულ სექტორს, შეუძლია შეინარჩუნოს აბსოლიუტური მთლიანობა, და სხვა პარტიებს და ჯგუფებს მისცეს შესაძლებლობა, რომ თავის ირგვლივ შეაჯგუფოს დანარჩენი ეკონომიური ინტერესები. მაშინ ჩვენ ვიქნებოდით მთლიანი მმართველი პარტია, მაგრამ არა ერთად-ერთი პარტია ჩვენს ქვეყანაში. გაცილებით უფრო რთულია ერთად-ერთი ლეგალური პარტიის აბსოლიუტური მთლიანობის დამტკიცება იმ ქვეყანაში, სადაც **ეკონომიკა მეტად სხვადასხვაგვარია.** უკანასკნელის შესახებ არავინ არასოდეს არ დავობდა, ე. ი. არავინ არ დავობდა იმის შესახებ, რომ ჩვენს მეურნეობაში არის ისეთი სამეურნეო სექტორები, სადაც კაპიტალისტურ საქმიანობას შეეძლო დადებითი როლის თამაში. **ასეთ შემთხვევაში პარტიამ, რომელიც ფორმალურად რჩება აბსოლიუტურად მთლიანი და ერთად-ერთი, ფაქტიურად თავის სახით უნდა დაიცვას ჩვენი ქვეყნის ყველა არსებული ინტერესები და მათ შორის კაპიტალისტურ მწარმოებლების ინტერესებიც".**

ჩვენი პარტიის შეცოდება, ე. ი. მისი დაცურება პროლეტარიატის კლასიურ პოზიციებიდან სხვადასხვა კლასების ინტერესთა წარმომადგენლობისაკენ, ახალი პლატფორმის ავტორის აზროვნებაში უეჭველად ლოღიკურად არის დაკავშირებული **პარტიის ხელისუფლების სათავეში ჩადგომასთან.**

ვინაიდან, პირველი, ეკონომიურ სტრუქტურათა სხვაობა არსებობდა რესპუბლიკების ეხლანდელ კავშირის ტერიტორიაზე პროლეტარიატის **დიქტატურამდეც;** თუმცა ოსოვსკის სტრუქტურათა სხვაობის შიშველი ფაქტიდან ჯერ კიდევ არ გამოჰყავს პარტიის გადაგვარების აუცილებლობა; პირიქით, იგი ხაზს უსვამს, რომ რევოლიუციის პერიოდამდე პარტიას შეეძლო ყოფილიყო და იყო პროლეტარიატის კლასიურად გამძლე ავანგარდი; მისი გადაგვარება კი, უეჭველია, გამოწვეულია ისეთი მდგომარეობით, რომლის დროსაც პარტია ჩვენი ქვეყნის **ეკონომიურ აღმშენებლობის საქმეს ხელმძღვანელობს.** ან **სცდილობს უხელმძღვანელოს,** ე. ი. გამოწვეულია **პროლეტარიატის დიქტატურით.**

მეორე, ერთად-ერთ ლეგალურ პარტიად კომუნისტური პარტია, როგორც ცნობილია ყველასათვის, გახდა იმის გამო, რომ იგი გახდა **მმართველ პარტიად,** ე. ი. იმ პარტიად, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში სდგას.

ამგვარად, ჩვენი პარტიის გადაგვარება ოსოვსკის მიხედვით გამოწვეულია მისი როლით საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ, რომელიც თავისი ობიექტიური მდგომარეობის გამო, ვითომც იძულებულია წარმოადგინოს საბჭოთა საზოგადოების ყველა სოციალ-ეკონომიურ ძალთა ინტერესები.

ზემოყვანილ ციტატიდან ცხადია, რომ ოსოვსკი ლაპარაკობს კომპარტიაზე წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენის არა შესაძლებლობაზე, **არამედ კომპარტიის მთლიანობის შეუძლებლობაზე იმ პირობებში, როცა ეს პარტია არის ერთად-ერთი ლეგალური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა სახელმწიფოს.**

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენს პარტიულ წრეში ჩვენი პარტიის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა არა ერთხელ წამოაყენეს დებულება იმის შესახებ, რომ აუცილებელია წვრილ-ბურჟუაზიული გავლენა ჩვენი პარტიის ყველა ნაკლებ სიმტკიცის მქონე ელემენტებზე, განსაკუთრებით ისეთს პირობებში, როდესაც კომპარტია ერთად-ერთი ლეგალური პარტია არის; პარტიულ პრესის ფურცლებზე გამოხატულება ჰპოვა პარტიის განხეთქილების **შესაძლებლობის** შესახებ საკითხების საერთო თეორეტიულმა დასმამ, რაც სავსებით კანონშეზომილია, გასაგებია, ბუნებრივია და არა ახალია. მაგრამ **არასოდეს და პარტიის არცერთ წევრს,** როგორი ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო მისი გადახრა, არ უთქვამს, რომ აუცილებელია განხეთქილება, შეუძლებელია მთლიან და ერთად ერთ კომპარტიის არსებობა.

მხოლოდ იმ იდეური დაავადების ატმოსფერაში, რომელიც ახასიათებს უკანასკნელ შინა-პარტიულ ოპოზიციებს, რომლებიც ეხლა ანტიპარტიულ ფრაქციულ მუშაობის საერთო კალაპოტში მოექცნენ, მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციის ლენინური პრინციპების წინააღმდეგ ოპოზიციის მიერ სისტემატიური ბრძოლის წარმოების წიაღში იყო შესაძლო წარმოშობილიყო და თავი ეჩინა ოსოვსკის განსაცვიფრებელ ლიკვიდატორულ იდეას იმის შესახებ, რომ ჩვენმა პარტიამ, „ფორმალურად რჩება რა აბსოლიტურად მთლიანი და ერთად-ერთი, ფაქტიურად თავის სახით უნდა დაიცვას ქვეყნის ყველა არსებული ინტერესები და მათ შორის კაპიტალისტურ მწარმოებლების ინტერესებიც".

მკითხველი ამაოდ დაიწყებს სერიოზულ არგუმენტაციის ძებნას ოსოვსკის დასაბუთებაში. მას აქვს მხოლოდ ერთი არგუმენტის აჩრდილი. ვინაიდან პარტია ხელმძღვანელობს სახელმწიფოს და რადგან სახელმწიფო თავის მმართველ და მომწესრიგებელ ფუნქციებში აუცილებლად შედის მჭიდრო კავშირში სხვადასხვა ეკონომიურ სტრუქტურებთან, თვით კაპიტალისტურ სტრუქტურასთანაც კი, ამიტომ სახელმწიფო და მისი მმართველი პარტიაც იძულებული არიან თავის პოლიტიკაში გამოსახონ სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურ ფენების ინტერესები, თვით კაპიტალისტურ მწარმოებლების ინტერესებიც.

საკითხის ამ დასმიდან გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატს, რომელიც შეკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლებაში, არ შეუძლია **კლასიური** ეკონომიური პოლიტიკის წარმოება ისეთ პირობებში, როცა სახალხო მეურნეობაში საკმაოდ იმყოფებიან სოციალიზმის წინა ხანის ეკონომიური ფორმაციის ელემენტები. ოსოვსკის თვალსაზრისით, სოციალისტური აღმშენებლობა და სოციალიზმისაკენ წარმატებით წინსვლა პროლეტარულ სახელმწიფოს მხრით შესაძლო და უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მეურნეობა მონოლიტურად განსაზოგადოებრიებულია, ე. ი. როდესაც ყოველ მხრივ, ირგვლივ სოციალიზმია. სხვანაირად რომ ვსთქვათ, პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც კლასიურად-გამძლე ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებს, წარმოსადგენია მხოლოდ ისეთ ისტორიულ პირობებში, როცა პროლეტარიატი შეადგენს ყველაფერს,—ან თითქმის ყველაფერს,—საზოგადოებრივ მთელს, და როცა ყველაფერი, ან თითქმის მთელი მეურნეობა მოწყობილია როგორც განსაზოგადოებრიებული სოციალისტური მეურნეობა.

ეს აზრი შეიცავს უდიდეს უაზრობას.

თუ მთელი მეურნეობა განსაზოგადოებრიებულია და პროლეტარიატი შეადგენს ყველაფერს ან თითქმის მთელ საზოგადოებას, მაშინ ჩვენ არსებითად აღარ გვყავს არც პროლეტარიატი, არც კლასები, არც პროლეტარული სახელმწიფო (ვინაიდან თუ არ არსებობენ კლასები, არ არსებობს სახელმწიფოც). არცერთი ჭკუათ-მყოფი ადამიანი არასოდეს არ ფიქრობდა, რომ შეიძლება იარსებოს ერთკლასიანმა საზოგადოებამ.

ამგვარად, პროლეტარიატის კლასიურად-გამძლე სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს მის ისტორიულ ინტერესებს, ოსოვსკის მიხედვით, შესაძლოა არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა კლასები საზოგადოთ და პროლეტარიატი კერძოდ, და მაშასადამე, მოისპობიან საზოგადოდ სახელმწიფოს და კერძოდ პროლეტარულ სახელმწიფოს არსებობის პირობებიც.

სოციალიზმისაკენ წარმატებით წინსვლა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც სოციალიზმი უკვე განხორციელებულია,—ეს უაზრობა არის ოსოვსკის ძირითადი აბსტრაქტიულ-თეორეტიული „მარგალიტი", ესაა მისი მეცნიერული სისტემის ცენტრალური იდეა.

განა საჭიროა დამტკიცება, რომ ოსოვსკი აქ უმეცრად ქადაგებს კაუცკისა და ოპორტიუნიზმის ყველა თეორეტიკოსების სიბრძნეს, რომლებიც პროლეტარული რევოლიუციის წინასწარ პირობად სთვლიან კაპიტალიზმის სრულ ან თითქმის სრულ გაბატონებას ყველა სხვა, კაპიტალისტურ ხანამდე არსებულ ეკონომიურ სტრუქტურებზე?

მაგრამ ოსოვსკის შეუძლია გადაუხვიოს თავის კატეგორიულ მსჯელობებს და დაადგეს იმ თვალსაზრისზე, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს შეუძლია გამძლე-კლასიური პოლიტიკის წარმოება სხვადასხვაგვარ სოციალ-ეკონომიურ ფორმათა ერთად არსებობის დროსაც, მაგრამ ამ ფორმათა ისეთ ურთიერთ დამოკიდებულობის დროს, როცა მეურნეობის სოციალისტური სექტორი თავისი მასშტაბით, პროდუქციით, როლით სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში ტოლა წინ სდგას სხვა სოციალისტურ სამეურნეო სექტორებზე, სხვანაირად რომ ვსთქვათ, პროლეტარულ სახელმწიფოს შეიძლება ქონდეს ადგილი და შეუძლია აწარმოოს კლასიურად გამძლე პოლიტიკა მხოლოდ **ყველაზე უფრო მოწინავე** ქვეყნებში, და არა ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომელთა რიცხვს ტეხნიკურ-ეკონომიური მხრივ ეკუთვნის საბჭოთა ქვეყანაც.

დაუშვათ, რომ ოსოვსკი ანაზდად შეიჭრა ამ თეორეტიულ კარიბჭეში. გამოვათრიოთ იგი იქიდან მზის სინათლეზე. აღვნიშნოთ უპირველეს ყოვლისა, რომ ოსოვსკის თეორეტიული დებულება შესაძლოა სრულის უფლებით მივაკუთვნოთ **ბურჟუაზიულ** სახელმწიფოსაც. ბურჟუაზია, შეკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებაში, აწარმოებს თავის ეკონომიურ პოლიტიკას ისეთ პირობებში, როცა ერთად არსებობენ კაპიტალისტური და კაპიტალისტურ ხანამდე არსებული სამეურნეო ფორმები (ნატურალური მეურნეობა, მარტივი საქონლის მეურნეობა).

მოვიგონოთ თუ გინდ ისეთი ისტორიული ეპოქა, როგორც ეპოქა, რომელიც მთელ რიგ დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში დადგა ბურჟუაზიულ რევოლიუციების შემდეგ. მაშინ ბურჟუაზია, როცა ჩადგა სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში, აწარმოებდა კლასიურ პოლიტიკას და თავისი პოლიტიკით ამაგრებდა კაპიტალიზმს, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური სექტორი ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო, რომ კაპიტალისტურ ხანამდე არსებული სამეურნეო ფორმები განსაკუთრებულ დიდ როლს თამაშობდენ მრეწველობაშიაც კი (მოიგონეთ საფრანგეთი უშუალოდ დიდი რევოლიუციის შემდეგ).

ოსოვსკის ლოღიკა აიძულებს ამტკიცოს, რომ ეს ბურჟუაზიული სახელმწიფოები აწარმოებენ არა წმინდა კლასიურ პოლიტიკას, არამედ ისეთ პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს და იცავს ყველა სამეურნეო ფორმების ინტერესებს (მათ რიცხვში მარტივ საქონლის წარმოების ინტერესებსაც). მაგრამ მაშინ რაღა რჩება ლენინის ანდერძთა ამ „დამცველს" და პარტიის „დამხსნელს" მარქსისტულ - ლენინურ სახელმწიფოს თეორიიდან? არ იქნება ურიგო, რომ ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, თუ როგორ მივიდა კაუცკი პროლეტარიატის დიქტატურის თეორიის კრიტიკიდან მარქსის სახელმწიფოს შესახებ მოძღვრების სრულ რევიზიამდე.

ოსოვსკის რომ თავის გონებრივ უნართათვის ძალა დაეტანებია, რასაკვირველია, შეეძლო კიდევ ერთი არგუმენტის მოსაზრება. საბჭოთა სახელმწიფო თავის გეგმიანი ზემოქმედებით შეიცავს სხვადასხვა სამეურნეო ფორმებს, მაშინ როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოები არ აწარმოებენ გეგმიან მეურნეობას და უშუალო - მომწესრიგებელი ფუნქციებით არ ეხებიან სოციალურად—უცხო სამეურნეო ელემენტებს, როგორც ამას შეიძლება ქონდეს ადგილი საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომელიც გეგმიანობას ატარებს, ან აქვს ტენდენცია გაატაროს გეგმიანობა კერძო სამეურნეო სექტორებშიაც (მაგ., კონცესიურ წარმოებათა და გლეხის მეურნეობის მიმართაც კი). ამიტომ, ჩვენი ზემოყვანილი ანალოგია დაუშვებელი არისო. მაგრამ ძნელი არაა იმის შეგნება, რომ ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივ ეკონომიურ პოლიტიკაში გეგმიან — მომწესრიგებელ ელემენტების შეტანა არა სცვლის მის კლასიურ ხასიათს.

ავიღოთ, თუნდ სახელმწიფოებრივ—კაპიტალისტური ურთიერთობანი, რომელიც შეიქმნა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ომის დროს; ბურჟუაზიული სახელმწიფო ამ პერიოდში იწყებდა სამეურნეო განვითარებისა და კაპიტალისტურ ხანამდე არსებულ ეკონომიურ ფორმების დაგეგმილი წესით მოწესრიგებას, — მაგრამ იგი ოდნავადაც არ კარგავდა თავის კლასიურ ხასიათს. ამიტომ არგუმენტი გეგმიანობის შესახებ სავსებით უვარგისია.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ოსოვსკის მეთოდოლოგიას მარქსიზმის სუნიც კი არ უდის. რომ დავდგეთ მის თვალსაზრისზე, რომ სერიოზულად მივიღოთ მისი არგუმენტაცია, სახელმწიფოებრივ პოლიტიკას რომ ოსოვსკისებურად მოუხდინოთ ანალიზი, მაშინ მივალთ შეუსაბამო დასკვნამდე, რომ **არასოდეს, არსად და არც ერთი სახელმწიფო არ აწარმოებდა კლასიურ პოლიტიკას,** რომ ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში ეწეოდენ კლასიური ექსპლოატაციის და შევიწროების მეთოდებს, — ოსოვსკის თვალსაზრისით,— აწარმოებდენ **არა კლასიურ, არამედ კლასთა - შორისო, ზეკლასიურ პოლიტიკას.**

ვულოცავთ მას ამ აღმოჩენას, მაგრამ მოვაგონებთ მას, რომ როცა იგი ასეთ გზაზე შესდგა, მან დაკარგა ყოველივე, რაც შემთხვევით და ზერელედ შეიძინა მარქსიზმიდან. აქ ოსოვსკი სავსებით და მთლიანად სდგება ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნიადაგზე.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, შევჩერდებით სახელმწიფოს საკითხზე, იმიტომ რომ ამ საკითხის არამარქსისტულად გადაწყვეტაში არის ჩამარხული ფესვი ოსოვსკის ყველა იმ უბედურობათა, რომელიც თან სდევს მას მენშევიზმისაკენ თეორეტიულ მოგზაურობაში. პარტია აუცილებლად განიცდის გადაგვარებას,—ოსოვსკის მიხედვით,—იმიტომ, რომ იგი ჩაება სახელმწიფო აპარატში, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსახავდეს სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურ ჯგუფების ინტერესებს"; „კაპიტალისტურ მწარმოებელთა" ინტერესებამდეო; ოსოვსკის მიხედვით, პარტიის გადაგვარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს გადაგვარებასთან.

ოსოვსკის მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ ყოფილა **პროლეტარულ** სახელმწიფოს ფორმა. აქედან ცხადია, რომ ოსოვსკის **არ** შეუძლია ილაპარაკოს **მუშურ სახელმწიფოს გადაგვარებაზე:** ვინაიდან არ შეიძლებოდა გადაგვარებულიყო ის, რაც არ არსებობდა. გადაგვარებას განიცდის, ოსოვსკის თანახმად, **მუშურ - გლეხური** და არა მუშური სახელმწიფო, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება, ახალი რევიზიონისტის თეორიის თანახმად, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ფორმაა.

> „აქ უნდა მოვიგონოთ, სწერს ოსოვსკი, საბჭოთა მე-8 ყრილობის კომპარტიის (ბ) ფრაქციის სხდომაზე ლენინის მიერ ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო არ მუშური, არამედ მუშურ - გლეხური. გამოდის რომ მხოლოდ ეხლა, 6 წლის შემდეგ გახდა გასაგები, რატომ ვერ შეითვისა ამხ. ბუხარინმა დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ იქიდან, რომ **ჩვენი სახელმწიფო არა მუშურია, არამედ მუშურ-გლეხური...** ლენინის ცნება „მუშურ-გლეხური სახელმწიფო" აუცილებლად გულისხმობს განსაზღვრულ დისტანციას, რომლითაც დაშორებულია პროლეტარიატი და რამდენადმე გლეხობაც ამ სახელმწიფოსაგან. მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსა და პროლეტარიატს შორის აუცილებლად არსებულ ამ დისტანციის ხელოვნურ წაშლის ცდებს შესაძლოა საბედისწერო შედეგები მოჰყვეს პროლეტარულ რევოლიუციისათვის. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ იმ კლასების ინტერესების სასარგებლოდ, რომლებიც ობიექტიურ - ისტორიულ პირობათა ძალით ვერ გახდენ ძველი გაკოტრებული რეჟიმის მემკვიდრენი და სურთ, რომ მომავალში მაინც გახდენ ასეთებად, და ამისათვის გამოიყენონ საუკუნის განმავლობაში დაგროვილი პროლეტარიატის ორგანიზაციული გამოცდილება. ამ კლასებისათვის სასარგებლოა განსაზღვრულ დრომდე ნიღაბი აფარონ სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფოს ნამდვილ სახეს და უწოდონ მას 100%-ით სოციალისტური ან ამასთან მეტად ახლო მდგომი („დე, უწოდონ",—ამბობს უსტრიალოვი) და ამგვარად შეასუსტოს პროლეტარიატის სიფხიზლე, რომ ამით ემზადოს ახალი ისტორიული როლებისათვის".

ხლესტაკოვ - ოსოვსკის ხელთ უპყრია ჭეშმარიტების გასაღები. მან, და ცოტა ლენინმაც, იცის, რომ ჩვენი სახელმწიფო არა მუშურია, და უშიშრად ამხილებს იმათ, ვინც ამაში ედავება, უწოდებს მათ „ძველი გაკოტრებული რეჟიმის მემკვიდრეებს". თუ ყველა კომუნისტები დამფრთხალი არიან და ოსოვსკის აზრით, სიმართლის ლაპარაკს ბედავენ მხოლოდ „ერთ ჭიქა ლუდთან ან ერთ ბოთლ ღვინოსთან თავის სახლში, პარტიულ ორგანიზაციისა და პროლეტარულ საზოგადოებრიობის მოშორებით", — მას სიტყვების ძებნა არ უხდება და ნამდვილ ჭეშმარიტებას სახეში მოგახლისთ.

მაგრამ ეს „გამბედაობა" (განა უმჯობესი არ იქნება აქ ვიხმაროთ სხვა სიტყვა, რომელიც უფრო სწორად გამოხატავდა პოლიტიკაში ამ თამამი მესხინინის ძირითად თვისებას?) სრულიად არ ემყარება სერიოზულ შესწავლას და თეორეტიულად მოფიქრებულ დებულებებს. ხლესტაკოვმა სიტყვა ჩამოაგდო ლენინზე, მაგრამ ლენინს კარგად ვერც კი იცნობს.

ლენინმა მართლაც სთქვა ერთხელ, რომ ჩვენ გვაქვს „მუშურ - გლეხური სახელმწიფო", მაგრამ თითქმის მაშინვე განმარტა, რომ ეს ნათქვამი შეცდომაა.

„როდესაც ვლაპარაკობ 30 დეკემბრის დისკუსიაზე, სწერს ლენინი 1921 წ. შემოდგომაზე წერილში „პარტიის კრიზისი", მე მინდა გავასწორო კიდევ ერთი ჩემი შეცდომა. მე ვთქვი: „ჩვენი სახელმწიფო ნამდვილად არა მუშურია, არამედ მუშურ-გლეხურია"-თქო.

ამხ. ბუხარინმა მაშინვე წამოიძახა: „როგორია?". მის საპასუხოდ მე დავემყარე ეხლახან დამთავრებულ საბჭოთა მე-8 ყრილობას. ეხლა, როდესაც ვკითხულობ ანგარიშს დისკუსიის შესახებ, ვხედავ, რომ მე არ ვიყავი მართალი, ხოლო ამხ. ბუხარინი მართალი იყო. მე უნდა მეთქვა: „მუშათა სახელმწიფო არის აბსტრაქცია, ხოლო **სინამდვილეში ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო,** ჯერ ერთი იმ თავისებურობით, რომ ჩვენს ქვეყანაში სჭარბობს არა მუშური, არამედ გლეხური მოსახლეობა, და მეორე,—მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული დამახინჯებით". (თხზულ. კრებ., ტ. 18, ნაწ. 1, გვ. 33.).

ლენინი მიუთითებს იმ გარემოებათა თავისებურებებზე, რომელშიაც მოქმედებს პროლეტარული სახელმწიფო (გლეხური მოსახლეობის სიჭარბე), შემდეგ იგი ხაზს უსვამს ამ სახელმწიფოს ნაკლსა და სენს (ბიუროკრატიული დამახინჯებანი), მაგრამ იგი ლაპარაკობს ნათლად და არა ორაზროვნად, რომ ფრაზა „მუშურ - გლეხური სახელმწიფოს" შესახებ შემთხვევით წამოსცდა, რომ ეს არის შეცდომა და რომ **საბჭოთა სახელმწიფო არის მუშური სახელმწიფო.**

ტყუილად კი არ დაუწერია ლენინს დიდი შრომა „სახელმწიფო და რევოლიუცია"; ტყუილად არ მოუცია მას პროლეტარიატის დიქტატურის თეორიის ბრწყინვალე კონტრ-კრიტიკა წიგნში: „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი"; ტყუილად არ დაუსაბუთებია მას თეზისი საბჭოების, როგორც პროლეტარულ სახელმწიფოს ფორმის შესახებ.

და ამის შემდეგ ოსოვსკი, ისე, სხვათა შორის ისვრის სიტყვას, რომ ლენინი... ეთანხმება მას საბჭოთა სახელმწიფოს კლასიური ბუნების საკითხში. ეს კი ნამეტანი შარლატანობაა.

მაგრამ ოსოვსკი თანმიმდევრობას იცავს. მას არ უყვარს მტკიცება. იგი პითიასავით წარმოსთქვამს, იგი მეტად ად-

---

*) ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ოსოვსკის წერილზე: „პარტია მე-14 ყრილობისათვის".

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე

ქუთაისი, 20 აგვისტო. ქუთაისის მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე. სამზადისი მუშაობა სწარმოებს.

საგზაო ბეგარა

ახალ-ქალაქი, 20 აგვისტო. სათემო საბჭოების მორიგ კრებებზე ტარდება ფართო კამპანია ამიერ-კავკასიის ცაკის იმ დადგენილების განსამარტავად, რომელიც შეეხება შრომით საგზაო ბეგარას არსებულ სასოფლო გზების შესანახად და შესაკეთებლად.

გორელოვის თემის საბჭომ დაადგინა შეაკეთოს გზატკეცილი ლენინაკანის მაზრის საზღვრებიდან სოფელ ბოგდანოვსკამდე. საგზაო სამუშაოების ტექნიკურ ხელმძღვანელობისათვის მოწვეულია ტექნიკოსი.

მზადება აღწერებისთვის

ახალ-ქალაქი, 20 აგვისტო. დაწყებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა 1926 და 1927 წლის საკავშირო აღწერების ჩასატარებლად. ადგილებზე დგება საოჯახო სიები. ქალაქში იღება ქალაქის გეგმა. შესაფერი ახსნა-განმარტების კამპანია ჩატარებულ იქნა სათემო საბჭოს მიერ.

საკლასო შენობის აგება

ფოთი, 20 აგვისტო. დაიწყო ოთხწლიან შრომის სკოლისთვის შენობის აგება. აღმასკომმა ამ მიზნით გადასდო 17.000 მანეთი.

აჭარისტანი

ჭოროხის ნაპირების გამაგრება

ბათომი, 20 აგვისტო. წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოსალოდნელია მდ. ჭოროხის ადიდების გამო, რაიც დიდ ზარალს აყენებს კახაბერის ხეობას და მახლობლად მდებარე სოფლების ნათესებს, წყალთა მეურნეობის სამმართველო მალე დაიწყებს მდ. ჭოროხის ნაპირების გამაგრებას 10 ვერსის მანძილზე—სოფ. კაპანდიბიდან შავ ზღვამდე.

სამხრეთ-ოსეთი

მეცხენეობა

ცხინვალი, 20 აგვისტო. ოსის შინაურ ცხოვრებაში ცხენი დიდ როლს თამაშობს. 1920 წელს მენშევიკების მიერ სამხრეთ-ოსეთის აოხრებამდე, ცხენების მოშენების საქმე მხარეში კარგად იყო დაყენებული. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა მიაკუთვნა რა შესაფერისი მნიშვნელობა ცხენების მოშენების საქმეს, შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სამხრეთ-ოსეთში არსებული სახელმწიფო ცხენების ქარხნის შენახვა იკისროს ცენტრმა.

წერილები

ქურდ-ბაცაცობა უნდა აღმოიფხვრას

ქურდ-ბაცაცობა სოფლის განმადგურებელია. წარსულ გაზაფხულის პირზე, მევენახეობის მიმდევარ სოფლებში, პირდაპირ საყოველთაო სენათ გადაიქცა ვაზის ნერგების ქურდობა. ასეთი შემთხვევები ხდებოდა გურია-სამეგრელოში, სადაც ბაღებიდან იპარავდენ მანდარინის, ჩაის და დაფნის ნერგებს.

ეს, რაც შეეხება მცენარეულობას, ხოლო გლეხის არც სხვა ქონებაა დაზღვეული ქურდ-ბაცაცებისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსხვილი ოთხფეხის დაკარგვა, როგორიცაა ხარი, ძროხა და ცხენი. ბეღლებისა და სასიმინდეების გატეხვა-გაძარვაც ხომ ქურდ-ბაცაცების ხელობაში შედის.

აღსანიშნავი აქ ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში დაზარალებულმა გლეხმა იცის, ვინც გაჰქურდა ის, ხშირად დასამტკიცებელი საბუთიც საკმაოზე მეტი აქვს ქურდის სამხილებლად, მაგრამ იძულებულია მისივე გამქურდავს ხელი დააფაროს.

რატომ ხდება ეს? ვინც ახლო იცნობს სოფლის ყოფა-ცხოვრებას, მისთვის ამგვარი შეუსაბამობა გასაგებია. ერთიც ვნახოთ, დაზარალებულმა გლეხმა გასცა ქურდი. რა ხდება შემდეგ? დამნაშავე ხომ სამუდამოთ არ იკარგება თავის კუთხიდან. მას გამასწორებელ სახლში მოათავსებენ სამი ექვსი თვით, ვთქვათ ერთი წლით და კიდევ მეტითაც. შემდეგ ის ისევ თავისუფალია, ის კვლავ თავის სოფელში ბრუნდება.

სად უნდა წაუვიდეს ამის შემდეგ მისი მამხილებელი მეზობელი? ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან ერთმანეთზე გადაკიდებული. ან ცეცხლით გადაუხდის მაგიერს, ან ტყვიით, ან სხვა რაიმეს უხიმანკლებს.

გლეხი წინდახედული და ანგარიშის კაციაო, ვამბობთ ჩვენ. ცხადია ამიტომ, რომ დიდის დაკარგვას მცირედის დაკარგვა ურჩევნია მას და ზოგჯერ ქურდსაც ხელი რომ წაავლოს, გაჩუმებულია და ხმას არ სძრავს. ქურდ-ბაცაცასაც ეს უნდა. ის ამით უფრო გათამამებულია და აფართოებს თავის „ხელობას".

ასეთი მდგომარეობა, ცხადია ნორმალურად ვერ ჩაითვლება. რომ ქურდობის ამგვარ იძულებულ ხელის დაფარებას ადგილი აღარ დაურჩეს, ამისათვის საჭიროა სასამართლო ორგანოებმა გააძლიერონ ქურდ-დამნაშავეთა სასჯელი. განსაკუთრებით სასტიკად უნდა მოეპყრათ ისეთებს, რომელთაც ქურდობა ხელობათა აქვთ გადაქცეული.

მაგრამ მარტო ეს ღონისძიება არ კმარა. ამასთან ერთად საჭიროა შემოღებულ იქნას ერთგვარი პასუხისმგებლობა ქურდ-ბაცაცების მხრივ მას შემდეგ, რაც ისინი სასჯელს მოიხდიან. საჭიროა ისინი გაფრთხილებული იქნან, რომ, თუ მათ გამოამაშკარავებელს ბოროტი კაცის ხელით რაიმე ნივთიერი ზარალი შეემთხვა, პასუხი პირველ ყოვლისა მათ მოეთხოვებათ.

ასეთი ღონისძიებებით ჩვენ შეგვეძლება ბოლო მოვუღოთ ქურდ-ბაცაცების დამალვას. თუ მამხილებელს მივეცით იგი იმედი, რომ მას ხელს ვერ ახლებს გამოაშკარავებული ქურდი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ქურდ-ბაცაცობა თითქმის მთლიანად მოისპობა. სოფლის თვალს, როგორც ვიცით, არაფერი გამოეპარება. ყველა ბოროტმოქმედი მზის სინათლეზე იქნება გამოყვანილი.

რ. მ—ძე.

სოფელი შენდება
(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ომისა და მენშევიკების მბრძანებლობის დროს ჩვენი გლეხკაცობა აღმშენებლობაზე სრულებით არა თუ ნაკლებ ფიქრობდა. მაშინ მას სიმშილი აწუხებდა. მან არც კი იცოდა ეს ქვეყანა როდის დადინჯდებოდა და გადარჩებოდა თუ არა დანგრევას ასეთი ორომტრიალის დროს მისი ქოხი.

1922 წლიდან ცხოვრება უკვე კალაპოტში დგება. გლეხს მიეცა მიწა და საშუალება თავისი ნაშრომის წესიერად გამოყენებისა. ამ უკანასკნელს ფასიც დაედო; ღვინო, პური გაჰყიდა, ნელნელა წელში მომაგრდა. ბონების ჩერვონცებზე შეცვლამ, მას ფულის მარაგიც გაუჩინა. და მანაც მაშინვე „საშვილიშვილო" საქმეებზე დაიწყო ფიქრი. ძველ დროს ის აუცილებლივ მიწებს შეისყიდდა, თავის მფლობელობას გაამრავლებდა. დღეს მიწების ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია და სახიფათოცაა. მაშ, რა უყოს მან იმ თავისუფალ ფულებს? და კახელმა გლეხმა დაიწყო სახლების აშენება. და როგორი სახლების? დიდრონების, ქვა-აგურით, ხშირად ორსართულიანისაც კი.

იშვიათი არაა ეხლა ჩვენში ახალი ექვსი, შვიდი, რვა ოთახიანი სახლები, მაგრამ ამ ვებერთელა, ორსართულიან სახლებში სულ 2—3 ოთახია, გარედან შეხედვით კი გეგონებათ ათზე ნაკლები არ იქნებაო. უბედურება ისაა, რომ ეს სახლები შენდებიან უგეგმოთ, როგორც თვით დურგალს მოეპრიანება. ჩვეულებრივად ასეა. დაბლა—მარანი, მაღლა ერთი ან ორი ოთახი გარშემორტყმული „საქეიფო" აივანით. სახლებს არა აქვთ სამზარეულო. ფეხისალაგი და სხვა.

ამავე დროს თვითეულ შენობაზე იმდენი მასალა და შრომა იხარჯება, რომ სრულიად მოწყობილ სახლს ააშენებდა იმავე ოთახების რაოდენობით.

მდიდარ სოფლებში, როგორიცაა არიან: შილდა, ყვარელი და ახალსოფელი, რამოდენიმე ათეული სახლი ერთბაშათ შენდება. ოსტატებს დიდ ფულს აძლევენ, მაგრამ შეგენანება დახარჯული თანხა და ენერგია, როდესაც შიგ შეხვალ და დაათვალიერებ ასეთ უშნო სახლებს.

თუშებმა სოფ. ალვანში ერთმანეთის ჯიბრით სასახლეების აგება დაიწყეს. ზოგ-მათგანმა ხუროთ-მოძღვართ მიმართეს და გეგმაც აიღეს. აქ ზედმეტი არ იქნება ერთი დამახასიათებელი ფაქტი მოვიყვანოთ. როდესაც ხუროთ-მოძღვარი ადგენდა ერთ მდიდარ თუშის სახლის გეგმას, მან ფეხისალაგიც მოივარაუდა. თუშმა ხაზი გაუსვა ამ ოთახს და სთქვა: „ეს არაა საჭირო. იქ სადმე შორს ღობესთან დავდგამო", ხუროთმოძღვარი არ დასთანხმდა: „მე არ შემიძლიან ასეთი სახლის გეგმა მოგცეთ და მას „უბორნია" არ ჰქონდესო". თუში დაეთანხმა: „ჰო, იყოს მაგრამ სუფთათ შევინახოთო".

შენდებიან არა მარტო მდიდრები, შენდებიან ღარიბებიც. ეს კარგი საქმეა, მხოლოდ ამ სტიქიურ აღმშენებლობისათვის გეზის, გეგმის მიცემაა საჭირო. მაზრის აღმასკომს აუცილებლივ უნდა ჰყავდეს ერთი ხუროთ-მოძღვარი, რომელიც ანგარიშს გაუწევს ხსენებულ მოვლენას და გეგმიანობას შეიტანს გლეხების მუშაობაში.

ესტატე კაკულია.

წინ მივდივართ
(სოფ. ქვემო-ჭალა, გორის მაზრა)

ჩვენი სოფელი თანდათან წინ მიიწევს როგორც კულტურულად, ისე მეურნეობის მხრივ. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში მუშაობს ორი ტრაქტორი. ერთი „ფორდზონის" სისტემისა და ერთიც „ხოლტის". გლეხობა მოწადინებულია კიდევ ერთი ტრაქტორი შეიძინოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მემანქანეთა ამხანაგობა მოუწყობელია.

აქ იყო გზები შეუკეთებელი, რასაც სათანადო ყურადღება მიაქცია ადგილობრივ ხელისუფლებამ. დაწყებულია სამზადისი გზის შესაკეთებლად.

სოფელში არის კოოპერატივი, საექიმო პუნქტი, ქოხ-სამკითხველო და საკრედიტო ამხანაგობა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქ არის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, რომელსაც ეკუთვნის „ფორდზონის" სისტემის ტრაქტორი. ამ ტრაქტორს უღარიბესი გლეხები უფასოდ ამუშავებენ. იხდიან მარტო სათბობი მასალის ფულს.

ალიბეგაშვილი.

დაყოვნება დანაშაულს უდრის
(წერილი გორის მაზრიდან)

სკრა-ქარელის არხზე დაიწყო მუშაობა 1922 წლის დასაწყისში. არხს უნდა მოერწყო მოსახლეობის 2.500 დესეტინა მიწა და სკრის სახალხო მამული 160 დესეტინა; სიგრძე—15 ვერსი, იწყება ქარელის ზემოთ სოფ. სამწირისიდან და თავდება სად. სკრასთან—სკრის სახალხო მამულზე.

პირველი 1922 და 23 წლებში სოფლელები ხალისით აწარმოებდენ მიწის მუშაობას ინჟინერ-გიდრავლიკი შ. ლიაძის ხელმძღვანელობით და გაითხარა არხი 11 ვერსი. მას შემდეგ 1924 და 25 წლებში მოსახლეობა არ გამოვიდა სამუშაოთ და მუშაობა შეჩერდა. ძველმა სამელიორაციო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ შესჭამა ამხანაგობის 200 ფუთამდე პური, ხოლო ახალმა გამგეობამ (1924—25 წლების) განმავლობაში ვერავითარი უნარი ვერ გამოიჩინა მუშაობის. (შემოხსენებული სამელიორ. ამხან. ძველი თავმჯდომარე პასუხისგებაში იქნა მიცემული გორის მაზრის აღმასკომის მიერ, მაგრამ ის არ დასჯილა.

1924 და 25 წლებში გაკეთდა მხოლოდ მდინარე ძამაზე გადამწოვი (სიფონი) იმავე ინჟ. შ. ლიაძის მეთაურობით. იმ რაიონის გლეხობამ და სკრის სახალხო მამულმა დახარჯა ამ არხზე —10.000 მუშა ხელი, 1800 ფ. პურის და ქერის ხორბალი და 2.000 მანეთი დაახლოებით. გორის წყლის ოლქის გამგემ გადამწოვის გაკეთებაზე და ოთხი წელიწადი ტექნიკური პერსონალის შესანახავად დაახლოებით დახარჯა—30.000 მან.

ამ ოთხი წლის განმავლობაში გლეხობამ და მამულმა ამ არხით ისარგებლა მხოლოდ და მხოლოდ 20 დღე და ორჯერ მორწყო არა უმეტესი 40 დესეტინა.

ამჟამად არხი გაუქმებულია და შეიძლება მას არ ეღირსოს დამთავრება თუ არა ცენტრალური ხელისუფლების საქმეში ჩარევა. მის დასამთავრებლად საჭიროა: არხის გათხრა ოთხი ვერსზე—მტკვრამდე, მტკვარზე სათავის გაკეთება და რამოდენიმე ალაგას ხიდების და მთის რუების გადმოსაყვანი გადამწოვის გაკეთება, რაც დაახლოებით დაჯდება 45—50 ათასი მანეთი. რაც შეეხება ძველად 11 ვერსზე გათხრილ არხს, რომელიც ნიაღვრიდან ამოვსებულია—ამას სიამოვნებით ამოწმინდავენ გლეხები: სკრა ბეთლემი, რიეთი, კოშკეეი, ქვემო და ზემო ხვედურეთი და ქვენაფლავი და სკრის სახალხო მამული.

ამჟამათ უწყლობის გამო—ეს ბუნებით მდიდარი და რკინის გზასთან მდებარე რაიონი სიღარიბის ქვეშ გმინავს, მაშინ, როდესაც არხის გაყვანით მისი ბიუჯეტი ხუთჯერ გაიზრდებოდა. ასეთივე მდგომარეობაშია სკრის სახალხო მამულიც, რომელიც ხეხილის სანერგეს აწვდის მთელ ამიერ და იმიერ-კავკასიას; ამ მხრივ მას პირველი ადგილი უჭირავს მთელ კავშირში.

მამულის სანერგემ 1924 და 25 წ.წ. გასცა იმდენი ხეხილის ნამყენი, რამდენიც მთელმა უკრაინამ. უკრაინა კი ომამდე აკმაყოფილებდა ნახევარ რუსეთს. მიმდინარე წელს სანერგე გასცემს იმდენ ნამყენს, რამდენიც სამხრეთ-რუსეთის ხეხილის სანერგე „გოსელსკლადი".

ყველა ამათ გამო, ჩვენ გვგონია—თუ 1922 წლის შემდეგ დაწყებული რომელიმე არხის დამთავრება შეიძლებოდა, უნდა დამთავრებულიყო „სკრა-ქარელის" არხი; ყველაზე ადრე აქ დაიწყო მუშაობა.

ის ზარალი, რაც მარტო ერთ წელს მოგვდის უწყლობის გამო, თამამად დაამთავრებს არხს. მასთან უნდა მოგახსენოთ, რომ რაც დრო გადის, მით მეტი ხარჯი იქნება საჭირო არხის დასამთავრებლად, რადგან უკვე ამოღებული არხი თანდათან ივსება მიწით და მიწაც მაგრდება.

ალ. გამსახურდია.

წერილებიდან

სოფ. ყანდაური, (სიღნ. მაზრ.)

— **მუშაობა გაცხოველდა.** ყანდაურის თემაღმასკომი ამოძრავდა. სოფლის შუაგულ ადგილას იყო აყროლებული ჭაობი, ამის გამო გავრცელებული იყო მალარია. აღმასკ. თავმჯდომარე ვ. გახოშვილის მეთაურობით ჭაობს გაუჭრეს არხები და დააშრეს. თემი შეუდგა აგრეთვე გზებისა და ხიდების შეკეთებას. იმედია მეზობელი სოფლებიც წაბაძავენ ყანდაურას მაგალითს.

მეზობელი.

კოკის თ. (ზუგდ. მაზრა)

— **უნდა დაისაჯონ.** აქ მეტად გავრცელდა მიწის ყიდვა-გაყიდვა. არის შემთხვევები, როცა ქალაქად გასულ ან სხვაგან გადასახლებულ მოქალაქისაგან ყიდულობენ ფარულად მიწას. ადგილობრივი მიწკომის თავმჯდომარე ამას ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა მაზრის სადგილ-მამულო ორგანომ მოახდინოს ადგილობრივ კვლევა-ძიება და დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს.

ვ. გაჩამუქ

სოფ. რცხილათი, (შორ. მაზ.)

— **გლეხკორს დაეძებს.** ერთ-ერთ გლეხკორმა ამხილა გაზეთის საშუალებით აქაური ტყის მცველის „საქმენი საგმირონი". „უდანაშაულოდ" შეურაცხყოფილი მცველი გაშმაგებით დაეძებს წერილის ავტორს, მაგრამ, რაკი ის ვერ მიუგნია, ყველას სიკვდილით ემუქრება, ვიზედაც კი იჭვს მიიტანს. ასეთ მცველს დროზე უნდა ამოედოს პირში ლაგამი.

დევნილის მოძმე.

სოფლის ფოსტა

მწუხარაძეს (ს. მაღლაკი) თქვენ მოგყავთ მრავალი საყოფადებო ბრალდებები, მაგრამ არას ამბობთ იმაზე, ვინ სჩადის ამ ბოროტებას. წერილი არ მიდის.

კოოპერაცია

სამომხმარებლო კოოპერაციის გაჯანსაღება

ამას წინად ჩატარებულ გამოკვლევის და ცეკავშირის მასალების მიხედვით მომხმარებელი კოოპერაციის ქვედა უჯრედების მოქმედებას ეტყობა საგრძნობი წარმატება, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ბალანსების დიდტყო გაჯანსაღება, შემცირდა დეფიციტიან ამხანაგობათა რიცხვი, გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა, შემცირდა სავაჭრო ხარჯები, სასესხო დავალიანება და გაიაფდა კოოპერაციის აპარატი.

იმ მიღწევათა შორის ყველაზე მეტად აღსანიშნავია სავაჭრო ბრუნვის აჩქარება და სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა ქსელის მომგებიანობის ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე საქონლის ნაკლებობაა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიღწევაა ის, რომ გლეხობის უმრავლესობა საქონელს იძენს კოოპერაციის საშუალებით.

ამ მიღწევებთან ერთად კოოპერაციას აღმოაჩნდა ნაკლულოვანებანი. კოოპერაციის ქვედა უჯრედების სავაჭრო ხარჯები ჯერ კიდევ ზომაზე დიდია, გარდა ამისა გლეხობის, განსაკუთრებით ქალების და ახალგაზრდობის კოოპერაციაში ჩაბმის ტემპი ნაკლებ ინტენსიურია, ალაგ-ალაგ აღნიშნულია ქვედა კოოპერატიული ორგანოების სავაჭრო საქმიანობის გამოყოფა იმ მხრივ, რომ საქონელი ეძლევათ მხოლოდ კოოპერაციის წევრებს.

კოოპერაციის ქვედა ორგანოების ნაკლულოვანებად ჩაითვლება აგრეთვე მოსახლეობის მოხმარების ბიუჯეტის და პაის შეტანათა სოციალური მდგომარეობის აღურიცხველობა.

აქა-იქ იშვიათად ადგილი აქვს აგრეთვე ხელმძღვანელთა დაუდევრობას და უყაირათობას.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია

ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან დაარსდა ამიერ-კავკასიის ბიურო, რომელიც აერთიანებს თავის შემადგენლობაში საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

ბიურო აწვდის ხსენებულ კოოპერაციებს სათანადო ინსტრუქციებს და საერთოდ უწევს იდეურ ხელმძღვანელობას. ბიურო სავაჭრო ოპერაციებს არ აწარმოებს.

ბიურო აწვდის აგრეთვე ხელისუფლებას, როდესაც ეს მას დასჭირდება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ ცნობებს.

ყანების, ბაღების და ვენახების მდგომარეობა
15 აგვისტოსათვის

ამინდი

აგვისტოს პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიის უმეტეს ნაწილში იდგა სიცხიანი დარი ნაკლები ატმოსფერული ნალექებით, ალაგ ღრუბლიანი ამინდი სითბოს უმნიშვნელო სიჭარბით, ალაგ კი წვიმიანი დარები ნიაღვრებით და სიცივით. აჭარის, ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის და ქუთაისის მაზრის დაბლობ ნაწილში იდგა ნორმალური თბილი ამინდი. აღმოსავლეთ საქართველოში იყო მუდმივ სიცხიანი ამინდი.

აზერბეიჯანსა, სომხეთისა და ნახიჩევანის მხარეში იდგა ცხელი, ულრუბლო და მშრალი დარები.

ნათესები

თაველიანი პურები ყველა კუთხეებში მოწეულია. ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის შედეგები.

რაც შეეხება სხვა ნათესებს, სიმინდის და ბამბის ნათესების მდგომარეობა შეცვლილია (ნიშ.—3,7 სიმინდისათვის, ნიშ.—3,6 ბამბისათვის).

სიმინდის მდგომარეობა გაუარესებულია დუშეთის მაზრაში (ივლისის მეორე ნახევარში იყო—3,5; ახლა არის—3,0) ქუთაისის მაზრაში—(იყო—4,0; არის 3,8) რაჭის მაზრაში—(იყო—3,7 არის—3,5). გაუმჯობესდა ლეჩხუმსა და აბხაზეთში.

ბამბა და თამბაქო

ბამბის ნათესების მდგომარეობა საერთოდ უცვლელია, კერძოდ გაუარესებულია ქუთაისის მხარაში, გაუმჯობესებულია აბხაზეთში, გაუარესებულია განჯის, შემახის მაზრებში, და ნახ. რესპუბლიკაში, გაუარესებულია სომხეთის შემდეგ მაზრებში—დარალაგეზის, მეგრის, ერევნის და ეჩმიაძინის მაზრებში.

თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა გაუმჯობესებულია 0,2 ნიშნით აბხაზეთსა და ქუთაისის მაზრაში.

ხილის ბაღები

ხილის ბაღების მდგომარეობა ივლისის მეორე ნახევართან შედარებით ოდნავ გაუარესებულია,—0,1 ნიშნით საერთოდ.

კერძოდ ბაღების მდგომარეობა გაუარესდა ქუთაისის, ახალქალაქის, და აზერბეიჯანში—განჯის და შემახის მაზრებში, გაუმჯობესდა აბხაზეთში და შამქორის მაზრაში (აზერ.)

ვენახები

ვენახების მდგომარეობა წელს ამიერ-კავკასიაში ივლისთან შედარებით გაუარესებულია (იყო—3.4, არის—3,3).

მაზრების მიხედვით გაუარესება აღნიშნულია ქუთაისის (იყო—4.0, არის—3.5), რაჭის,—(იყო 2,7, არის 2,4) მაზრებში, გაუმჯობესება—აბხაზეთში (იყო 3.2 არის 4.0).

აზერბეიჯანისა, სომხეთისა და ნახიჩევანის უარესებულია 0,1 ნიშნით (იყო 3.4 არის—3,3); უფრო მეტი გაუარესება სომხეთში—(იყო 2,6; არის—2,3).

გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის საღმშენებლო მუშაობა სავსებით მოთავებულია. მანქანები დადგმულია და ქარხანა ნაწილობრივად მუშაობს.

ქარხანა რამდენიმე კვირის შემდეგ ამუშავდება. ქარხნისთვის საჭირო მანქანების მეორე ნაწილი ბათომში უკვე მოვიდა.

ქარხანა ყოველდღიურად დაამზადებს 600 ვენის სკამს და სხვა გრეხილ-ავეჯეულობას ხის ლოგინებს, პურის საჭმელ სუფრებს და სხვა.

ქარხნის ამუშავებით პირველ ხანებში გრეხილ-ავეჯეულობა გაიაფდება 30-40 პროცენტით. მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტად გაიაფება.

ქარხანაში იმუშავებს სამასი მუშა. მუშები იქნება ადგილობრივ გლეხებიდან. მათი განსწავლისათვის უკვე სწარმოებს სათანადო მუშაობა. მუშების ერთი ნაწილი თბილისში ემზადება და ნაწილიც ადგილობრივ.

მომავალ წლიდან ქარხნის მახლობლად პირველ ხანებში აგებული იქნება სახლი 150 მუშისათვის. სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია და მალე მუშაობა დაიწყება.

მუშათა საცხოვრებელ ბინების რაიონში ააგებენ აგრეთვე სხვა საჭირო შენობებსაც.

ქარხანა აშენებულია მარელისის და ხარაგაულის სადგურებს შორის მარელისიდან 3 ვერსის მანძილზე რკინის-გზის ხაზიდან 15 საჟენის დაცილებით.

სასოფლო პროდუქტების დამზადება

თამბაქოს დამზადება

აფხაზეთის თამბაქოს მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო კავშირმა დაამზადა შარშანდელი მოსავლის (1925 წლის) თამბაქო სულ 260 ათასი ფუთი. ამ დამზადებული თამბაქოდან სააქციო საზოგადოება „ტაბაკ-სირიეს" ადგილობრივ განყოფილებას დასამუშავებლად გადაეცა 70 ათასი ფუთი, ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას — 25 ათასი ფუთი, ხოლო 15 ათასი ფუთი დამზადებულია უცხოეთში გასაგზავნად. დანარჩენი დამზადებული თამბაქო შეკვეთის თანახმად დაეგზავნება საქართველოს, აზერბეიჯანის და თურქესტანის თამბაქოს ტრესტებს.

ამჟამად თამბაქოს დამზადებას და დამუშავებას აფხაზეთში აფერხებს ყავრის უქონლობა; ყავრისაგან მეთამბაქოეები აშენებენ თამბაქოს სახმობ ფარდულებს. ფარდულის გარეთ გამხმარი თამბაქო ცუდი ღირსების ფაბრიკატს იძლევა.

სამზადისი თამბაქოს წლევანდელი მოსავლის დასამზადებლად უკვე სწარმოებს.

გამოკვლევა

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ამჟამად ატარებს არჩევითი სახით მოჯამაგირეთა შრომის პირობების გამოკვლევას შორაპნის მაზრაში და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაზედაც ადგილებს უკვე შრომის სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა სათანადო ინსტრუქციები.

მოჯამაგირეთა შრომის პირობების გამოკვლევა განზრახულია დამთავრდეს 5 სექტემბრისათვის.

მუშათა ცხოვრება

საგზაო ბილეთების მაგიდასთან
(სურათი სინამდვილიდან)

რკინისგზის ერთი დიდი წარმოების—საბილეთო მაგიდასთან არაჩვეულებრივი ჩოჩქოლი და აურზაურია. მაგიდასთან ზის ახალგაზრდა სათვალებიანი ქალი და ძალიან ზანტად საგზაო ბილეთებს სწერს.

ბილეთის დამწერ ქალთან მისვლა არც ისე ადვილია, მას გარს შემოხვევია უამრავი მუშა-მოსამსახურე. ზოგი ბათომის ბილეთს თხოულობს. ზოგსაც ბაკურიანისკენ გამგზავრება სურს, არიან ისეთებიც, რომლებსაც მშვენიერი კახეთი თავისკენ იზიდავს.

— მარო! გეთაყვა, დამიწერე ბათომის ბილეთი. დამიწერე რაც შეიძლება ჩქარა, თორემ სამუშაოზე ვცდები. მიმართა ქალს მაზუთში ამოსვრილმა მუშამ.

— მე, მარო! ბაკურიანი დამიწერე...

— მე თელავი!

— მე სამტრედია!

ბილეთის დამწერს ყოველ მხრიდან ეკითხებიან მუშები, ბილეთების დამწერიც დაიბნა. ხან ერთის შეხედა, ხან მეორეს, ხან მესამეს და აღარ იცის, რომლის თხოვნა დააკმაყოფილოს.

— ამხანაგებო, ასე არ შეიძლება, დაიცავით წესრიგი! დადექით რიგში თორემ აღარ ვიცი, ვინ წინ მოვიდა და ვინ შემდეგ!.. გაისმა ქალის ხმა.

— მართალია, მართალი! დავდგეთ რიგში, თორემ ასე მეტი დრო დაგვეკარგება.

— შემოსძახეს თავმოყრილმა მუშებმა და კარგა ხნის ჩხუბის და დავიდარაბის შემდეგ „არა მე მოვედი ადრე" და „არა მეო", რიგი ჩამოყალიბდა, გაგრძელდა და მისი ბოლო გარედ ეზოშიც კი გამოჩნდა.

— მე ყველაზე წინ მეგონა ჩემი თავი და აი მეოცედ დამაყენეს გულნაკლულად ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ.

— შენ კიდევ არა გიშავს რა, ამხანაგო! აი ჩვენი ბოლო სად არის!

ჩაერიენ ლაპარაკში მის შემდეგ მდგომი მუშები.

— საით აპირებ ილიკო, წასვლას?! სად გინდა გაატარო ორი უქმე დღე? დაეკითხა რიგში მდგომი ერთი ამხანაგი მეორე მოხუც მუშას...

— სადა და ბორჯომ-ბაკურიანში არ წავიდე აი!.. ჩავალ სოფელში ორიოდე ხილის ხე მაბადია იქ და თუ არ დაუკრეფიათ, ბავშვებს ხილით გავახარებ.

— შენ, საიდგა აპირებ?! დაეკითხა ახლა ილიკო შემკითხველს.

— ამ ხნის კაცი გავხდი. ორმოცი წელიწადია რკინის გზაზე ვმუშაობ და ბორჯომ-ბაკურიანი არ მინახავს აქამდის; მინდა ერთი ეს ადგილები ვნაო, რომ ამის დარდი მაინც არ გამყვეს.

— კი გინდა ნახო, მაგრამ ეღირსები კი ბილეთის აღებას?!.

— მეც მაგას ვჩივი, მეგობარო! იქ სამუშაო დამიტოვებია და აქ უნდა ვიდგე ახლა საათობით რიგში. მე ვცდები—ჩემი ხელქვეითებიც, ცაცი, ახლა არას აკეთებენ და ასე იკარგება ძვირფასი დრო.

რა ვიცი ან კი მერგება ბილეთი, მოაწევს ჩემამდი ჯერი? ისე ნელა სწერს ის ჩემი ცოდვით სავსე, რომ მე ბევრად უფრო ჩქარა დავწერდი მგონია.

— მართლაც, რომ ნელა სწერს იმ ოჯახ ქორიანი. ჩაერია ლაპარაკში ზეინკალი გიორგი.

— კაცო, ვერ იქნა და ვერ მოწესრიგდა ჩვენი კანტორის მუშაობა! რათ უნდა ვიდგეთ ახლა რიგში ჩვენ?! რათ უნდა ფერხდებოდეს მუშაობა? განა დიდი თავის ტეხაა საჭირო, რომ იმ მაგიდასთან ერთის მაგიერ რამდენიმე დამწერი დასვან? ნეტავი არ გვყავდეს მრავლად წითელი ადმინისტრატორები?! აი თუ გინდა მეც დიდის სიამოვნებით მოვეხმარებოდი წერაში. აქ ტყუილად დგომას, იქ საქმეს მაინც გავაკეთებდი. შეხედეთ რამდენი ბიჭები დგიან და სამუშაოზე სცდებიან. უყურებ ყველა ამას და გული მიკვდება. უბრალო ბილეთის აღებაზეც რამდენი ადამიანი ვცდებით და ვინაა პატრონ-გამკითხავი...

— რა იყო, გიორგი! ვინ გაწყენინა, ვის უჯავრდები?! დაეკითხა გიორგის გვერდზე ჩავლით ერთი წითელი ადმინისტრატორთაგანი—ვის უჯავრდები და აი სწორედ თქვენ. რამდენი ხალხი აქა ვცდებით. განა არ შეიძლება ორი სამი კაცი მეტი დასვათ და ბილეთები უფრო ჩქარა დასწერონ.

— მართალი ხარ გიორგი! მართალი! ეხლავე ვთოვახდენ განკარგულებას, მაგრამ თქვენ, მუშებზეც, არის საქმე დამოკიდებული. რადა ყველანი ეხლა მოდიხართ ბილეთისათვის? აქ მართლაც მოუმატეს ბილეთების დამწერ მაგიდას ორი თანამშრომელი და საქმეც ადრე გაკეთდა.

— გახდა 12 საათი. დაიყვირა საყვირმა და საექსკურსიო მატარებელი დაიძრა ბორჯომ-ბაკურიანისაკენ მხიარული და კმაყოფილი მუშებით.

მუშა ს. დოლიძე.

საღამო-კონცერტი მუშებისათვის

17 აგვისტოს ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში არაჩვეულებრივი მოძრაობაა.

საღამოს ექვსი საათიდან ბაღს მოაწყდა მშრომელი ხალხი.

ბაღში შესვლა ფასითაა მაგრამ ეს გარემოება ვერ აფრთხობს აქ მოსულთ. მოლარე ვერ ასწრებს ბილეთების გაყიდვას. ჭიშკართან ეტევა დიდი რიგი. ყველას უნდა პირველად შესვლა და ალაგის დაჭერა. თვით კლუბის გამგეც ეხმარება მოლარეს, მაგრამ, რიგი მაინც იზრდება... ეზო და ბაღი გაივსო ხალხით. დასაჯდომი ალაგები ყველა დაკავებულია. ამაზე მეტი ირგვლივ სეირობს. უკვე უკრავს მშვენიერი სასულე ორკესტრი. მაგრამ ყველა რაღაცა სხვას ელოდება—ახალს უცდის.

— როდის უნდა დაიწყონ კონცერტი? ეკითხება ერთი მუშა მეორეს.

— ცხრის ნახევარზე, ამხანაგო, გამოცხადებულია! მიუგო მეორემ.

— კარგი რამეს კი ამბობენ, აი! დაიწყო ისევ პირველმა—თურმე ყველანაირ სიმღერებს მღერიან. ქართლურს, იმერულს, კახურს, გურულს, მეგრულს, სომხურს, რუსულს, პოლონურს და რა ვიცი კიდევ რომელს.

— ამოდენა ხალხს კი მოგვიყარა, მეგობარო თავში და რა ვიცი—ალბად მართლა, კარგი რამე იქნება... ეს ბაღიც რა რიგ გამოცვლილა, გაკეთებულა, გამშვენიერებულა, კაცო! აი მტკვრის ნაპირი როგორ გაუმშვენიერებიათ. კი ღირს აქ ჩამოსვლა და ერთი სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა!..

— გახსოვს, გიორგი ეს ბაღი ძველად, გორგიჯანოვის ხელში?

— როგორ არ მახსოვს, ძმაო, მაგრამ ამდენი ხალხი აქ მე ჯერ არ მინახავს. მერე სულ მშრომელი ხალხია, სულ მუშებია. ერთი ბურჟუაა მისი ჭაჭანება აღარ ისმის.

— აბა, შენგან არ მიკვირს? ბურჟუა სად მოვა აქ. გორგიჯანოვის „შანსონეტკები" როდისაა არიან დღეს აქ. დღეს აქ მშრომელი მასა სეირობს, ზეიმობს.—მაგრამ მოიცა მოდიან ჩვენი აკადემიური მომღერლები. ერთი ესენიც მოვისმინოთ!..

მართლაც, ამ დროს სასულე ორკესტრი სცენიდან ძირს ჩამოვიდა, ხოლო სცენაზე გამოჩნდენ ახალი, აკადემიური გუნდი ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

ამ დროს ბაღში მოსეირნე ხალხმა ყველამ აქ მოიყარა თავი. ეს ზღვა ხალხი, რაღაცა არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. ყველა სულგანაბულ ელოდებოდა ამ კონცერტის დაწყებას.

დაწყებისას ამხ. ფოცხვერაშვილმა მოკლედ, მაგრამ მჭექარე ხმით აუხსნა დამსწრეთ, თუ რას ნიშნავს „საჩვენებელი კონცერტი", რა მიღწევებია ამ დარგში და რა მნიშვნელობა აქვს მას.

ორი საათი გაგრძელდა კონცერტი. მართლაც მოვისმინეთ სხვადასხვა ეროვნული სიმღერები. მოვისმინეთ უბრალოთ, ხალხური კილოთი და მოვისმინეთ გადაკეთებულ-გადალამაზებული.

თითოეულ სიმღერის წინ ხელმძღვანელი ფოცხვერაშვილი არ იშურებდა ხმას, რომ ამ ზღვა ხალხისათვის აეხსნა სიმღერის მნიშვნელობა და მისი ასე თუ ისე დამუშავების ისტორია.

იქნება ასეთი კონცერტები ხშირი მოვლენა გახდება ჩვენ მუშათა კლუბებში.

[illegible] ჩვენი [illegible] და ეს გუნდი არა ერთხელ დაგვატკბობენ ასეთი მოხდენილი, მწყობრი და გემრიელი მუსიკა-სიმღერით.

მშრომელთა სიმპატია და მადლობა მათ.

მუშა ს. დ.

ქალ. მილიციის გაერთიანებულ ადგილკომის 6 თვის მუშაობა

ადგილკომი არჩეულია 1-ლ თებერვლიდან 11 წევრისა და 4 კანდიდატისაგან. მათ შორის ორი ქალია. ადგილკომის ხელმძღვანელად გამოყოფილია ორი განთავისუფლებული ჯამაგირიანი პ. მ. ამხანაგები. ადგილკომში შემავალ კავშირის წევრთა რიცხვი უდრის 1.189 კაცს. მათ შორის 105 ქალია. ადგილკომთან არსებობს ქვემდებარე (ადგილკომის წევრთა ხელმძღვანელობით) შემდეგი კომისიები: საკონფლიქტო-შემფასებელი, შრომის დაცვის, ეკონომიური და კულტურული.

ადგილკომის სხდომები ხდებოდა სისტემატიურად კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით, საღამოს 6 საათზე. 1-ლ თებერვლიდან 1-ლ აგვისტომდე ადგილკომს ქონია 26 სხდომა; გარჩეულია 229 საკითხი. მათ შორის: საორგანიზაციო—51, სატარიფო-ფინანსიური—15, შრომის დაცვის—34, სამსახურში მიღების—4. კულტურული—32, დათხოვნის—12, საკომპენსაციო—1, გადაჯგუფების—5, კავშირში მიღება—73. ზედმეტი მუშაობა—4, შტატის შემცირება—2, სამსახურში აღდგენის—6. ადგილკომის წევრებიდან გამოყოფილია ორი ამხანაგი, ერთი ქალი მათ შორის მომუშავედ, მეორე ახალგაზრდათა შორის მომუშავედ. ადგილკომს ჰყავს აგრეთვე ერთეულებში პროფრწმუნებულები, რომელთა კრებები იმართებოდა თვეში ერთხელ. კრება შემდგარა სულ 12-ჯერ, გარჩეულა 44 საკითხი, მაგ. კავშირში მიღება, საწევრო გადასახადების და სხვა. ასეთივე სისტემატიური ხასიათი ჰქონია სხვადასხვა კომისიების სხდომებსაც, სადაც გარჩეულა აუარებელი საკითხები. საკითხების 95% თანამშრომელთა სასარგებლოდაა გადაჭრილი.

საერთო კრებები შემდგარა 8. გარჩეულა—14 საერთო ხასიათის საკითხები, მაგ. ადგილკომის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ერთეულებში ლექციების კითხვაზე, ურთიერთ-დამხმარე სალაროს შესახებ და სხვ. ადგილკომის მუშაობის ანგარიშში საერთო კრებას მოხსენებით წარედგინა ერთხელ. ამ ხნის განმავლობაში მიღებულია კავშირის წევრად—73, გამორიცხულია წევრობიდან საწევრო გადასახადის გადაუხდელობისათვის—6.

ადგილკომს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონია მიქცეული მილიციის რიგებში კულტურულ მუშაობაზე, რომლის სურათი შემდეგნაირია: ყველა რაიონ. არსებობს კარგად მოწყობილი კულტკუთხეები, სადაც ყოველდღიურად მოდის სისტემატიურად ახალ-ახალი ჟურნალ-გაზეთები როგორც ქართული, ისე რუსული. დაარსებულია ამ ხნის განმავლობაში კულტკუთხეები მე-3,—4—და მე-10 სამილიციო რაიონებში. არსებობს კითხვა-პასუხის საიდუმლო ყუთი.

ხშირია ერთეულებში ლექციების კითხვა სხვადასხვა თემებზე. ლექციებს კითხულობენ რაიკომის გამოგზავნილი ლექტორები.

თანამშრომლებისათვის გამართა ორი უფასო წარმოდგენა, ერთი კინო. მოეწყო ექსკურსიები ოთხჯერ, რომლის დროს დათვალიერებულ იქნა სარევოლუციო და გეოლოგიური მუზეუმები, ბოტანიკური ბაღი, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და „ზაჰესი".

სეზონის განმავლობაში რიგის დაცვით თანამშრომლები სარგებლობდენ უფასო თეატრით, როგორც რამის, ისე ოპერის.

გაიგზავნა საკუროტო და დასასვენებელ სახლებში რამოდენიმე უმცროსი თანამშრომლები, მათ შორის ორი ქალი. არსებობს აგრეთვე მილიციის სამმართველოში ცენტრალური კულტკუთხე ჩვენი ბელადების სურათებით და მთავარი სამკითხველო აუარებელი წიგნებით, რომელსაც მილიციის დღის აღსანიშნავად აღმასკომმა შემოსწირა 1000 მანეთის წიგნები, სადაც ყველას აქვს საშუალება ისარგებლოს, როგორც უნდა.

გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი სახელწოდებით „ადმინგანი", რომლის თითო ეგზემპლიარი ურიგდება ერთეულებს.

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კედლის გაზეთი ვერც შინაარსით და ვერც ხარისხით ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, რაც აიხსნება თანამშრომელთა ხშირი გადაჯგუფება-გადმოჯგუფებით და მასთან თანამშრომლების გაზეთის მიმართ უყურადღებობით და დაუინტერესებლობით. მაგრამ დღეიდან მას ადგილი აღარ ექნება, ვინაიდან მისი ხელმძღვანელობა მთლიანად ხელში აიღო კომუჯრედების გაერთიანებულ ბიურო-კოლექტივმა. არჩეულია სარედაქციო კოლეგია, დაარსდა კორესპონდენტთა წრე, რომლის ხელმძღვანელად კოლექტივმა გამოყო გამოცდილი ამხანაგი.

ფინანსიური ანგარიშები ნაწარმოებია სისწორით. ანარიცხები შეტანილია კავშირში თავის დროზე, აგრეთვე ყველა გაცემულ და შემოსულ თანხებზე არის სათანადო ქვითარები და გატარებულია საანგარიშო წიგნებში.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაც, რომელიც ადგილკომის მუშაობას დიდათ უშლის ხელს. ეს არის შემდეგი: წინეთ მილიციაში არსებობდა ორი ადგილკომი ერთი კანცელარიის მუშაკთა, რომლებიც სარგებლობდნენ და სარგებლობენ დღესაც ყოველგვარი შეღავათებით და მათზე ვრცელდება შრომის ყველა კანონები, რვა საათის სამუშაო დღე და სხვ. მეორე შეიარაღებულ ძალთა, რომელიც პირველის უფლებებს მოკლებულია.

ამასთან ადგილკომების გაერთიანებამ დიდი არევ-დარევა შეიტანა საერთო საქმიანობაში, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მუშკორი დ. გორდაძე.

მუშათა ქრონიკა

— **თავის ხარჯზე.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა მიმართა ა.-კ. რკ. გზების პროფკავშირს, რათა შეიტანონ სამმართველოს ხარჯზე შესანახ კლუბების სიაში სად. გორის, გურჯაანის და ა. ლ. ქ. კ. კლუბები.

— **ლიანდაგის ცალკე დაგება.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო თათბირმა საჭიროდ აღიარა სახანძრო მატარებლებისთვის ცალკე ლიანდაგის დაგება.

— **მუშაობის შეთანხმება.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო თათბირმა დაადგინა: სამექანიკო და მოძრაობის დარგების თანამშრომელთა მუშაობის შესათანხმებლად მოხდეს მუშების სამორიგეოდ გამოსვლა ერთსა და იმავე დროს.

— **მსუბუქ სამუშაოზე.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა საჭიროდ სცნო მძიმე ფიზიკურ მუშაობიდან შრომის უნარ მოკლებული მუშები, შეძლებისდაგვარად გადაყვანილ იქნენ მსუბუქ სამუშაოზე.

— **კურსები.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა რკ. გზის პროფგანათლების განყოფილებას, რათა მან გახსნას ტექნიკოსების გადასამზადებელი ერთწლიანი კურსები.

— **ამხ. მგელაძის გამოყოფა.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად საგზაო ინსპექტორის თანამდებობაზე გამოჰყო ამხ. მგელაძე.

ვილად ეპყრობა ფრიად სერიოზულ პასუხისმგებელ და ლენინიზმის რევიზიის მომხდენ დებულებებს, დაუფიქრებლად, შეუშფოთებლად, ყოველგვარ არგუმენტაციას მოკლებული. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია მისი ცრუ-მეცნიერული ფორმა, რომელიც განსაცვიფრებელ უმეცრებას ფარავს.

მან დაისახა ამოცანა — დაამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფოს არაპროლეტარული ხასიათი. ამის შესახებ მან, ჯერ ერთი განაცხადა, სრულიად დაუსაბუთებლად, გარდა ლენინის უსაფუძვლოდ დამოწმებისა, რითაც გამოაშკარავდა მხოლოდ მისი უვიცობა, — რომ საბჭოთა სახელმწიფო არის არა მუშური, არამედ მუშურ - გლეხური სახელმწიფო და მეორე, იგი ამტკიცებს, რომ ეს სახელმწიფო თავის განვითარებასთან ერთად კარგავს პროლეტარულ ელემენტებს, სწყდება გლეხობასაც კი და კაპიტალისტურ გადაგვარების გზაზე დგება.

„დაამტკიცა" ეს მან შემდეგნაირად. სხვადასხვა კლასები და სოციალური ჯგუფები აღნიშნა ნიშნებით (რა მეცნიერულია!) ამასთანავე სოციალურ-ეკონომიურ დახასიათებებში მოსწონს თავისი გასაოცარი „სისწორე"; „პროლეტარიატის" ცნებაში მას შეტანილი აქვს „პროლეტარულად განწყობილი ინტელიგენცია"; „გლეხობის" ცნებაში მეტად ზედმიწევნითი „სისწორით" აქვს განსაზღვრული: პირველი **„შეძლებული გლეხობა"**, მეორე **„ძლიერი გლეხობა"**, და მესამე, **„ბურჟუაზია, რომელიც ეხლა იზრდება"**. სთქვით ამის შემდეგ, რომ მას ხელთ არ უყრია მეცნიერების გასაღები!

დახასიათა რა ამ ნიშნებით ეს „სისწორით" დანაწილებული სოციალური ფენები, ოსოვსკი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განვლილ გზას სამ ნაწილად ყოფს (1917—21 წ., 1921—25 წ., 1925—26 წ.), შემდეგ პერსპექტივაში აღნიშნავს კიდევ სამ პერიოდს (რატომ ათი, ოცი არა, ეს სავსებით გაუგებარია!) ქრონოლოგიის მიხედვით დაუნაწილებლად, და აცხადებს, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში არაპროლეტარულ და განსაკუთრებით კერძო კაპიტალისტურ ელემენტების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე გაძლიერდა, პროლეტარულ ელემენტების გავლენა კი — შესუსტდა; პერსპექტივაში კი, ოსოვსკის მიხედვით, ეს საბჭოთა სახელმწიფოს გადაგვარება კიდევ უფრო სწრაფად მოხდება.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ისაა, რომ **ეს დასკვნა დამტკიცებული არაა რაიმე ფაქტებით, ციფრებით, მასალებით, დოკუმენტებით.** სთქვა და მეტი არაფერი! და ასეთ შარლატანობას ნამდვილ ლენინიზმად ასაღებს!

ის გარემოება, რომ პროლეტარიატმა უკანასკნელ წლების განმავლობაში მოიკრიბა და გამაგრდა, რომ ამ ხნის განმავლობაში აღმოფხვრილ იქნა პროლეტარიატის კლასობრივი გადაგვარების მოვლენები, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობის სოციალისტური სექტორი განმტკიცდა აბსოლუტურად და შედარებითაც, — ეს ოსოვსკისათვის არაფერს არ წარმოადგენს; მის გვერდით გაირბინეს პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის პოლიტიკური განმტკიცების ფაქტებმაც. წინააღმდეგ ყველა ამ ფაქტებისა, ოსოვსკი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო პარტიის ხელმძღვანელობით ჰკლავს პროლეტარიატის აქტიურობასა და ინიციატივას და პირიქით, ხელს არ უშლის პროლეტარიატის მოწინააღმდეგე ძალების პოლიტიკურ აქტიობის გაცხოველებას.

რა აზრია გამოთქმული, თუ არა ეს, მისი წერილიდან ქვემო-მოყვანილ ამონაწერში:

„თუ ავანგარდს შედარებით ადვილად, მნიშვნელოვან შერყევათა გარეშე შეუძლია დროებით **საშოშივე ჩაჰკლას თავისი არიერგარდის ცდანი** იმ გენერალურ ხელმძღვანელ ხაზის თავისუფალ კრიტიკის მიღწევისაკენ, რომელიც დამყარებულია კერძო-კაპიტალისტურ მეურნეობასთან კომპრომისზე, და ამგვარად, დააბრკოლოს არიერგარდის აქტიობის განვითარება,—სამაგიეროდ ის ვერ მოახერხებს ასეთივე ზომების მიღებას იმ კლასების მიმართ, რომლებთანაც აქვს ორგანიული კავშირი... **ამ კლასების განვითარების შეჩერებაზე, ამგვარად, ლაპარაკიც კი არ შეიძლება.** აი, აქ, საშოშივე ჩაკვლამ თავისივე კლასის არიერგარდის ცდებისა, რომ იმ გენერალურ ხაზის კრიტიკის თავისუფლებას მიაღწიოს, რომელიც სხვა კლასებთან კომპრომისზე არის დამყარებული, შეიძლება მართლაც საბედისწერო როლი ითამაშოს პროლეტარიატის კლასიური ინტერესებისათვის. პროლეტარული არიერგარდი, უკეთეს შემთხვევაში, უკან რჩება თავისივე ავანგარდს. მოწინააღმდეგე ბანაკში კი, სხვა კლასებს ეზრდება უფრო განვითარებული და თავის კლასიურ ინტერესების დაცვისათვის უფრო მომზადებული ავანგარდი. ასეთ მდგომარეობაში **(ეს კი სიზმარი არა...)** ავანგარდს, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია დაიღუპოს უთანასწორო ბრძოლაში, უცუდეს შემთხვევაში კი—იტყვით, ნებდება ტყვედ; არა, სოციალურ ბრძოლაში ტყვედ არ მიყავთ. უცუდეს შემთხვევაში ავანგარდი აუცილებლად გამცემლობას ჩაიდენს. იგი ჩვეულებრივად ავანგარდი ხდება სხვა კლასების მოზარდ არიერგარდისა".

ან ცოტა უფრო ქვემოდ:

„უმთავრესი, რაც გამომდინარეობს ლენინის ნათქვამ სიტყვებიდან ეს ის არის, რომ რადგან სახელმწიფო არა მუშურია, არამედ მუშურ-გლეხური, ამიტომ ამ სახელმწიფოს და მისი სახალხო მეურნეობის აღმშენებლობის მთელი სიმძიმე არ შეიძლება დაეკისროს მხოლოდ პროლეტარიატს... ეს გაგებულ უნდა იქნას არა მარტო ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურადაც: გლეხობა, სარგებლობს რა მისთვის მინიჭებულ და რაც ხანი გადის მით უფრო განვითარებულ საბჭოთა დემოკრატიით, **იტოვებს თავისივე სახელმწიფოს კრიტიკის თავისუფლებას კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის ინტერესების სასარგებლოდ.** მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მოქმედების კრიტიკის ასეთივე თავისუფლება **უნდა მიენიჭოს** პროლეტარიატსაც, განსაკუთრებით მის ავანგარდს—მის პარტიას".

როგორი სურათი დახატა ოსოვსკიმ? იგი ამტკიცებს:

1) რომ საბჭოთა დემოკრატიის პირობებში გლეხობა „ინარჩუნებს თავისვე სახელმწიფოს კრიტიკის თავისუფლებას **კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის ინტერესების სასარგებლოდ**".

2) ამავე პირობებში, როცა გენერალური სახელმძღვანელო ხაზი აღებულია „კერძო კაპიტალისტურ მეურნეობასთან კომპრომისზე", ამ კლასების (ე. ი. კაპიტალისტური კლასების ა. ს.) განვითარების შეჩერების შესახებ ლაპარაკი ზედმეტია.

3) მუშათა კლასის ავანგარდმა, რომელიც მართავს სახელმწიფოს და კომპრომისზე მიდის კერძო კაპიტალისტურ ელემენტების მიმართ, **დააბრკოლა „თავისი არიერგარდის განვითარება"**.

ამასთან დაკავშირებით ამბობს ოსოვსკი, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მოქმედების კრიტიკის ასეთივე თავისუფლება (ე. ი. ისეთი, რომელიც აქვთ იმ ელემენტებს, რომლებიც კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის ინტერესებს წარმოადგენენ ა. ს.) პროლეტარიატსაც, განსაკუთრებით მის ავანგარდს უნდა მიეცეს".

იმისათვის, რომ ხაზი გაუსვათ, რომ აქ ლაპარაკია არა ტენდენციებზე, არამედ შორს შეჭრილ პროცესებზე, პარტიის ყოვლიჩინა „მხსნელი" გვაფრთხილებს, რომ **ასეთი მდგომარეობა არსებობს, რომ „ეს სიზმარი არ არისო"**.

ხომ გაიგეთ ეხლა, რაშია საქმე? ჩვენში ყველა სოც. ფენებს აქვთ კრიტიკის თავისუფლება და საკუთარი პოლიტიკური აქტიურობის გაფართოების შესაძლებლობა, გამონაკლისს შეადგენს მუშათა კლასი და მისი ავანგარდი, ე. ი. მისი პარტია?

მკითხველი უკვე ხედავს, რომ ოსოვსკიმ სიცრუე სთქვა, როცა მან განაცხადა, რომ ვითომც,—მისი აზრით,—საბჭოთა სახელმწიფო „მუშურ-ლეხურია". აქედან აბსოლიუტურად ცხადია, რომ საბჭოთა სახელმწიფო,—ოსოვსკის მიხედვით,—ეს დამახინჯებული ბურჟუაზიული სახელმწიფოა. აღმოაჩინა რა თავისი წერილის დასკვნითი ნაწილში ორი მიმდინარეობა ჩვენს პარტიაში („ნაციონალური" და „ინტერნაციონალური"), პოლიტიკური დემოკრატიის რაინდი, რომელიც თავისი სიმპატიებით „ინტერნაციონალურ" (?) მიმდინარეობისაკენ იხრება, აცხადებს, რომ ამ მიმდინარეობის აზრით „პროლეტარიატის მიერ მსხვერპლის კვლავ გაღება მომავალში, მისი პასუხისმგებლობა მთელი **სახელმწიფოზე, რომელიც კერძო კაპიტალისტური მეურნეობისაგან შესდგება** (როგორი სისწორით არის ყველაფერი გამოთქმულია (!) ა. ს.), არის მუშათა კლასის ძალების განიავება, მისი ფიზიკური და კულტურული გადაგვარება.

ჩვენს წინაშე დამთავრებული ლიკვიდატორი სდგას. იგი თავხედია, მაგრამ ამასთანავე მხდალია (ეს თვისებები ძალიან ხშირად ერთად გვხვდება!). თუ იგი მხოლოდ სიტყვებს არ ისვრის ჰაერში, და დარწმუნებულია თავის შეხედულებათა ჭეშმარიტებაში, მას ასეთი დასკვნა უნდა გაეკეთებია თავის ანალიზიდან და მიემართა პროლეტარიატისათვის: ჩამოაგდე საბჭოთა ხელისუფლება, ვინაიდან იგი შენთვის უცხო ხელისუფლებაა!

ლიკვიდატორული ფრაზის ახალი რაინდი კუდს აქნევს:

„უბრუნდები რა **პარტიის გენერალურ ხაზის** საკითხს სახელმწიფო მმართველობაში, უნდა ვსთქვა, რომ თუმცა იგი ეხლანდელ პირობებში მუშათა კლასის ავანგარდის ტაქტიკის თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ამა თუ იმ ხარისხით, მაგრამ მას მაინც **არ შეუძლია ისარგებლოს პროლეტარიატის განუსაზღვრელი მხარის დაჭერით**, ვინაიდან ამ ხაზის საფუძვლად ობიექტიურ პირობათა გამო, ძევს კომპრომისი პროლეტარიატის ინტერესებსა და კერძო კაპიტალისტური მეურნეობის ინტერესებს შორის".

კიდევ ორიოდე ნაბიჯი გადადგით წინ, მდგომარეობის თქვენი დახასიათების მიხედვით, და თქვენ, ჰოი, პარტიის „მხსნელო", მემარჯვენე მენშევიკების ბანაკში ამოყოფთ თავს!

ა. სლეპკოვი.

(დასასრული ხვალ)

განათლების ფრონტზე

მისალმება

განათლების კომისარიატმა შვიდ-წლედის მასწავლებელთა თელავის კურსების საბუნებისმეტყველო დარგის მსმენელთაგან მიიღო შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა:

„აღვნიშნავთ რა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს განათლების დარგში კომპარტიის ხელმძღვანელობით, აღთქმას ვსდებთ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ადგილებზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას".

მასწავლებელთა კურსები

10 აგვისტოს დამთავრდა მეცადინეობა ხაშურის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე.

ექსკურსია

სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტების გაერთიანებული ბიურო კვირას 22 აგვისტოს აწყობს ექსკურსიას ზაჰესის დასათვალიერებლად. ექსკურსია გაემგზავრა დილის მატარებლით.

მასწავლებლობის ნაკლებობა

განათლების სახ. კომისარიატის პროფგანათლების ცნობით პროვინციებში არსებულ ტექნიკუმებში მასწავლებლების დიდი ნაკლებობაა. განსაკუთრებით საჭიროა ქართულ ენის, მათემატიკის, ფიზიკის და ბუნების მეტყველების მასწავლებლები უმაღლესი განათლებით.

სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

მერვე სხდომა

დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები და სოფლის მეურნეობა

(ამხ. ნიკ. ლლონტის მოხსენება)

ჩვენ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლათ,—სთქვა მომხსენებელმა, — გვაქვს სამი ტიპის სკოლა: დაბალი სასოფლო-სამ. სკოლა. საშუალო სას.-სამ. ტექნიკუმი და უმაღლესი სას.-სამ. ფაკულტეტი. ამ სკოლების საშუალებით ვრცელდება ჩვენში სასოფლო-სამეურნეო ცოდნა. მაგრამ ჩვენის აზრით საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო დაბალი ტიპის სკოლებს. ჩვენს სისტემაში არსებობს 3-გვარი დაბალი ტიპის სკოლა. პირველი—სას.-სამ. დაბალი ტიპის სკოლა, რომელიც ჩვენში არსებობს 12, და რომელთა გამრავლება დამოკიდებულია ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პირობების განვითარებასთან; მეორე ტიპის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებია და მესამე ტიპის კი სასოფლო-სამეურნეო შეგირდთა სკოლა. ეს უკანასკნელი ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი. პირველი ტიპის სკოლა ამზადებს ხელოსნებს, ტექნიკოსებს და სოფლის მეურნეებს კოლექტიური მეურნეობისათვის, რომელიც მოწყობილია საწარმოო პრინციპზე, ხოლო გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, რომელთა რიცხვი აღწევს 25, ამზადებენ ინდივიდუალურ ტექნიკოსებს ინდივიდუალურ მეურნეობისათვის. ამ სკოლებში მოსწავლე ღებულობს საერთო სასოფლო-სამ. ცოდნას.

სასოფლო-სამეურნეო სკოლებში კი ღებულობენ სპეციალურ ცოდნას სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში. სასწავლო გეგმა ამ სკოლებში საჭიროა დამყარებული იქნას 4-წლედის პროგრამაზე. და მოსწავლეები მიიღებოდენ მხოლოდ 14-18 წლამდე. ამ სკოლებთან უნდა მოეწყოს ლაბორატორიები. აგრეთვე ეს სკოლები უნდა დაუახლოვდეს საცდელ-საჩვენებელ მამულებს. სკოლებში ადგილი უნდა დაეთმოს უპირველესად ღარიბებს გლეხის შვილებს და მოჯამაგირეებს. ქალების მიღება კი ამ სკოლებში უნდა განისაზღვროს. ისინი მიღებული უნდა იქნან მხოლოდ ისეთ სკოლებში, სადაც სწარმოებს მათი შრომის შესაფერი ცოდნის მიღება. დასასრულ გაიმართა კამათი, რის შემდეგ კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

მეცხრე სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. [illegible]ბადეშვილის მოხსენება მეღვინეობის შესახებ.

ავტო-მიმოსვლის მოსაწესრიგებლად

ავტომობილების დამსხვრევას ბოლო უნდა მოეღოს—ასე დაადგინა ავტომუშაკთა და შოფერთა საერთო კრებამ.—რა ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული

19 აგვისტოს თბილისში შესდგა ავტომუშაკთა და შოფერების საერთო კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა უკანასკნელ დროს ავტომობილების გადავარდნა-დამსხვრევის შემთხვევების გახშირების შესახებ.

კრებამ აღნიშნა, რომ ეს უბედური შემთხვევები გამოწვეულნი იყვნენ უმეტეს წილათ, არა ავტომობილებისა და გზების უვარგისობით, არამედ იმით, რომ ზოგიერთი შოფერები არღვევენ მოძრაობის წესებს. რათა ასეთი მოვლენები აღარ განმეორდეს, კრებამ საჭიროთ სცნო გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

თვითეული ავტომობილი, გარაჟიდან გამოშვების წინ უნდა იქნეს დათვალიერებული. ისეთი ავტომობილი, რომლის საჭე, ან მუხრუჭი, ან საყვირი და განათება, ეჭვს იწვევს ვარგისობის მხრივ, გარაჟიდან გამოშვებულნი არ უნდა იქნეს.

მოწესრიგებული უნდა იქნეს შოფერთა შრომის საკითხი იმ მიზნით, რომ არ ექნეს ადგილი მათ ზედმეტათ დაღალვას. ამისათვის კრება საჭიროთ სცნობს, რომ შოფერებს, რომლებიც იგზავნებიან კავკავში, დაბრუნების შემდეგ მიეცემათ დასასვენებლათ ერთი დღე-ღამე.

უნდა იქნეს გაძლიერებული გზებზე ავტომობილების მიმოსვლაზე თვალყურის დევნება. ეს კონტროლი უნდა გასწიონ ავტო-მეურნეობათა წარმომადგენლებმა და ავტო-ინსპექციამ, ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის მონაწილეობით.

ს. ა. ქ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოსთან უნდა დაარსდეს მუდმივი კომისია, რომელიც უნდა იხილავდეს განცხადებებს მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ, იძიებდეს დანაშაულობის ხარისხს და დამნაშავეთ აძლევდეს პასუხისგებაში.

უნდა აიკრძალოს „მოყვარულთა" მიერ საჭეს ხელში აღება. თუ აღმოჩენილი იქნება, რომ ავტომობილი მიჰყავს ისეთ პირს, რომელსაც არ აქვს ამის უფლება, პასუხისგებაში იქნება მიცემული არა მარტო აღნიშნული პირი, არამედ შოფერიც, რომელმაც ანდო საჭე არასპეციალისტს.

შოფერების თანაშემწეებს და მგზავრების გაჩერება ავტომობილების საფეხურებზე. (ასეთი შემთხვევები ხშირია) აკრძალული უნდა იქნეს შოფერის პირად პასუხისმგებლობის ქვეშ.

კოჯრის სამხედრო გზების დასაწყისში უნდა იქნეს დაწესებული მილიციის კონტროლი. რომლის მოვალეობაში უნდა შედიოდეს გასინჯვა იმისა, აქვს თუ არა ამა თუ იმ კერძო ავტომობილს ნებართვა ქალაქ გარეთ მიმოსვლისა. ისინი, ვისაც ასეთი ნებართვა არ აღმოაჩნდება, უნდა დაბრუნებული იქნენ და ავტო-განყოფილებას უნდა ეცნობოს ავტომობილის ნომერი და შოფერის გვარი სათანადო ზომების მისაღებათ.

პროფკავშირებში

ადგილკომების შესანახ თანხის დავალიანების საკითხი

არსებულ კანონმდებლობის ძალით ყოველი წამოწყება-დაწესებულება ვალდებულია მიიღოს განსაზღვრული თანხა თავისი მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტის ხარჯების დასაფარავად. ამ თანხების გაღება სხვადასხვაგვარი სახით ხდება: ადმინისტრაცია რამდენიმე პროცენტს აძლევს ფაბრიკ-ადგილკომს, ანდა თავის ხარჯთაღრიცხვაში შეაქვს ადგილკომში მომუშავე პირთა სრული გასამრჯელო.

ამ ბოლო დროს ხშირად ადმინისტრაციის წარმომადგენლები უარს ამბობენ ადგილკომების შესანახ თანხის გაღებაზე. მათ მიზეზად ფულის უქონლობა მოჰყავთ.

კანონმდებლობის გარდა, ადგილკომის შესანახ თანხის რაოდენობა კოლხელშეკრულებებით წესრიგდება. კანონი მხოლოდ პრინციპიალურად სწყვეტს საკითხს. იგი ამბობს— ადგილობრივ კომიტეტის შესანახად წამოწყება-დაწესებულებებმა უნდა გაიღონ თანხა. რამდენი უნდა გაიღონ.—100 მან., თუ ½% ან 1% და სხვა, ეს საკითხები კი პირობის დადებით წესრიგდება.

ზოგიერთი ადმინისტრატორები ხანდახან თავის შეკავებით და ხან კი ძალითაც ცდილობენ პირობების შეცვლას და ადგილკომის შესანახ ხარჯების შეკვეცას. ამ მხრივ დიდ აპეტიტს იჩენენ ზოგიერთი ადმინისტრატორები, მაგრამ მათ ხშირად კოვზი ნაცარში უვარდებათ. ჩვენი პროფკავშირები არც ისე სუსტი არიან, რომ ერთხელ და სამუდამოდ არ ასწავლონ მოვალეობის შესრულება ზოგიერთ მადა-გახსნილ ადმინისტრაციას.

ამ მხრივ უთანხმოებას ხშირად ვხვდებით პროვინციაში. ზოგიერთი პროფორგანიზაციის ხელმძღვანელები ეხვეწებიან წამოწყება-დაწესებულების ხელმძღვანელს ადგილკომების შესანახ თანხის გაცემის შესახებ, მაგრამ მუდარა ამაოდ რჩება.

— არ გაძლევთ, მორჩა და გათავდა! ამნაირია ზოგიერთი ადმინისტრატორის სიტყვა.

აი მაგალითიც: გორის სამპროფბიუროს ხელმძღვანელმა ბევრი თხოვა სამფინგანს, რომელსაც მართებდა ადგილკომის ფული, მაგრამ მუდარა და ხვეწნა ამაო შეიქნა, ყურსაც არავის იბერტყავს.

პროფმუშაკების ასეთი მოქცევაც მიუღებელია.

გასაკვირია, თუ რათ სჭირდება ხვეწნა-და მუდარა გორის სამპროფბიუროს.

სამპროფბიურომ სასამართლოს საშუალებით უნდა მოსთხოვოს გორის სამფინგანს კუთვნილი თანხა. პროფორგანიზაციებს სამათხოვრო არაფერი აქვთ. ეს უნდა იცოდეს გორის სამპროფბიურომ და სამფინგანმა.

ეს უნდა იცოდენ საქართველოს ადგილობრივმა ყველა პროფორგანიზაციებმაც.

პროფკორი ვალი.

მედსანშრომის კავშირში

მედსანშრომის კავშირის ც. გამგეობამ გამოიკვლია ახალ-ქალაქის სამაზრო განყოფილება და აღმოჩენილ ნაკლულოვანებათა მიხედვით მისცა მას შემდეგი პრაქტიკული წინადადებები:

ვინაიდან სამაზრო განყოფილებაში არ არსებობს სწორი აღრიცხვა კავშირის წევრთა, შემოღებულ იქნას ასეთი ყველა საჭირო ცნობები.

გამგეობის და მასთან არსებულ სხვადასხვა კომისიების ოქმები და დადგენილებები უნდა იქნას გაკრული თვალსაჩინო ადგილას. რათა მასას ჰქონდეს საშუალება გაეცნოს კავშირის მუშაობას.

თანახმად კავშირის ყრილობისა და აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებისა წინადადება ეძლევა სასწრაფოდ და დამოუკიდებლად გამოჰყოს ურთი-ერთ დამხმარე სალარო. იქ, სადაც გაერთიანებაში იმყოფება 25 წევრი სალაროსი, უნდა დაარსდეს დამოუკიდებელი სალარო.

რადგან განყოფილების გაერთიანების 50% შეადგენენ ქალები, წინადადება ეძლევა განყოფილებას ჩააბას ისინი პროფმუშაობაში სამაზრო განყოფილების სხვადასხვა კომისიებში მუშაობის სახით.

ვინაიდან განყოფილების გაერთიანების უმრავლესობას შეადგენენ სომხები და რადგან წიგნთ-საცავში არ არის სომხური ლიტერატურა, შეძენილ იქნას ასეთი შეძლებისადაგვარად.

ვინაიდან კავშირის წევრები დაფანტულია სხვადასხვა ერთი-მეორესთან დაშორებულ დაწესებულებებში. მასიურ პროფმუშაობისათვის უნდა იქნას მოწვეული კონფერენციები სამ თვეში ერთხელ მაინც, რომლებზედაც უნდა გაირჩეს ისეთი საკითხები, რომლებიც აინტერესებს მასას. აგრეთვე უნდა კეთდებოდეს მოხსენებები სამაზრო განყოფილების და კომისიების მუშაობის შესახებ.

როგორც გამოკვლევიდან გამოირკვა ხშირია შემთხვევა სამსახურში არა კავშირის წევრების მიღების იმ დროს, როდესაც კავშირს ჰყავს უმუშევარი წევრები. ამის წინააღმდეგ სამაზრო განყოფილებამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები და სხ.

კაჟი.

პროფმუშაობის ქრონიკა

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გ-ში

— **მუშათა შვილების სასწავლებლებში მიღების საკითხი.** ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებასთან იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელმა (საქ. პროფ.-კულტგანყოფილებამ) თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრას, სადაც საჭიროა. რკინის გზებთან კავშირის მქონე ტრანსპორტის მუშების შვილები, ა.-კ. რკ.-გზების სკოლებში მიღების მხრივ გათანასწორებული იქნენ რკინის გზის მუშების შვილებთან.

— **დაუშვებელი საქმე.** „ზაკპოგრუზის" გამგეობამ გასცა სამუშაოები მუშებზე, რის გამოც ისინი მოიჯარადრეების პირობებში იქნენ ჩაყენებული. ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ „ზაკპოგრუზის" ასეთი მოქცევა დასაგმობად სცნო და საკითხი დასვა მის წინაშე მუშების ფუთობრივ მუშაობაზე გადაყვანის შესახებ.

— **ადგილკომის გადატანა ზესტაფონიდან.** ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც.-გამგეობამ შორაპნის სამაზრო ადგილკომი გადაიტანა ქ. ზესტაფონიდან ჭიათურაში.

მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამგეობაში

— **უმუშევართა დამხმარე ანარიცხების შეწყვეტა ზოგიერთ მაზრებში.** მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამგეობამ იმსჯელა უმუშევართა დამხმარე ფონდის ანარიცხების შეწყვეტაზე იმ რაიონებში, სადაც უმუშევრები მცირეა. ცენტრ.-გამგეობამ წინადადება მისცა სენაკის, რაჭის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ახალქალაქის, სიღნაღის, დუშეთის და ბორჩალოს განყოფილებებს შესწყვიტონ 1½% ანარიცხის აკრეფა უმუშევართა ფონდის სასარგებლოდ.

რაჭის სამპროფბიუროში

— **სამკითხველოს მოწყობა შოვში.** რაჭის სამპროფბიურომ დაავალა სამპროფბიუროს თავმჯდომარეს შოვში სამკითხველოს მოწყობა.

— **განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო განყოფილების თავმჯდომარის მოხსენება.** რაჭის სამპროფბიურომ მოისმინა განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარის მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მიღწევები მუშაობაში.

ქალაქის სანიტარულ გაჯანსაღებისათვის

ერთ კვირაზე მეტია, რაც ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ ეპიდემიური სექცია აწარმოებს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გამოკვლევას. გამოკვლევის წარმოება დაკისრებული აქვს სანიტარულ ექიმებს, რომელთაც ევალებათ მოახდინონ რაიონების სანიტარულ - ტოპოგრაფიული აღწერა.

გამოკვლევის მთავარი ამოცანას წარმოადგენს გამორკვეული იქნეს ქალაქის სანიტარული ნაკლოვანებები — კერძოთ სანიტარული უზრუნველყოფა ბინებისათვის წყლის მიწოდების, კანალიზაციის დარგში და სხვა. გამოკვლევის დამთავრების შემდეგ აღრიცხვაზე იქნებიან აყვანილი ის რაიონები, რომელნიც სხვადასხვა ეპიდემიურ სნეულებათა ბუდეებს წარმოადგენენ.

ჯერ-ჯერობით ასეთ ბუდეებად ცნობილი არიან დესიმონოვის მოედანი და ავლაბარი, საიდანაც ჩვეულებრივ ვრცელდება ხოლერა და პარტახტიანი ტიფი, თათრების მოედანი, რკინისგზის ახლო მდებარე უბნები და სხვა.

გამოკვლევით შეგროვილი მასალები ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ სექციას საშუალებას მისცემს გამოიმუშაოს ღონისძიებები სანიტარული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ნორმალურ სანიტარულ პირობების შესაქმნელად ყველა რაიონებში. ამავე დროს სანიტარული სექცია აწარმოებს ყველა ბაზრების და სავაჭრო მოედნების სანიტარულ გამოკვლევას და ბრძოლას სანიტარულ მდგომარეობასთან. ბაზრების და სავაჭრო მოედნების მოუწყობლობის გამო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები საშუალებას არიან მოკლებულნი იქონიონ პასუხისმგებლობა სანოვაგის და სხვა საქონლის ღირსებისათვის.

ამჟამად აღმასკომი ამუშავებს საკითხს ბაზრების კეთილმოწყობის და მათი დახურულ სავაჭრო მოედნებად გადაქცევის შესახებ.

საგარაკო აღმშენებლობა

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა, რომ ამიერ-კავკასიაში საგარაკო აღმშენებლობის საჭიროებისათვის გადაიდვას 200 ათასი მანეთი.

ამავე დროს წინადადება მიეცათ სათანადო ორგანოებს, რომ ამიერ-კავკასიის 1926—27 წ. ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს ჯეროვანი ანგარიში გაეწიოს საგარაკო აღმშენებლობის საქმეს ამიერ-კავკასიაში.

მიწათმოწყობა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა მოახდინა თბილისის მაზრის მანგლისის და წალკის რაიონებში მიწათმოწყობის საქმის რევიზია. შესრულებულია შემდეგი სამუშაო: გატარებულია ცხოვრებაში საფონდო მიწების განაწილების პროექტი 72 ნაკვ. 420 დეს. რაოდენობით, შემომიჯნულია და დანაწილებულია 38 ნაკვეთად 560 დეს., განაწილებულია 420 დეს. 92 ნაკვეთად. სამ—სოფელში—მანგლისი, ლინინოვკა, შახვეტილა—მოწყობილია სულ 202 კომლი.

შემომიჯნულია სოფ. ლივადა 1105½ დეს. სიგრეცზე. სოფ. აშკაში მოწყობილია 68 ნაკვ. 150 დეს. რაოდენობით.

ხილის დამზადება

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საჯაიო ამხანაგობა შეუდგა ხილის დამზადებას ადგილობრივ, საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ბაზრისათვის. მიმდინარე წელში განზრახულია დამზადდეს 30.000 ფუთი ხილი. უმეტესი წილი ამ რაოდენობიდან დამზადდება გორის და თელავის მაზრებში.

ხილის დამზადება ხდება ადგილობრივ კოოპერაციების საშუალებით. ხილის დამზადების, გადაგზავნის და რეალიზაციის საქმე წარმატებით მიმდინარეობს.

აგურის ქარხანა

ფოთის აღმასკომმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა აგურის ქარხნის ასაშენებლად. სწარმოებს მოლაპარაკება როსტოვის მანქანების სააღმშენებლო ქარხანასთან საჭირო მანქანების შეძენის შესახებ.

შინამრეწველობა

საქართველოს კომისართა საბჭომ დაავალა საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელი შეუწყოს შინამრეწველობის საინსტრუქციო სკოლების, საჩვენებელ სახელოსნოების, მუზეუმის, გამოფენის და სხვა სანიმუშო სამოსწავლო დაწესებულებების მიზანშეწონილად დაყენებას და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს ახალ სანიმუშო ორგანიზაციების და საცდელ სადგურების მოწყობას.

ამ საქმისათვის გაწეულ ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო.

ღვინის ექსპორტი

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გადასწყვიტა მომავალ საშემოდგომო სეზონში დაამზადოს საბჭოთა კავშირის ბაზრის საჭიროებისათვის 120.000 ვედრო ღვინო და 350.000 გრ. სპირტი. აღნიშნული პროდუქცია უნდა დამზადდეს სამმართველოს მარნებში. 80.000 ვედრო ღვინოს დაამზადებს სახელმწიფო ვაჭრობის საჯაიო ამხანაგობის ქუთაისის მარანი. ღვინო შესყიდული იქნება ადგილობრივ მეღვინეთაგან. ქუთაისის მარანს გადაწყვეტილი აქვს დაამზადოს 20.000 ვედრო შორაპნის, რაჭის და ოზურგეთის მაზრებში, ხოლო დანარჩენი 60.000 ვედრო კი ადგილობრივ ქუთაისის მაზრაში.

დასამზადებელ ღვინიდან 40.000 ვედრო უნდა დამზადდეს კახეთში—30.000 ვედრო სიღნაღის და 10.000 ვედრო თელავის მაზრაში.

საბჭოთა კავშირის ბაზრისათვის საჭირო ღვინის საბოლოო დამუშავებას მომავალში სამმართველო აწარმოებს ქალ. ქუთაისში. უკანასკნელის საშუალებით სამმართველო მიიღებს მაღალ ხარისხის პროდუქციას და ამავე დროს თვალსაჩინოთ შეამცირებს ზედნადებ ხარჯებს. დამზადებული პროდუქცია დაეგზავნება ამხანაგობის განყოფილებებს მოსკოვში, დონისროსტოვში, ხარკოვსა და ბაქოში.

სამმართველოში მოსული ცნობით აღნიშნული განყოფილებები წარმატებით აწარმოებენ ადგილობრივ ჩამოსხმულ და დამზადებულ ღვინოების რეალიზაციას.

ქუჩების შეკეთება

ქალაქის კეთილ-მოწყობის განყოფილება დღითი დღე აფართოებს თავის მუშაობას ქალაქის გამშვენიერების მიზნით. განსაკუთრებით უკანასკნელ წლეიწადში განყოფილებამ გასწია ამ მხრივ დიდი მუშაობა: გაიყვანა ახალი ქუჩები, გარე უბნებში მოაწყო განათება. შეაკეთა ქუჩები, ბაღები, საკანალიზაციო ხაზები და სხვ. ახლო ხანში განყოფილება შეუდგება პლეხანოვის პროსპექტის ხელ-ახლა მოკირწყვლას კუბიკებით. ამ მიზნით აღმასკომმა გადასდო 43 ათასი მანეთი.

საგზაო მშენებლობა

თუშეთის გზატკეცილი

გზატკეცილების სამმართველოს ტეხნიკურმა კომისიამ ინჟ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით უკვე დაამთავრა თუშეთში გზატკეცილის გასაყვანი ადგილების ტეხნიკური კვლევა - ძიება.

კომისიამ დაათვალიერა ყველა ის ბილიკები, რომლებიც აერთიანებენ პირაქეთს და პირიქეთს თუშეთს; დათვალიერებულ იქნა აგრეთვე საუღელტეხილო გადასავალი უბნები მჭეთავეს, ბულანჩის და შავი კლდის მწვერვალების შუა.

ტეხნიკური კომისიის წინასწარი გამოანგარიშებით, გადმოღმა და გადაღმა მდებარე თუშეთის შემაერთებელი გზატკეცილის სიგრძე იქნება—50—55 ვერსი.

ამჟამად მთელი თუშეთი უგზოობის გამო მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოდან. უგზოობის გამო დიდ დაბრკოლებას ხვდებიან აგრეთვე სიღნაღის მაზრის მეცხვარეები, რომელთაც მთებში ჯოგის გარეკა უხდებოდათ.

გლეხობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა გზის გაყვანის განზრახვას და აღუთქვა მთავრობას დახმარება პირადი შრომით.

ამჟამად გზატკეცილების სამმართველო იმუშავებს გზატკეცილის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას.

ახალი არტელი

თბილისში დაარსდა საამშენებლო არტელი „შენება". არტელში წევრებათ ჩაწერილია 750 რაჭველი მუშა. ისინი იღებულობენ როგორც თბილისის, ისე მთელი საქართველოს ფარგლებში, საამშენებლო სამუშაოს.

ამჟამად არტელს აღებული აქვს მეტეხის ხიდის განახლება და დიდუბეში მაუდის ქარხნის აშენება.

მეტეოროლოგიური ქსელი

წარმოების არც ერთი სხვა დარგი ისე მჭიდროთ არ არის დაკავშირებული მეტეოროლოგიასთან (ამინდის წინასწარმეტყველება, გვალვა, ჰაერი და სხვა), როგორც სოფლის მეურნეობა. ამიტომ მიწათმოქმედების კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ საქართველოს გეო-ფიზიკური ობსერვატორია ამჟამად ვერ აწარმოებს დაკვირვებებს, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობისათვის, დააყენა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის ქსელის მოწყობა—გაფართოების შესახებ მომავალ საბიუჯეტო წლიდან.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აზრით, საქართველოს ობსერვატორიასთან უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის განყოფილება. ამ განყოფილებამ უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს მეტეოროლოგიურ სადგურების მუშაობას, გამოიმუშაოს მათთვის ერთი მთლიანი გეგმა. დაამუშაოს ყოველგვარი მეტეოროლოგიური ხასიათის ცნობები და სხვა.

დახმარება ღარიბებს

საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკის გამგეობამ დაადგინა გაიღოს საბიუჯეტო სალსრებიდან 130.000 მანეთი ღარიბთა დამხმარე ფონდის შესაქმნელად. ფული განაწილებული იქნება სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობებზე ღარიბ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თვითეულ მაზრაში. სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობები აწარმოებენ მათ გასესხებას ღარიბ გლეხებზე, მიუხედავათ იმისა ირიცხებიან ისინი ამხანაგობის წევრათ თუ არა. ამ დღეებში მოხდება აღნიშნულ ფონდის განაწილება სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობებს შორის. განაწილებას აწარმოებს სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან საქ. სას.-სამეურნეო ბანკის, მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის, წარმოკავშირისა და ფინსახკომის წარმომადგენლები.

საქფინსახკომში

საკლასო გადასახადები

ფინსახკომის პირდაპირ გადასახადების განყოფილებამ დაასრულა 1926 წლის მეორე ნახევრის ძირითად, საკლასო და პროგრესიულ გადასახადების გაწერა.

განყოფილების ცნობით საკლასო გადასახადით დაბეგრილია 52.532 გადამხდელი; გადასახადების ჯამი უდრის 534.581 მანეთს, ხოლო პროგრესიული გადასახადებით—10.296 გადამხდელი, ამ გადასახადის საერთო ჯამი უდრის 451.692 მანეთს.

1-ლ აგვისტოდან ადგილობრივ ფინგანყოფილებებს დაეგზავნათ ინსტრუქციები გადასახადების ასაკრეფად. მიღებულ ცნობით, აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს.

საბინაო გადასახადის აკრეფა

ფინსახკომის პირდაპირ გადასახადთა განყოფილება ამჟამად აწარმოებს 1925-26 წლის დარჩენილ საბინაო გადასახადის აკრეფას.

ბარიტის წარმოება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქიმიურ ლაბორატორიაში ქიმიკოსი გ. ბარნაბიშვილი იკვლევს ამჟამად ბარიტის გასაწმენდ საშუალებებს.

ბარიტის მადნები არსად ერ მოიპოვება ისე, მრავლად, როგორც ჩვენში (ლეჩხუმში).

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებული იქნეს ბარიტის ხარისხი და ღირსება, საჭიროა მადანი იწმინდებოდეს ადგილობრივ. ამ მიზნით ამჟამად სწარმოებს ლაბორატორიული მუშაობა.

მომავალში ბარიტის საფქვავ ქარხანასთან მოეწყობა ბარიტის საწმინდი ქარხანა.

დამატებითი შვებულებები

ამ.-კავკ. შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა საქ. შრომის სახ. კომისარიატს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რუსეთში უკვე ცხოვრებაში გატარებული დადგენილება საბაგირო ქარხანაში მომუშავეთათვის და შორეულ ნაოსნობაში მავალ გემების რადიო-ტელეგრაფზე მომუშავეთათვის დამატებითი შვებულების მიცემის შესახებ. ყველა ამ მუშებს მიეცემათ დამატებითი ორი კვირის შვებულება.

საკრედიტო საქმე

ძირითადი თანხის გასაძლიერებლად

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ მთელ საქართველოში აღრიცხულია 70 სუსტი სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობა. მათი სისუსტე გამოიხატება ძირითადი თანხის სიმცირეში. ამის გამო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაადგინა გაიღოს საბიუჯეტო სალსრებიდან კრედიტი 158.000 მანეთის რაოდენობით აღნიშნულ ამხანაგობების ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად. აღნიშნული სესხი დანაწილებული იქნება ამხანაგობებზე შემდეგნაირად: 10 პროცენტი ამ სესხიდან მიეცემა აფხაზეთს, 5 პროცენტი—აჭარისტანს და 2,2 პროცენტი სამხრეთ-ოსეთის სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობებს. სესხი ამხანაგობებს მიეცემა 5 წლის ვადით, ყოველწლიურად 6 პროც. ანგარიშით.

ბრძოლა ხანძართან

სახანძრო საქმე მაზრებში

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მთავარ ყურადღებას აქცევს ამჟამად ხანძართან ბრძოლის მოწესრიგებას საქართველოს მაზრებში.

ზოგიერთ მაზრებში გაგზავნილია სახანძრო საქმის ინსტრუქტორები, რომლებსაც დავალებული აქვთ შეისწავლონ ადგილებზე ხანძრების წარმოშობის მიზეზები და მოაწყონ რაზმები იმ სისტემით, რა სისტემაც შეეფერება ადგილობრივ პირობებს.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი ღებულობს ენერგიულ ზომებს სახანძრო იარაღების შესაძენათ. იარაღები პირველ რიგში დაეგზავნებათ სამაზრო აღმასკომებს.

შედგენილია სია იმ სახანძრო იარაღებისა, რომელნიც გამოსადეგი და შესაფერისია ადგილების ტოპოგრაფიულ პირობებისათვის.

ქრონიკა

ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებებში მუშაობის შესახებ

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატმა გამოსცა დადგენილება ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებებში მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების მიხედვით ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებებში მოზარდ მუშათა მინიმალური რიცხვი უნდა იყოს. წინედ ამ წარმოებებში შეიძლებოდა 18 წლის მოზარდთა მუშაობა, ეხლანდელი დადგენილების მიხედვით კი დაწესებულია 20 წლის ჰასაკი.

თბ. აღმასკომში

— **ლომბარდი.** მიღებული იქნა ქალაქის ლომბარდის 1926—27 წლის მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით ლომბარდის მოქმედება ფართოვდება.

— **გარაჟი.** საუწყებო კონტროლის დასკვნის თანახმად გადაწყდა მოხდეს აღმასკომის გარაჟის ცენტრალიზაცია.

— **საადგილ-მამულო განყოფილების** მომავალი მუშაობის გეგმის შესადგენათ შესდგა კომისია ამხ. ძამაშვილის თავმჯდომარეობით.

— **გასტრონომიულ მაღაზიებში.** სალი სავანების გაყიდვის მიზნით ჯანმრთელობის გან-ბას დაევალა შეიმუშაოს სავალდებულო დადგენილება.

— **ტრამვაელთა კლუბი.** წინადადება მიეცა კომუნალურ განყოფილებას სასწრაფოთ შეაკეთოს ტრამვაის მუშათა კლუბი.

— **ტრამვაის დირექციამ** აღმასკომს წარუდგინა გეგმა, ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე ტრამვაის ახალი ხაზების გაყვანის შესახებ.

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატში

— **ციმბირის წყლული.** მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატმა სამხრეთ-ოსეთში მიავლინა მ. მირიანაშვილი ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ბრძოლის ხელმძღვანელობის გასაწევათ.

— **ტყის ექსპლოატაცია.** ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მივლენილი იქნა რევიზორი დ. კასიელაშვილი ტყის ექსპლოატაციის მოსაწესრიგებლად და სატყეობის სარევიზოთ.

სხვადასხვა

— **მუშათა მთლიანი კოოპერატივების** ყველა ფურნეების შეკეთება უკვე დასრულდა.

— **კარლმარქსის სახელობის თამბაქოს ქარხნის** შეკეთება უკვე დასრულდა. ჯანმრთელობისათვის მავნე განყოფილებები განცალკევებული არიან ქარხნიდან.

— **სახელმწიფო დაზღვევის** სამმართველო შეუდგა აღმოსავლეთ საქართველოში და ოსეთში დამზღვევი სააგენტოების მოწყობას.

კრებები და მოხსენებები

— **ყრუ-მუნჯთა საერთო კრება.** კვირას, 22 აგვისტოს, 12 საათზე შესდგება ყრუ-მუნჯთა საერთო კრება (ყრუ-მუჯთა კლუბში—პლეხანოვის პრ. № 55, კუთხე ბელგიის ქ.). ყრუ-მუნჯთა ყოფა-ცხოვრებას საკითხების განსახილველად.

ჩაუბარებელი დეპეშები

ბაქოდან—ტოროშელიძეს, არმავირიდან—ზედელბეკოვისას, ნუხიდან—აბდულსამედას, ბატალპაშინსკიდან—მაჭავარიანს, ბესლანიდან—ჩერჩკოვს, ლენინაკანიდან—ბაგდასარიანს, წაღვერიდან—როსტომოვს, ზუგდიდიდან—ცოლოგუას, ჩელიაბინსკიდან—არუთინოვისას, ქუთაისიდან—ბიბილაშვილს, ბაქოდან—ტარასენკოს.

ხელოვნება

— **სანდრო ინაშვილის** მონაწილეობით დღეს მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში გაიმართება დიდი კონცერტი.

— **კონცერტი.** საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება საღამო-კონცერტი.

— **ახალ მუშათა კლუბში** დღეს გაიმართება გრანდიოზული საღამო.

შემთხვევები

სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის

თბ. აღმასკომის დადგენილების (№ 89) თანახმად აკრძალულია ქუჩებში ყოველგვარი ორმოების ამოთხრა ქალაქის-კეთილმოწყობის განყოფილების ნებართვის გარეშე, კანალიზაციის და მიწის ქვეშ ელექტრონის მავთულის დაზიანების თავიდან აცდენის მიზნით. მიუხედავათ ამისა კერძო პირები და ზოგიერთი ორგანიზაციები მაინც აწარმოებენ ორმოების ვათხრას უნებართვოთ.

მაგალითად 17 აგვისტოს კარლ მარქსის თემთან კამოს ქუჩაზე გათხრილი იქნა ორმო, რამაც გამოიწვია ზაჰესის ელსადგურის მაღალი ძაბვის კაბელის დაზიანება. ამის გამო აღმასკომის დადგენილებით საყვედური გამოეცხადა მე-9 უბნის მილიციის უფროსს, ხოლო გათხრის დღეს მოგუშავე მილიციელი დაპატიმრებული იქნა 3 დღით, მუშაობის მწარმოებელი კი 5 დღით.

ავტომობილის მსხვერპლი

გუშინ დილით ავტომობილი № 758, რომელსაც მართავდა შოფერი იზიკოვი დაეჯახა არუსტანა არუთინოვს და მძიმეთ დაშავა.

დაშავებული გადაგზავნილია საავადმყოფოში.

შოფერი იზიკოვი დაპატიმრებულია.

მეორე საბჭოთა აფთიაქის გაძარცვა

უკანასკნელ ხანებში მეორე საბჭოთა აფთიაქში სისტემატიურად იკარგებოდა სხვადასხვა მედიკამენტები.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ შეპყრობილ იქნა ამავე აფთიაქის დარაჯი იოსებ ავაკოვი და მეეზოვე სააკ ალავერდოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ ნაქურდალი მედიკამენტები.

რეციდივისტის შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრა გრიგოლ ასათიანი, რომელსაც ბრალდება სად. გორში მოქ. ჯანჯღავაშვილის და იასონ ბეგლარაშვილის ბინის გაქურდვა.

—**ზაჰესის** მთავარ საგუბარიდან მოიპარეს ასი კვადრატიული მეტრი ბრეზენტი.

— **თავდასხმა.** ქვემო წალკის „ხან-ახმიატის" საძოვრებზე მწყემსებს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედი და წაართვეს მრავალი საქონელი.

— **ბავშის გასრესა.** თიანეთის რაიონში სოფ. ძებნიაურებში ურემმა გასრისა ანტონ ძებნიაურის 2 წლის ბავში.

— **მკვლელობა.** ბორჩალოს მაზრის საზღვარზე გაძარცვის მიზნით უცნობმა ბოროტმოქმედებმა მოჰკლეს შაქრუა ბეჟანიშვილი.

— **თავის ჩამოხრჩობა.** სოფ. შავსაყდარში (ასურეთის თემი) თავი ჩამოიხრჩო გლახა ალექსის ძე ინაშვილმა.

— **შეპყრობა.** 19 აგვ. შეიპყრეს ნინო კლიმიაშვილის ბინის გაქურდვისათვის გიორგი კლიმიაშვილი.

ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს მიხეილ ათახელოვი.

— **მცირეწლოვანი ქურდები.** 19 აგვისტოს შეიპყრეს მცირეწლოვანი ქურდები მანუკა აკოპოვი და გერგილ ნაზრიანი, რომლებიც გადაიგზავნენ მცირეწლოვანთა კომისიაში.

— **ჯიბგირობა.** 19 აგვ. ცხრაწყაროელ გლეხებისათვის ჯიბიდან ფულის ამორთმევის გამო დააპატიმრეს სიმონ ჯოროჯიაშვილი.

— **ქურდობა.** 19 აგვ. გუნიბის ქ. № 41 გაქურდეს პელაგია სტეფანოვის ბინა.

ამავე დღეს კომუნალური ქ. № 106 გაქურდეს სპირიდონ გარდავას სავაჭრო.

ამავე დღეს კრიდლეივის შესახ. № 1 გაქურდეს სტეფანე ყოსუბოვის ბინა.

ამავე დღეს ფოთის ქ. № 1 გასტეხეს სპირიდონ სეხნიაშვილის ბინა.

რკინისგზებზე

უფასო სამგზავრო ბილეთებით სარგებლობა

საბჭოთა კავშირის გზათა სახ. კომისარიატმა განუმარტა რკინისგზელთა ცენტრ. კომიტეტს, რომ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეს კმაყოფაზე მყოფ რეგისტრაციაში გაუტარებელ ცოლს უფლება აქვს ისარგებლონ უფასო სამგზავრო ბილეთებით.

ახალი ბაქანი

აზერბეიჯანის მარილის ტრესტმა მიმართა ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოს შუამდგომლობით მოაწყოს ჯულფა-ნახიჩევანის რკინის გზის ხაზზე ბაქანი ბაშბაში. ბაქანს მოითხოვს ადგილობრივი მარილის წარმოების გადაგზავნის საჭიროება. ბაშბაშის მიდამოებში სწარმოებს მარილის დამზადება. ბაქანის მოწყობით დღეღამის განმავლობაში იწარმოებს არა ნაკლებ 20 ვაგონი მარილის გაგზავნა. ტრესტის გამოანგარიშებით ბაქანი გაგზავნის არა ნაკლებ 2.500.000 ფუთ მარილს. ბაქანის მოწყობის საკითხს ამჟამად ამუშავებს ა.-კ. გზათა სამმართველოს გამგეობა.

ა.-კ. რკ. გზათა გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს საბჭოთა კავშირის სხვა გზებიდან სპეციალისტები ა.-კ. რკინისგზის სხვადასხვა დარგებში.

სპეცების მოწვევა იწარმოებს რკინისგზელთა პროფკავშირთან შეთანხმებით.

განათლების საქმე რკინის გზაზე

რკ.-გზ. განათლების საბჭო შეუდგა მომავალ სეზონში საქმიანობის გეგმის გამომუშავებას. განზრახულია რკინის გზ. მუშა-მოსამსახურეთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების ქსელის გაფართოება.

მუშების ფსიქო-ტეხნიკური გამოკვლევა

მომავალ შემოდგომიდან განზრახულია გაფართოვდეს რკ.-გზ. ფსიქო-ტეხნიკური ლაბორატორიის მუშაობა. ამ დღეებში ლაბორატორიამ დაასრულა მთავარ სახელოსნოს ზოგიერთ საამქროების მუშათა ლაბორატორიული გამოკვლევა. მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში გამოკვლეულ იქნა 30 ტელეგრაფის მოხელე-ქალები, 300 რკ.-გზ. სკოლების მოსწავლეები და სადგურის მოხელეები შემოდგომიდან ლაბორატორია იწყებს მკვიდრ მუშაობას, რადგან მას თავის მუშაობაში აქამდე, ხელს უშლიდა უბინაობა. ლაბორატორიისათვის საჭიროა სათანადოთ მოწყობილი შენობა. ასეთი შენობის აგება უკვე დაიწყო რკ.-გზ. საავადმყოფოს ეზოში. რკ.-გზ. ჯანმრთელობის სამმართველომ მიმართა რკ.-გზ. გამგეობას შუამდგომლობით ახალი შენობა აგებული იქნეს ორ სართულად. საკმაო ოთახების რაოდენობით, რომელიც დაიტევს ფსიქო-ტეხნიკურ ლაბორატორიის ბაქტერიოლოგიურ განყოფილებასაც. რკინის გზის სალიანდაგო სამსახურის ხარჯთაღრიცხვით შენობის აგება ჯდება 12.309 მანეთი. შენობის მოწყობის საკითხი დასმულია რკ.-გზ. გამგეობაში.

ამ დღეებში თბილისის ფსიქო-ტეხნიკურმა ლაბორატორიამ მიიღო გერმანიაში დაკვეთილი 2.600 მანეთის სხვადასხვა ლაბორატორიული აპარატები.

დეზინტერია

ამ უკანასკნელ ხანებში მთელს რესპუბლიკაში საგრძნობლად გაზარდა დეზინტერიით დაავადებულთა რიცხვი. ეს სენი უმთავრესად გავრცელებულია გორის, სიღნაღის, ზუგდიდის, ქუთაისის და თბილისის მაზრებში. ამა წლის 1-ლ ივლისისათვის მთელს რესპუბლიკაში დეზინტერიით დაავადებულთა რიცხვი უდრიდა 782-ს, ხოლო 15 ივლისისათვის კი—1077.

ჯანსახკომმა გადასწყვიტა ჩაატაროს კამპანია ამ ეპიდემიასთან საბრძოლველად. ამ მიზნით ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებებს დაეგზავნათ სათანადო ინსტრუქცია. გარდა ამისა დასავლეთ საქართველოში დეზინტერიასთან საბრძოლველად ჯანსახკომის მიერ მივლენილია ტროპიკულ ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე ექიმი მარუაშვილი და ლაბორანტი ექიმი გრიგნოვა.

საგანაკვეთო დაზღვევა

საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო შეუდგა აღმოსავლეთ-საქართველოსა და სამხრეთ-ოსეთში სააგენტოების ქსელის მოწყობას. სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და საქონლის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გასატარებლად 1926—27 წელში.

შრატი

ტაბახმელის საშრატე სადგურმა ივლისის განმავლობაში დაამზადა 1925 ლიტრი საქონლის ჭირის საწინაალმდეგო შრატი. ჭირ მოდებულ მაზრებს დაეგზავნათ 1780 გრამი შრატი.

ამავე თვის განმავლობაში ცენტრალური სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის მიერ დამზადებული იქნა 9750 გრამი ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი.

სასამართლო

ცოლის მოკვლისათვის

სასამართლომ ბრალდებულ ალექსანდრე გოგიას ცოლის მოკვლისათვის მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა სასჯელი შეუმცირა ორი წლით წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

ყაჩაღის საქმე

27 აგვისტოს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაირჩევა დავით ხელიშვილის საქმე.

ხელიშვილს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიის მიერ, სისტემატიურად გლეხების ოჯახების აწიოკებისა და ძარცვისათვის, მისჯილი აქვს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ფიზიკური კულტურა

ა.-კ. ფეხბურთელთა რაზმის გამგზავრება ფინეთში

ა.-კ. ფიზკულტურის საბჭომ შეადგინა ა.-კ. ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ფინეთსა და ლატვიაში გასაგზავნად. ამ ნაკრებ გუნდში შემავალი საქართველოს ფეხბურთელები გუშინ გაემგზავრენ თბილისიდან ბაქოში, სადაც მათ შეუერთდება აზერბეიჯანის და სომხეთის რჩეული ფეხბურთელები. შემდეგ გუნდი სრული შემადგენლობით გაემგზავრება ჯერ ფინეთში და შემდეგ ლატვიაში. ფინეთში ჩასვლამდე ფეხბურთელები მოაწყობენ შეჯიბრს მოსკოველებსა და ლენინგრადელების ფეხბურთელებთან.

დოღი

დოღის საშემოდგომო სეზონი არ გაიმართება

საქართველოს ცხენთა საჯინიბომ დაადგინა არ მოაწყოს მიმდინარე წელს საშემოდგომო დოღი თბილისში, რადგან აზერბეიჯანი თავის ახალ იპოდრომზე აწყობს 17 სექტემბრიდან ცხენთა საშემოდგომო შეჯიბრებას.

საქართველოს ცხენთა საჯინიბო ბაქოს საშემოდგომო სეზონის ცხენთა შეჯიბრებაზე გზავნის თავის საუკეთესო ცხენებს, რომელნიც დოღში მონაწილეობას მიიღებენ მიმდინარე წლის დეკემბრამდე.

გაზაფხულის სეზონის შედეგები

საქართველოს ცხენთა საჯინიბომ დასკვნები გაუკეთა გაზაფხულზე ჩატარებულ ცხენთა შეჯიბრებას. საჯინიბო თავის მიმოხილვაში ცხენთა შეჯიბრების შესახებ აღნიშნავს, რომ წელს თბილისის იპოდრომზე პირველად მიიღეს მონაწილეობა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების მოჯირითე ცხენებმა.

დარიგებული ჯილდოების მიხედვით დამთავრებულ სეზონში პირველი ადგილი დაიჭირეს საქართველოს ცხენთა საჯინიბოს ცხენებმა, მეორე ადგილი სომხეთის ცხენებმა, მესამე ადგილი სამხრეთ-ოსეთის, მეოთხე ადგილი—აფხაზეთის, ხოლო მეხუთე ადგილი აზერბეიჯანის ცხენებმა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ცოლის ასეთი მოთხოვნა კანონიერია თუ არა

კითხვა

მე დავქორწინდი 1914 წელს. ქორწინების წიგნებში ცოლი ჩაწერილი იყო ჩემ გვარზე. ამ ხნის განმავლობაში ჩემი ცოლი ატარებდა ჩემ გვარს. ეხლა მას ეს გვარი არ მოსწონს და უნდა გამოიცვალოს იგი თავისი ქალიშვილობის გვარზე. მასთან ამ უკანასკნელ ხანებში მე ვმუშაობ სოფლად. იგი თუმცა სოფლელია, არ სურს მაინც სოფლად ცხოვრება და სოფელში არ წამყვა, ქალაქში ურჩევნია.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, კანონიერია თუ არა ჩემი ცოლის მოთხოვნა.

მუშა ხელოსანი გრიშა გე—ქოვი.

პასუხი

თქვენი ცოლის მოთხოვნა კანონიერია: დეკრეტი № 23-ის მუხ 61-ის თანახმად, მას აქვს სრული უფლება გვარი გამოიცვალოს, თანახმად ამის შესახებ არსებულ წესებისა, თუ მას, თანახმად იმავე დეკრეტის მუხ. 90 და 9--ისა, არ სურს ატაროს საერთო გვარი (ე. ი. ქორწინების გვარი).

თანახმად იმავე დეკრეტის მუხ. 93-ისა, თქვენ ცოლს აქვს აგრეთვე უფლება არ გაგყვეთ სოფლად და იცხოვროს ქალაქში, ვინაიდან ერთი მეუღლის (ამ შემთხვევაში თქვენი) ბინადრობის გამოცვლა (სრულებით) არ ქმნის ვალდებულებას, რომ მას (თან) მიჰყვეს მეუღლეც.

კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება

კითხვა

მე მაქვს სოფელ სასხორში (გორის მაზრაში) მამა-პაპური ნავენახარი ადგილი ზომით 1½ დესეტინა. მე ვარ მუშა. ვმუშაობ დღიურად; ვარ კავშირის წევრი. ამჟამად ვმუშაობ „ზაჰესის" სამექანიკო ნაწილში მზეთავის თანამდებობაზე. ვღებულობ ჯამაგირს მე-5-თე თანრიგით. ჩემი სურვილით მქონდა გადაცემული ზემო ხსენებული მამული ჩემს ბიძაშვილზედ, რომელიც მაძლევდა ცოტაოდენ სარგებლობას მოსავლიდან.

სოფელს ჩამოურთმევია ეს ადგილი მისთვის და გადაუცია სხვისთვის. მაქვს სურვილი, რომ ჩემს მამულს მე თვითონ მოუარო ჩემი საკუთარი ძალით, ვინაიდან ჩემი სამუშაო დროებითია. მაგრამ არ მიბრუნებს მამულს ის, ვიზედაც მამული გადაცემულია დროებით სოფლის მიერ.

სხვა ადგილი არსად მომეპოვება იმის მეტი.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას მეკუთვნის თუ არა ჩემი მამა-პაპური მამული, როგორც ფიზიკურ მუშას. კავშირი სოფლის მეურნეობასთან არ გამიწყვეტია.

მუშა ქიტუაშვილი.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 67-ისა. თქვენ უნდა დაგეტოვოთ სასარგებლოდ სამენახე მიწის ზემო აღნიშნული ნაჭერი. თქვენ გაქვთ უფლება აღნიშნული მიწის ნაჭერის დაბრუნება მოითხოვოთ სასამართლოს წესით, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 24-ისა.

მასწავლებელი გარდაიცვალა, [illegible] არდადაგების [illegible] ჭირისუფალს მიეცემა თუ არა

კითხვა

ა.-წ. ივნისში გარდაიცვალა მასწავლებელი ქალი ზარა დუდუჩავასი.

გთხოვთ განმიმარტოთ აქვს თუ არა უფლება ჭირისუფალს მიიღოს მისი საგაზაფხულო არდადეგების ჯამაგირი. ვალდებულია, თუ არა გან. ინსპექცია, დააკმაყოფილოს ჭირისუფალი არდადეგების ფულით, ვინაიდან სამოსწავლო წლის განმავლობაში გაუცდენლად მეცადინეობდა იგი 7 წლედში. მასწავლებლობდა 1920 ლიდან.

დ. როდუჩავა.

პასუხი

გან. ინსპექცია ვალდებულია გარდაცვალებულის ჭი[illegible]ფალი დააკმაყოფილოს გარდაცვალებამდის მთელი არდადეგების ხელფსით.

რა დროიდან უნდა მომეცეს ხელფასი გადიდებული თანრიგით

კითხვა

მე ვმუშაობდი ა.-კ. რკ. გზაზე მუშათ. 1925 წ. 1 ოქტომბრიდან. უფროსის განკარგულებით ვიქენი გადაყვანილი ათისთავად მე-10-ე თანრიგით. იმავე დროს ჩემივე თანამდებობის მოხელეები ღებულობდენ ჯამაგ. 12 თანრ. და დამატებით საშუალო გადამუშავებისასაც კი. მე კი ყველა ამას პირველ ხანებში ვიყავი მოკლებული. მაგრამ შემდეგ ადგილკომის საშუალებით ვიქენი დაკმაყოფილებული 12 თანრიგით და საშუალო გადამუშავებით ა. წ. 1-ლ ივლისიდან.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მეკუთვნის თუ არა საშუალო გადამუშავება და ჯამაგირი მე-12 თანრიგით წ. წ. 1-ლ ოქტომბრიდან, როდესაც მე დავიწყე მუშაობა და ვის მივმართო ამის შესახებ.

მუშა გრიგოლია.

პასუხი

თანახმად შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების შესახებ არსებულ დებულების მუხ. პირველის შენიშვნისა სამუშაოებს და თანამდებობებს სატარიფო ქსელის მიხედვით თანრიგებზე ანაწილებენ ტეხნიკური საწარმოო ორგანოები, ან ადმინისტრაცია, დამოუკიდებლად. თუ კი ესა თუ ის მუშა-მოსამსახურე არ იქნება კმაყოფილი ადმინისტრაციის მიერ დანიშნული თანრიგის ხელფასით, მას აქვს უფლება სათანადო განცხადებით მიმართოს შემფასკომს.

ამიტომ პირადათ თქვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიმართოთ შემფასკომს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 21 აგვისტოს, დილის სრულ 8 საათზე შესდგება ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა შესდგება სამშაბათს, 24 აგვისტოს, დილის 8 საათზე.

კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ სამშაბათს, დილის სრულ 9 საათზე შესდგება თბილისის კომიტეტის ეკონომიური განყოფილების სხდომა. კომისიის ყველა წევრებისა და კავშირების გამგეობათა წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

ღრმად დამწუხრებულნი ივანე სარდიონისძე წერეთელი, პელაგია სარდიონის ასული მაჭავარიანისა შვილებით, ნინა დავითის ასული წერეთლისა შვილებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს პირველის საყვარელ დედის და მეორის ძვირფას დედამთილის

ტერეზია კონსტანტინეს ასულის წერეთლის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება საჩხერეში, შაბათს 21 აგვისტოს კვირაცხოვლის საყდარზე ქვ. 3338

მშობლები დეკ. ნესტორ და ეკატერინე, მეუღლე მარიამი, დები: ელენე და თამარ, ძმები: ვასო, კოტე და ლეო, რძლები: ნინო და ეკატერინე მაჭარაშვილები და სიძე ნიკოლოზ სულიკაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 აგვისტოს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილ იქნება მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

არჩილ ნესტორის ძე მაჭარაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი (პანაშვიდი საფლავზე 1-ლ საათზე). ქვ. 3335

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორისაგან
„კომუნისტ"-ზე და „ახალ სოფელ"-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება
შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკში**—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. **აბაშაში**—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. **ფოთში**—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში გოგეშვილთან—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავში**—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—გლეხკომთან.
14. **სოხუმში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში ცხაკაიასთან—მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე ესტატე შ შნიაშვილთან.

0—1

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

თბილისის სასაკლაოზე
უკვე მუშაობს
ყინულის ქარხანა
და მსურველებს შეუძლიათ ყოველდღე დილიდან საღამომდის მიიღონ ხოლმე ყინული თვით ყინულის ქარხანაშივე შემდეგ ფასებში: სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს—40 კ. ფუთი, კერძო პირებს კი—55 კ. ყველა საჭირო ცნობების მიღება ყინულის შეძენის შესახებ შეიძლება თვით სასაკლაოში დირექტორთან, აგრეთვე ტელეფონით № 8—66.
ნ. 1678 3—3 სასაკლაოების დირექტორი: ბოკერია.

ფინსახკომთან არსებული
საფინანსო კურსები
(მოსკოვის საფინანსო კურსების პროგრამით)

საგნები: ფინანსიური მეცნიერება, პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიური პოლიტიკა, სტატისტიკა, ბანკის, ბირჟის, ვაჭრობის, კოოპერაციის თეორია და პრაქტიკა, ტრანსპორტი, ეკონომიური გეოგრაფია, საქართველოს ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა, საქართვ. ეკონ. გეოგრაფია, საქონელთ მეტყველება, სოციალური სანიტარია, კანონთმეტყველება, საბჭ. აღმშენებლობა, ბუნების მეტყველება, ანგარიშთ მეცნიერება (ბუხჰალტერია), კომერციული კორესპონდენცია.

კურსებზე მიიღება უგამოცდოთ ტეხნიკუმის და ცხრაწლედის დამთავრების მოწმობებით ხუთ ენკენისთვემდის არა უმეტეს 250 მსმენელისა.

გადასახადი ნახევარი წლის 60 მან. განცხადებასთან 40 მან. დანარჩენი სწავლის დაწყებამდე. **სწავლა დაიწყება** 10 ენკენისთვეს.

მისამართი: ფოსტით განცხადება და ფული: ტფილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის), № 10, სასამართლოს პირდაპირი კუთხე. **კანცელარია დილით** 10—1 საათ. და **საღამოთი** 6 8 საათ.

3341 2—1. საფინანსო კურსების ადმინისტრაცია.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1613 0—14

მსოფლიოში ცნობილი სურათი
„მანდრიენ"
1 და 2-ე სერია ერთად
შესანიშნავი სიუჟეტი, საუცხოვო შესრულება.
დღეს ყველანი ნახავენ „მანდრენს"
დღეს პრემიერა
დოროტი დალტონის და მილტონ სილსის მონაწ.
„ველური კატა"
ანონსი: ამ დღეებში: „დაბრკოლებათა წინააღმდეგ"

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ძ. კოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, დღის 12 საათზე. 1-ლ **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება მნაცაკან მელიქის-ძე ნუნუიანცის სამ სართულიანი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, მე-9 კომის. თუმანოვის შესახვევი № 14. სახლში არის 22 ოთახი, 9 სამზარეულო, 6 საკუჭნაო ოთახი და 4 რკინის აივანი ქუჩისაკენ, წყალსადენი და კანალიზაცია. სახლი შეფასებულია 550 მანეთ. და ამ თანხიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ამ სახლზე დადებულია ყადაღა: საწინდრის მოწმობების გაცემისათვის 1919 წ. 22 მაისის თარიღით და 764-№-ით და 1924 წ. თებერვ თარიღით და 576-№-ით. და აგრეთვე თბილისის საკრედიტო საზოგადოებ-საგან 300.000 მან. ვალის დასაფარავად. ვაჭრობა გაიმართება ამ სახლის მდებარეობის ადგილას და დაცული იქნება სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებში გათვალისწინებული მოთხოვნილებანი. 3340

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ახმეტის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გელოვანი

ამით აცხადებს, რომ აგვისტოს 28 დღის 10 საათზე, თბილისის მაზრის სოფ. ზარიძიანთ-კარში, ხოფსაში მცხ. თეკლე უშიკიშვილის 80 მან. ვალის ასანაზღაურებლად **საჯარო ვაჭრობით** გაყიდული იქნება ხოფსაშივე მცხ. იოსებ უშიკიშვილის კუთვნილი ხარი, შავი ფერისა, შუათანა ტანისა 8 წლისა, შეფასებული 80 მან. და ალექსა უშიკიშვილის ფურკამეჩი, 10 წლ. ირმა, შუათანა ტანისა, რქები გრძელი, შეფასებ. 100 მან., რომელი ფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. 3319

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 23 აგვისტოს 1926 წ. დღის 10 საათზე, ადგილობრივ სოფ. ქვემო ნიქოზში დანიშნულია მოქ. სანდრო მეტრეველის ქონების **საჯარო ვაჭრობა.** ქონება შეიცავს: ორ სართულიანი ქვიტკირის სახლისაგან, რომელიც შესდგება რვა ოთახისაგან ოთხი ოთახი ქვეით სართულში და ოთხიც ზევით, დახურული ქესტით ქვეშ მდებარე ადგილით და წინ ბაღით ზომით დაახლოვებით 300 ოთხკუთხ. საჟ. შეფასებული 300 მან. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს მოწმობა თანახმად სამ. სამ. საპ. კოდექს. მე-311 მუხ. 3339

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში პასაჟში დუქანი № 29 დანიშნულია 31 აგვისტოს 1926 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ივანე ხაინდრავას ქონების, სარკეების, სტაქნების, ჩემოდნების, საპნების, პუდრების, ჩულქების, ღანძლების, პირსახოცების, შკაფების და სხვების შეფასებულის სულ 489 მან. და 80 კაპ.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ივლიტა შვილდაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1690

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 25 აგვისტოს, 1926 წ. შუადღის 12 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩის მე-21 შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:** გაიყიდება რაჟდენ გიორგის-ძე ქებულაძის ერთი თვალი ხის სახლი № 1, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, მდებარე ნინოშვილის ქუჩის მე-21 შესახვევში, ზომით მიწა ასი კვად. საჟენი—თედორე ქებულაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 390 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს სახლის ყიდვა უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1690

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში წულუკიძის ქუჩაზე დუქანში № 81, დანიშნულია 31 აგვისტოს 1926 წ. დღით 12 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობა** ერმილე კუხიანიძის ქონების: დიდი სასწორის, რკინის თოხების, სასწორის თითბერის ჯამებით, გირების, კარტოფილის სანთლების და სხვების შეფასებულის სულ 130 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახელმწიფო ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1690

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89
25—4

დაიკარგა მოწმობა მოცემული ტფ. რკ. გზ. მე-6-ე შრომის სკოლიდან კურსის დამთავრების შესახებ № 60, მარგალიტა ნიკოლოზის ასული ქადაგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3343

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, გაცემული სოფ. ტორბალოს აღმასკომის მიერ, ვანო ბესარიონის-ძე ნაცყიდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3327

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ლუსიანე ლუკას-ძე იგიძხანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3330

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი შამილ სულეიმან-ოღლის სახელზე, ჩ. გ. 3337

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი № 1892, გიორგი ჰოჭელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3328

დაიკარგა ნასყიდობის ქაღალდი ზაქარია გრიგოლის-ძე პატარქლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3329

დაიკარგა სოციალური მდგომარეობის მოწმობა, მოცემული ბაშის თემის აღმასკომისაგან, ივანე ირაკლის-ძე კაშიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1690

დაიკარგა პირადობის წიგნაკი და კავშირის წიგნაკი ვასილ რამაკიძეს სახელზე, ჩ. გ. 3333

დაკარგულია ქართველ მთიელთა კულტურული საზოგადობის ბეჭედი ჩ. გ. 3342

დაიკარგა შვიდწლიან შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 767, მოცემული დიდი-ჯიხაიშის ცხრა-წლედიდან და მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ მიხეილის ძის ვაშაკიძის სახელზე, ჩ. გ. 3331

დაიკარგა ს. ს. კომისიის მოწმობა № 13449, თამარა იოსელიანის სახელზე, ჩ. გ. 3332

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი ფორმა № 4, მოცემული მე-9 უბნის სამხედრო მაგიდიდან დათიკო გველუკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3334

დაიკარგა კომუნ. მეურნ. მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 147, სურენ არუწოვის სახელზე, ჩ. გ. 3336

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68